ალია
N11 /3327/ 26 იანვარი 2016 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE

# ჯანდაცვაში სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ფულს აკეთებენ? 11

# ზაზა ხატიაშვილი: „რომელი დეპუტატებიც მხარს არ დაუჭერენ კომისიის შექმნას, არიან ნამუსგარეცხილები!“ 4



# ვინ ითხოვს მეტროპოლიტენის მატარებლების ვაგონებში სალოცავი კუთხეების მოწყობას — რა უთხრა „ალიას“ „ინიციატივის“ ავტორმა 6

# რას აპირებს ოპოზიცია, თუკი მაჟორიტარული სისტემა არ გაუქმდება? 9



„გიგლა აგულაშვილი არის თითქმის გასამხედროებული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, დადის იარაღით და ასევე დადიოდა იარაღით საგარეჯოში“

„მარტივად გიპასუხებთ, გავღარიბდით“ — რამ გამოიწვია ლარის რეკორდული გაუფასურება და რა მოჰყვება ამას



2

ეკა ყუშიტაშვილი გათხოვდა — „ამაღამ ვნახოთ, ჩემი ბიჭი რა წყალს გადამავლებს...“



4

ევროსაბჭოს პრეზიდენტი: „ჩემი პრიორიტეტი უგულავას და სხვა პოლიტპატიმრების განთავისუფლებაა“



7

ბავშვის აფერა თბილისის მეტროში, რომელმაც პოლიციელები დააბნია



4

რა საეჭვო გარიგების გამო „გააპარეს“ ვიცე-მერი სუდაძე თანამდებობიდან?



3

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

დავით ონოფრიშვილი GDS-ისგან ახსნა-განმარტებას ითხოვს



6

ნუგზარ წიკლაური — შეფერხებული ელექტროენერგიის აღდგენაზე მუშაობის ნაცვლად, კახა კალაძე გარდაბანში კონცერტებს ესწრება



2

„ჯიპიაიმ“ ვანში საავადმყოფოს შენება, როგორც იქნა, დაიწყო, თუმცა ჩაეტევა თუ არა ვადებში, ამას მალე გავიგებთ

ჯიპიაი
ვენის სადაზღვევო ჯგუფ...

2

ლუდმილა პუტინა გათხოვდა — რუსეთის ყოფილი პირველი ლედის რჩეული 37 წლის მაღალჩინოსანია



7

# „ჯიპიაიმ“ ვანში საავადმყოფოს შენება, როგორც იქნა, დაიწყო, თუმცა ჩაეტევა თუ არა ვადებში, ამას მალე გავიგებთ



ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33

„ალიას“ წინა ნომერში ვწერდით, რომ ჯანდაცვის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, ვანში ახალი 9-საწოლიანი სტაციონარის აშენებისა და აღჭურვის ვალდებულება სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგმა“ აიღო და ამავე ხელშეკრულების თანახმად, სტაციონარი მიმდინარე წლის 1-ელ მაისს უნდა შევიდეს ექსპლუატაციაში. რეალურად კი, „ჯიპიაის“ ხელმძღვანელობა, როგორც ჩანს, მხოლოდ ჭერში ბუზების თვლით იყო დაკავებული და მიზნობრივი შენობის გასარემონტებლად თითი თითზე არ ჰქონდა დადებული, რასაც ჯანდაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს „ტუფლებიდან ამოხტომა“ მოჰყვა:

„მართლაც, გასაოცარი იყო ასეთი არასერიოზული და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება „ჯიპიაისგან“, რომლის მინიმალური ვალდებულება იყო ამ პროექტის დასრულება...

ვანის საავადმყოფოსთან მიმართებაში, თუ 1-ელ მაისამდე არ მოხდა ისეთი ინფრასტრუქტურის ჩაბარება, რომელიც სანებართვო პირობებს შეესაბამება, ჩაერთვება ფინანსური სანქციების მზარდი კასკადით და საკმაოდ მნიშვნელოვანი მძიმე ფინანსური ზარალი მიადგება მათ, იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ამ პროექტის განხორციელებაში დაიხარებოდაო, – განაცხადა მინისტრმა.

რა იგულისხმებოდა ფინანსური სანქციების კასკადში, „ალიამ“ ჯანდაცვის პრესსამსახურთან იმავე საგაზეთო პუბლიკაციისთვის გაარკვია: **იმ შემთხვევაში, თუ „ჯიპიაი“ ჰოლდინგი ნაკისრ ვალდებულებას ვერ შეასრულებს, ხელშეკრულების დარღვევის გამო მას დაეკისრება ფინანსური ჯარიმა 125 ათასი ლარის ოდენობით. ხოლო თუ ვალდებულებას შეასრულებს, მაგრამ დათქმულ ვადას გადააცილებს, ყოველ დაგვიანებულ დღეზე ჯარიმა 3 ათასი ლარი იქნებაო, – გვითხრეს უწყების პრესსამსახურში.**

თავის მხრივ, „ჯიპიაის“ პრესსამსახურმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ვანში საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოები ინტენსიურად უკვე კომენტარის ჩაწერიდან მეორე დღესვე (ანუ 21 იანვრიდან) განახლდებოდა და 1-ლი მაისისთვის სტაციონარი ექსპლუატაციაშიც შევიდოდა.

**„ალია“ ჯანდაცვის სამინისტროს პრესსამსახურს დაუკავშირდა და დაინტერესდა, რა სიტუაციაა ამ კუთხით და მართლაც განაახლა თუ არა „ჯიპიაიმ“ სამშენებლო სამუშაოები?**

– მედიიდან ვიცი, რომ რამდენიმე დღის წინ „ჯიპიაიდან“ ვანში ჩავიდნენ, პრესკონფერენცია გამართეს, დაათვალიერეს ის ადგილი, სადაც საავადმყოფო უნდა აშენდეს და თქვეს, დავიწყებთ ჩვენი მოვალეობის შესრულებას, მშენებლობასო. დანარჩენი დეტალები თავად „ჯიპიაის“ რომ ჰკითხოთ, უმჯობესი იქნება. ჩვენ, სამინისტრო, პროცესს დავაკვირდებით, რას იზამენ.

**„ალია“, ასევე, დაუკავშირდა სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელ თინათინ სტამბოლიშვილს:**

– ჩვენ პარასკევს (22 იანვარი. – ნ.ლ.) ვიყავით ჩასულები, ეს ტელევიზიითაც გაშუქდა და სამშენებლო სამუშაოები განვაახლეთ.

**— შენობა, რომელსაც საავადმყოფოსთვის არემონტებთ, რამდენსართულიანია?**

– თვითონ შენობა არის 3-სართულიანი, მაგრამ ჩვენ ამ პატარა კლინიკისთვის ერთი სართულიც გვყოფნის და ჯერჯერობით, ამას ავითვისებთ. შემდეგ უკვე, როდესაც სერვისებს გავაფართოებთ, შეიძლება დანარჩენი სართულებიც ავითვისოთ.

**— იმ პირველი სართულის გარემონტება და აღჭურვაა ის ვალდებულება, რომელიც თქვენ აიღეთ? ანუ 9-საწოლიანი კლინიკა ამას გულისხმობს?**

– რა თქმა უნდა. ის ვალდებულება, რაც ჩვენ გვაქვს, ანუ 9-საწოლიანი კლინიკისთვის რაც გვჭირდება, იმას ვაკეთებთ.

**— ანუ ხელშეკრულებაში გიწერიათ, რომ შენობის მხოლოდ პირველი სართული უნდა გააკეთოთ მაისამდე?**

– პირველი იქნებოდა თუ მეათე, ეს ხელშეკრულებაში არ იწერება. იქ წერია, რომ უნდა გაკეთდეს 9-საწოლიანი კლინიკა. ყველაზე ოპტიმალური სართული, რომელიც ჩვენ ახლა გვაწყობს, არის პირველი სართული და იმას ვაკეთებთ.

**— 1-ელ მაისამდე ცოტა დროა დარჩენილი და აღნიშნული კლინიკა ასე მოკლე პერიოდში რომ აშენდება, ეს მის ხარისხზე არ იმოქმედებს?**

– ამ ყველაფერს იბარებს შესაბამისი ორგანო, ლიცენზირებას გასცემს და ასე შემდეგ და რა თქმა უნდა, ეს არანაირად არ უნდა აისახოს ხარისხზე, პირიქით, „ჯეო ჰოსპიტალის“ მთავარი მომენტი, რომელიც ამ კლინიკებს მართავს, არის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდება რეგიონებში და ეს ასეც ხდება.

**აღნიშნულ პროცესებს „ალია“ ყურადღებით მიადევნებს თვალს და ჩვენს მკითხველს აუცილებლად შევთავაზებთ ამ საკითხთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან მომენტებს.**

# ნუგზარ წიკლაური — შეფერხებული ელექტროენერგიის აღდგენაზე მუშაობის ნაცვლად, კახა კალაძე გარდაბანში კონცერტებს ესწრება




„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მთავრობას მოუწოდებს, დიდთოვლობის გამო მძიმე ვითარებაში აღმოჩენილ ხალხს, მთავრობამ მხარდაჭერა და დახმარება დროულად აღმოუჩინოს.

დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, დიდთოვლობის გამო საქართველოს რეგიონებში უმძიმესი ვითარებაა შექმნილი.

– კერძოდ, მცხეთა-მთიანეთში, კახეთში, სვანეთში, აჭარაში, ადგილობრივები ძალიან დიდი პრობლემის წინაშე დგანან და სამწუხაროა, რომ დიდთოვლობას, ხელისუფლების სრული უმოქმედობა სდევს თან. რეგიონების შიდა გზები მთლიანად მიტოვებულია. მარტოხელა პენსიონერებს არ აქვთ შესაძლებლობა, სამედიცინო დახმარება მიიღონ, მთელ რიგ სოფლებში არაა ელექტროენერგია. ჩვენი ინფორმაციით, შეფერხებულია გაზის მიწოდებაც. ასეთ დროს, როცა ხალხს განსაკუთრებით სჭირდება ხელისუფლების თანადგომა, ჩვენი მინისტრები არაფერს აკეთებენ. პირიქით, ესწრებიან სხვადასხვა კონცერტებს. კერძოდ, ენერგეტიკის მინისტრი კალაძე, ნაცვლად იმისა, შეფერხებული ელექტროენერგიისა და გაზის მიწოდების აღდგენაზე მუშაობდეს, გარდაბანში გასართობ კონცერტებს ესწრება. იგივეს აკეთებს ჯანდაცვის მინისტრიც. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მოუწოდებს მთავრობას, შეასრულოს თავისი პირდაპირი მოვალეობა, გაწმინდოს გზები და მოქალაქეებს დახმარება აღმოუჩინოს, – განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა. (bpn.ge)

# ოკუპირებულ აფხაზეთს ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკი დაუნიშნეს



ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობა 25 იანვრიდან ელექტროენერგიას გრაფიკით მიიღებს.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ „ჩერნომორენერგოს“ გენერალურმა დირექტორმა ასლანტ ბასარიამ განაცხადა. მისი ინფორმაციით, გრაფიკი 15 აპრილამდე იმოქმედებს, წინააღმდეგ შემთხვევაში „ენგურჰესი“ დატვირთვას ვერ გაუძლებს.

გრაფიკის მიხედვით, დაახლოებით 3 თვის განმავლობაში ელექტროენერგიის მიწოდება ყოველდღე 4 საათით შეწყდება.

ბასარიას თქმით, ენერგეტიკული კოლაფსის საფრთხე იმის გამო შეიქმნა, რომ გასული წლის ზაფხულში საქართველოს დასავლეთ ნაწილში გვალვა იყო, რის შემდეგაც წყალსაცავში წყლის დონემ 17 მეტრით დაიწია. (bpn.ge)

# „მარტივად გიპასუხებთ, გავღარიბდით“ — რამ გამოიწვია ლარის რეკორდული გაუფასურება და რა მოჰყვება ამას



საქართველოში დოლართან მიმართებაში ლარის გაუფასურების ისტორიული მაქსიმუმი დაფიქსირდა. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, 1 აშშ დოლარი 2,4923 ლარი გახდა.

რამ გამოიწვია ლარის ასე გაუფასურება, რა დარტყმებს უნდა ელოდოს მოსახლეობა ამის გამო და როგორია პროგნოზები ლარის კურსთან დაკავშირებით, ამ საკითხზე ეკონომიკის ექსპერტები საუბრობენ.

– ეს მდგომარეობა პირდაპირ დარტყმას აყენებს საქართველოს მოქალაქეებს. ძალიან მარტივად გიპასუხებთ - გავღარიბდით. თუ აქამდე, მაგალითად, 10 ლარით შეგვეძლო რაღაცა რაოდენობის პროდუქტის შეძენა, დღეს იგივე ათი ლარით შეგვეძლება უფრო ნაკლები პროდუქტის შეძენა. საქართველოს ყველა მოქალაქემ, მდიდარმაც და ღარიბმაც, ყველა ფენის მოქალაქემ დაკარგა გარკვეული ოდენობის ფული, – ამბობს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში გია ჯაფარიძე.

ჯაფარიძის თქმით, სამომავლო პროგნოზი არც ისე სახარბიელოა და როგორც ის ამბობს, თუ საგარეო ფაქტორების გავლენას ხელისუფლების უმოქმედობაც დაემატა, შედეგები სავალალო იქნება.

– გამომდინარე იქიდან, რა ხდება გლობალურად, რა მდგომარეობაა ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში და ამავდროულად გამომდინარე იქიდან, რას აკეთებდა საქართველოს მთავრობა წინა პრემიერის ხელმძღვანელობით უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, პროგნოზი ვერანაირად ვერ მექნება ოპტიმისტური. მდგომარეობის გამოსწორება უახლოეს მომავალში, უბრალოდ, შეუძლებლად მიმაჩნია, რაც არ უნდა განახორციელოს უკვე მოქმედმა პრემიერ-მინისტრმა. მთავრობა ხომ არ შეცვლილა, ეს ის მთავრობაა, ვინც იმ პოლიტიკას უჭერდა მხარს, რომელსაც უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ატარებდა წინა პრემიერ-მინისტრი, აქედან გამომდინარე, არ მაქვს არანაირი მოლოდინი. პირველ რიგში, გლობალურად რაც ხდება და რეგიონალურად რაც ხდება, ესეც მოქმედებს სიტუაციაზე საქართველოში და მერე ქვეყნის შიგნით რაც ხდება, ეს კიდევ უფრო ამძიმებს ვითარებას, – ამბობს გია ჯაფარიძე.

ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთება უჭირს „ახალი ეკონომიკური სკოლის“ პრეზიდენტს პაატა შეშელიძესაც. მისი თქმით, ყველაზე მთავარი ის არის, რამ გამოიწვია ასეთი სიტუაცია.

– ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს ერთობლივმა ნეგატიურმა საქმიანობამ. ეროვნული ბანკი აძლევს სესხებს ბანკებს, ბანკები აძლევენ სესხებს ფინანსთა სამინისტროს, ეს უკანასკნელი კი თავის დეფიციტს ფარავს ამ ფულით. ეს არის მთელი უბედურება და ასე ხდება უკვე მეორე წელიწადია, ეს ხომ უნდა დამთავრდეს. ეს ადამიანები ხალხის ხარჯზე თავის ვალდებულებებს ისტუმრებენ, ვითომც არაფერი, გიყოფენ ჯიბეში ხელს, იღებენ ფულს, ხარჯავენ თავისთვის – აი, ეს პროცესი მიმდინარეობს. რა მნიშვნელობა აქვს იმას, როგორ აისახება ეს გაუფასურებული ლარი დღევანდელ დღეზე? მთავარი ის არის, რომ ესენი ფულს იპარავენ, ლარის გაუფასურება ასახულია უკვე, ადამიანები გაკოტრდნენ და გაუბედურდნენ ასეთი დამოკიდებულების გამო, – ამბობს პაატა შეშელიძე.

ეკონომიკის საკითხებში ექსპერტ ნოდარ კაპანაძის თქმით, ლარის ასეთი გაუფასურება როგორც რეგიონული, ისე მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობით არის გამოწვეული და ამბობს, რომ შესაძლოა, ეს შემთხვევა ზოგიერთი საკითხისთვის სასარგებლოც კი იყოს.

– ეს ის გარემოებაა, რაც საქართველოს შიდა პრობლემებიდან გამომდინარე არ არის. ეს საერთო ტენდენციაა მთელ მსოფლიოში, თითქმის ყველგან უმძაფრესი ეკონომიკური კრიზისია: ჩინეთის, ნიუიორკის, ყველა საფონდო ბირჟაზე ასეა და ახლა საქართველოს ვალუტა შედარებით უფრო ნაკლებად უფასურდება, ვიდრე სხვა ვალუტები, მაგრამ გაუფასურება სახეზეა. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ლარის კურსის გაუფასურება საქართველოში საგარეო ფაქტორებით იყო განპირობებული, მაგრამ დამწვარზე მდუღარეს ასხამდა ეროვნული ბანკი, თუმცა ამ ბოლო ცვლილებაში ეროვნულ ბანკს უბრალოდ ვერ დავადანაშაულებთ, იმდენად მძიმეა და ძლიერია საგარეო ფაქტორების წნეხი.



სავარაუდოდ, გაცვლითი კურსი და ინფლაცია ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს მდგომარეობა შეიძლება, ერთი მხრივ, სასარგებლოც იყოს ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკისთვის. გაცვლითი კურსი ზევით მიდის, მაგრამ საწვავზე ფასები ქვევით მოდის, ესეც ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე, ამდენად ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ ლარის დევალვაცია იქნება კატასტროფული. ეს ან იქნება ან არა, შეიძლება სასარგებლოც კი იყოს ზოგიერთი რამისთვის, – ამბობს ნოდარ კაპანაძე. (ambebi.ge)

# მიხეილ მაჭავარიანი — თუ სპეციალური საარჩევნო უბნები უქმდება, ეს გარდაბნის გამგებლის არჩევნებსაც უნდა შეეხოს



– თუ მთავრობის გადაწყვეტილებით სპეციალური საარჩევნო უბნები უქმდება, ეს 28 იანვრის გარდაბნის არჩევნებსაც უნდა შეეხოს, – ამის შესახებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა.

როგორც მიხეილ მაჭავარიანმა აღნიშნა, ეს გიორგი კვირიკაშვილის პირველი განცხადება არაა, როცა ერთს ამბობს, მაგრამ მეორე ხდება.

– შეგახსენებთ, რომ ჩვენ შევთავაზეთ ეკონომიკურ პროგრამაზე შეხვედრა, გავიდა უკვე ერთი კვირა, ლარი უფასურდება, თუმცა შეხვედრა არ შედგა, – აცხადებს მაჭავარიანი. რაც შეეხება სპეცუბნებს, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი მიიჩნევს, რომ აქ ვითარება უფრო დრამატულია.

– 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებში გარდაბანში არც ერთი სპეცუბანი არ იყო, დღეს 700-კაციანი სპეცუბანი დაამატეს, რადგან ხელისუფლებას დამარცხების ეშინია. ჩვენ იმ შემთხვევაში ჩავთვლით, რომ კვირიკაშვილი თავის სიტყვას ასრულებს, თუ 28-ში გარდაბანში სპეცუბანი არ გაიხსნება და აქ დარეგისტრირებული ადამიანები არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ, – აცხადებს მაჭავარიანი. (ინტერპრესნიუსი)

# სააკაშვილი: პროკურატურაში დამიბარეს, მივალ და მოვუწყობ მაგათ უფასო შოუს!



– მას შემდეგ, რაც ოდესის საბაჟომ, პროკურატურამ და სამხარეო ადმინისტრაციამ „თხილის მაფიის“ ყოველწლიურ თამაშში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა, ამ მაფიამ პირდაპირ კიევიდან დაიწყო მოქმედება. მას შემდეგ, რაც ოდესის საბაჟომ ერთ-ერთი ტვირთი, ყოველგვარი ქრთამის გარეშე განაბაჟა, ტრაილერმა ის რუმინეთის საზღვართან წაიღო და ერთ-ერთ გაჩერებაზე მას საბურავები დაუშვეს, შემდეგ კი თავს დაესხა დაჯგუფება, რომელმაც ტვირთი წაიღო. მუშებმა, სულ რაღაც, 3-4 ათასი გრივნისთვის 8 საათი იმგზავრეს, რათა თანამოქალაქეებისთვის ნორმალური ბიზნესის წარმართვის საშუალება არ მიეცათ, – განცხადება ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა თავის „ფეისბუკზე“ გააკეთა.

სააკაშვილმა „ფეისბუკ“ გვერდზე ვიდეომასალა გამოაქვეყნა, სადაც, როგორც თავადვე ამბობს, დიდი ქალაქის „თხილის მაფიის“ მორიგ უკანონო ქმედებას აღკვეთს.

რამდენიმე დღის შემდეგ ოდესის გუბერნატორმა ამ საკითხის შესახებ მომავლის ფორუმზე ისაუბრა და განაცხადა:

– ახლა მე თქვენ მოგიყვებით, როგორ იყო „თხილის მაფიასთან“ დაკავშირებით. ის ადამიანი, რომელიც თხილის მფლობელი იყო, 40 დღე ამტკიცებდა სასამართლოში, რომ ტვირთი ნამდვილად მას ეკუთვნოდა. როგორც იქნა, მან დაამტკიცა, რომ ტვირთის მფლობელი ის იყო. ჩვენ ამ სასამართლოს გადაწყვეტილებით მივედით საწყობში, გავხსენით და ჩემი თავდებობით წაიღო ეს ტვირთი, მაგრამ, როგორ გგონიათ, სად წავიდა ტვირთის მამაცი მეპატრონე? სად და პროკურატურაში დაკითხვაზე, სადაც რამდენიმე დღე დადიოდა. იმიტომ რომ ასე მუშაობს მაფია. შემდეგ მე დამიბარა პროკურატურამ დაკითხვაზე.

მე ძალიან კარგად მოვემზადე ამისთვის, საჯაროდაც განვაცხადე, რომ დაკითხვებზე მიბარებდნენ, მე მივდივარ, მაგათ მივცემ „სიცხეს“ და მოვუწყობ ისეთ უფასო შოუს, რომ კიევის პროკურატურას და პროკურორ კალესნიკს მთელი ცხოვრება დაამახსოვრდება.

როგორც გუშინწინ გავიგე, კალესნიკმა გადაიფიქრა ჩემი დაკითხვა. მათ არ უნდათ, რომ გავართო, – განაცხადა სააკაშვილმა. (იპრესს.გე)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# რა საეჭვო გარიგების გამო „გააპარეს“ ვიცე-მერი სუდაძე თანამდებობიდან?



**ლევან ჯავახიშვილი**
577 51-73-37



გუშინ თბილისის საკრებულოში „ნაცმოძრაობამ“ კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი მაია გოგიბერიშვილი კორუფციაში დაადანაშაულეს. როგორც ირაკლი აბესაძემ განაცხადა, სწორედ გოგიბერიშვილია იმ კომპანიის ხელმძღვანელი, რომელსაც ჰქონდა ვალდებულება აღებული ზაჰესის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით.

***„ქალბატონი, რომელზეც ვსაუბრობთ, რომელსაც აპირებენ, რომ ჩააბარონ ქალაქის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, არის იმ კომპანიის ყოფილი დირექტორი, რომელმაც ზაჰესის ხიდი გაჭედა და დაასამარა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მილიონნახევარი ლარი მოიპარა. მისი გადმოყვანა მერიაში სამარცხვინო ფაქტია. ეს არის კორუფციული კავშირი მერიასა და ამ კომპანიას შორის“.***

კიდევ რას ედავებიან „ნაციონალები“ მერიას?

**„ალიას“ ირაკლი აბესაძე ესაუბრა:**

**— ირაკლი, იქნებ უფრო დააკონკრეტოთ, რას ედავებით მერიის ახალბედა ჩინოვნიკს, მაია გოგიბერიშვილსა და იმ კომპანიას, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა?**

– 2014 წლის დეკემბერში თბილისის მერიასა და სამშენებლო კომერციულ კორპორაცია „ხიდს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც „ხიდს“ უნდა მოეხდინა ავჭალაში მდებარე ხიდის რეაბილიტაცია. „ხიდს“ წინსწრებით ჩაერიცხა 1 მილიონ 800 ათასი ლარი შესასრულებელი სამუშაოებისთვის. „ხიდმა“ ამ თანხიდან დაახლოებით 300 ათასი ლარი გახარჯა, საქმე არ გაუკეთებია, სამუშაოები შუა გზაზეა მიტოვებული, დანარჩენი თანხა კი კაცმა არ იცის, სად წავიდა. ჩვენ გვაქვს სერიოზული ეჭვი, რომ საქმე გვქონდა კორუფციულ გარიგებასთან მერიის ხელმძღვანელებსა და შპს „ხიდის“ მესვეურებს შორის. ცხადია, ამას სჭირდება გამოძიება. მართალია, ამ კომპანიას კონტრაქტი შეუწყვიტეს, ახალი ტენდერები გამოცხადდა ხიდის სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოებისთვის, მაგრამ მომდევნო 9 თვის განმავლობაში, ზაჰესის ხიდი ჩაკეტილი იქნება მოსახლეობისთვის. ახლა წარმოიდგინეთ, ამ შპს „ხიდის“ ერთ-ერთი ყოფილი დირექტორი დაინიშნა მერიის კეთილმოწყობის სამსახურის განყოფილების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად და მის სამსახურს სწორედ თბილისში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ევალება. რა არის ეს, თუ არა თავგასულობა და ხალხის დაცინვა? მე შეგნებულად არ ვამბობ მის სახელსა და გვარს...

**— მაგრამ მისი ვინაობა დღეს საკრებულოს სხდომაზე გაჟღერდა.**

– კი, ბატონო, ეს ქალბატონი გახლავთ. ამხელა პროექტები ჩაგიგდო ამ კომპანიამ, მილიონ-ნახევარი ლარი მოგპარა და მის ერთ-ერთ ხელმძღვანელს როგორ ენდობი და როგორ ნიშნავ ამხელა თანამდებობაზე? როგორი პროფესიონალიც არ უნდა იყოს, არ შეიძლება ამ კომპანიის დირექტორის არა თუ ამ თანამდებობაზე, საერთოდ, მერიაში სხვა პოსტზე დანიშვნა.

**— ამ 1 მილიონ 500 ათასი ლარის ამოღებას არ აპირებს მერია?**

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მერია კი ცდილობს, ეს თანხა უკან დაიბრუნოს და საურავებიც დააკისროს „ხიდს“, მაგრამ ამას ვერ ახერხებს. კონტრაქტორ კომპანიას არ აქვს ფული, რომ მერიას უკან დაუბრუნოს. მართალია, „ხიდს“ მერიიდან წინასწარ გადმორიცხული თანხის საფასურად საბანკო გარანტიები ჩადებული ჰქონდა, მაგრამ ამ ქონების ამოღებას ვერ ახერხებს მერია, რადგან ხელშეკრულება ძალიან არაპროფესიონალურად, შესაძლოა, განზრახ არის ისე გაფორმებული, რომ იურიდიულად ვერ ახდენს „ხიდის“ საბანკო უზრუნველყოფის ამოღებას მერია. საბანკო გარანტიები რომელმა ორგანიზაციამაც გასცა, მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე მოგახსენებთ, მისგან ვერ იღებენ იმ მილიონნახევრიან ქონებას, ან ადეკვატურ თანხას. 2 თვეზე მეტია, მერიიდან ეს კონტრაქტი გამოვითხოვე, მაგრამ არ მაძლევენ. ყოველი შემთხვევისთვის, ეს მილიონ-ნახევარი ლარი დღემდე დაკარგულია ბიუჯეტისთვის და ძალიან მეეჭვება, რომ საერთოდ ამოიღონ. რა იურიდიულ დარღვევებზეა ლაპარაკი, განზრახ ჩაიდო ეს იურიდიულად ნაკლული მუხლები კონტრაქტში თუ არა, ეს უკვე გამოძიების საქმეა, ისევე, როგორც მთლიანად „ხიდისთვის“ ამ კონტრაქტის გაფორმება, მისთვის ამხელა თანხის წინასწარ ჩარიცხვა და საერთოდ, მთელი ეს ამბავი, გამოძიების პრეროგატივაა. თუმცა, ამ საქმის გამოძიებას, როგორც ვატყობ, ჯერ არავინ აპირებს. პროკურატურაში არ არის საქმე ამ ფაქტზე აღძრული.

**— როცა „ხიდსა“ და მერიას შორის ეს კონტრაქტი გაფორმდა, მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი ავთანდილ სუდაძე იყო. ამ სამსახურში სახელმწიფო აუდიტი რომ იყო შესული, თუ იცით, ეს კონტრაქტიც შეისწავლეს?**

– რასაკვირველია, შეისწავლეს და ეს და სხვა ამგვარი კონტრაქტები იყო მიზეზი ავთანდილ სუდაძის თანამდებობიდან „გაპარებისა“.

**— მის გარდა, კიდევ ვინ შეიძლება იყოს მერიის ჩინოვნიკთაგან ამ გარიგების მონაწილე?**

– ვიცე-მერი, გიორგი სოლომონია კურირებდა ამ შესყიდვებს და შეუძლებელია, მილიონნახევრიანი კონტრაქტი მის გარეშე გაფორმებულიყო. ჯერ ხელს არ ვადებ არავის, მაგრამ გამოძიება თუ დაინტერესდება ამ საქმით, დიდი ეჭვი მაქვს, რომ „ხიდის“ კონტრაქტთან დაკავშირებით, სოლომონიას გვარიც ამოტივტივდება.

**— დავით ნარმანია შეიძლება იყოს ამ საქმეში გარეული?**

– დავით ნარმანიამ, მინიმუმ, იცის ამ კორუფციული გარიგების შესახებ და დუმს. მერის მიერ ასეთ დანაშაულზე დუმილი კი თავისთავად დანაშაულია. მთავარი ის არ არის, გარეული იყო თუ არა მაია გოგიბერიშვილი ამ კორუფციულ სქემაში. მთავარი ის არის, რომ ამგვარი კომპანიის ერთ-ერთი დირექტორი მერიაში ამხელა პოსტზე არ უნდა დანიშნო და თანაც, ყველას გულის გასახეთქად, მაინცდამაინც კეთილმოწყობის სამსახურის მაღალჩინოსნად, ინფრასტრუქტურული პროექტების ერთ-ერთ მენეჯერად.

**„ვიცე-მერი, გიორგი სოლომონია კურირებდა ამ შესყიდვებს და შეუძლებელია, მილიონნახევრიანი კონტრაქტი მის გარეშე გაფორმებულიყო. ჯერ ხელს არ ვადებ არავის, მაგრამ გამოძიება თუ დაინტერესდება ამ საქმით, დიდი ეჭვი მაქვს, რომ „ხიდის“ კონტრაქტთან დაკავშირებით, სოლომონიას გვარიც ამოტივტივდება“**

ირაკლი აბესაძესთან ინტერვიუ დასრულებული მქონდა, რომ ერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას გადავაწყდი. როგორც ირკვევა, შპს „ხიდი“ ერთხელ უკვე იყო კორუფციული გარიგების მონაწილე. 2015 წლის 19 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მითვისების ფაქტზე, შპს „ხიდის“ დამფუძნებელი, თეიმურაზ წივწივაძე დააკავა. გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნულმა კომპანიამ სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, „ხიდს“ უნდა მოეხდინა ქალაქში ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაცია და მისი ევროსტანდარტების დონეზე მოწყობა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიუხედავად, კონტრაქტორმა კომპანიამ არ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა და მისმა დამფუძნებელმა თეიმურაზ წივწივაძემ მიითვისა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი ნახევარ მილიონზე მეტი თანხა. საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით.

ამის შემდეგ ხელახლა დავუკავშირდი ირაკლი აბესაძეს, რომელმაც დამიდასტურა, რომ ფოთის სტადიონის რეაბილიტაციისთვის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ დაკავებული თეიმურაზ წივწივაძე, სწორედ იმ შპს „ხიდის“ დირექტორი იყო, რომელიც ზაჰესის ხიდის რეაბილიტაციას აწარმოებდა.

„ალიას“ მაია გოგიბერიშვილის კომენტარის მოპოვებაც სურდა იმ ბრალდებებთან დაკავშირებით, რასაც მას და ერთ დროს, მის სამეურვეო კომპანია „ხიდს“ უყენებენ საკრებულოს წევრები და მათ შორის, ირაკლი აბესაძე. ამ მიზნით მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, ნონა ყანდიაშვილს დავურეკე, მაგრამ ჩემს ზარებს არ უპასუხა. ამის შემდეგ, სმს-ი გავუგზავნე ქალბატონ ყანდიაშვილს: „ნონა, გამარჯობა! ლევან ჯავახიშვილი დაწუხებთ გაზეთ „ალიადან“. თუ შეიძლება, მერიის კეთილმოწყობის სამსახურის განყოფილების უფროსთან, მაია გოგიბერიშვილთან მინდა დაკავშირება და დამეხმარეთ. დღეს მის მიმართ საკრებულოს ოპოზიციის მიერ გამოთქმულ ბრალდებებზე მინდა მიპასუხოს. ასევე, იმ კითხვებზე, რომლებიც მის მიმართ ჩემთან ინტერვიუში დაფიქსირა საკრებულოს დეპუტატმა ირაკლი აბესაძემ“. ნონა ყანდიაშვილს ამის შემდეგაც დავურეკე, მაგრამ მან კვლავ უპასუხოდ დატოვა ჩემი ზარები. თუ ქალბატონ მაია გოგიბერიშვილს პრეტენზია გაუჩნდება, რომ მისი პოზიცია არ დავაფიქსირეთ გაზეთში, მე ნურაფერს დამაბრალებს, ნონა ყანდიაშვილს მოჰკითხოს. მე მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ დაწესებული ნორმებით ვმოქმედებ – მერიის ნებისმიერ ჩინოვნიკს მხოლოდ მერიის ამ სამსახურის ნებართვა-შეთანხმების შემდეგ ვართმევ კომენტარს.

# რუსეთს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში მუშაობა აეკრძალა



ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მმართველმა კომიტეტმა შეათანხმა პრეზიდენტ ანნ ბრასერის პოზიცია, იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთს ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობის უფლება არ ექნება.

როგორც ანნ ბრასერმა განაცხადა, რუსეთის დელეგაციას ასამბლეის საქმიანობაში მონაწილეობა, რუსეთის პარლამენტის ახალ არჩევნებამდე ექნება ჩამორთმეული.

ბრასერის თქმით, იურიდიული პოზიცია, რომელიც მან რუსეთს ერთი კვირის წინ გაუგზავნა და რომელიც ითვალისწინებს, რომ რუსეთი ვერ შეძლებს საკუთარი დელეგაციის ფორმირებას წლის ბოლომდე, ძალაში რჩება.

– გამონაკლისი ამ შემთხვევაში მხოლოდ არჩევნებია. რუსეთში არჩევნები მიმდინარე წლის სექტემბერშია დაგეგმილი, – აღნიშნა ბრასერმა.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის განცხადებით, რუსეთის დელეგაციამ უარი განაცხადა ასამბლეის ზამთრის სესიაში მონაწილეობის მიღებაზე, რითაც მან დაკარგა უფლება, 2016 წლის მანძილზე სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიეღო. (pia.ge)

# უკრაინელმა ჟურნალისტმა სააკაშვილს ნეხვი უწოდა



უკრაინელმა ჟურნალისტმა სერგეი სიდორენკომ ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს „მოსაწყენი ნეხვი“ უწოდა. ამის შესახებ მან „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე დაწერა.

– მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც ბევრი გენიალურ პოლიტიკოსს უწოდებს, დახურულ სხდომაზე ძალიან მოსაწყენი ნეხვი აღმოჩნდა. მე არ ვხუმრობ, იმდენად მოსაწყენი, რომ სიტყვები არ მყოფნის, – დაწერა ჟურნალისტმა.

სიდორენკოს თქმით, სხდომაზე სააკაშვილი დიდი ხნის განმავლობაში მონოტონურად და მოსაწყენად კითხულობდა თავისი პროგრამის ტექსტს, რომელშიც 20-მდე პუნქტია. სიდორენკოს მიაჩნია, რომ სააკაშვილი მის მიერვე შემოთავაზებული რეფორმების არსს ბოლომდე ვერ ხვდება.

– ის რაღაცა კანონის მიღებას ითხოვდა და გაირკვა, რომ ეს კანონი დიდი ხნის წინათ არის მიღებული. საბოლოოდ მისი შემოთავაზება ასე ჩანდა – გაუმჯობესება კარგია, ხოლო გაუარესება – ცუდი, – წერს უკრაინელი ჟურნალისტი. (plus.kvira.ge)

## ბავშვის აფერა თბილისის მეტროში, რომელმაც პოლიციელები დააბნია



ერთ-ერთი „ფეისბუქ“ – მომხმარებელი წერს. დღეს ერთი ბავშვი ვნახე, რომელსაც ადრეც შევხვედრივარ, ოღონდ სხვა ვითარებაში, სულ გადამავიწყდა ის პრობლემა, რომელიც ამას წინათ შეგვემთხვა.

მეტროში, მეტრომანში თანხის შესავსებად მივიწევდი სალაროსთან. ნუ, „ფეიბოქსითაც“ შემეძლო, მაგრამ მანდ ხომ იცით რამხელა რიგებია, თან ხალხი გაუგებარი სახით რომ დგას, მაღიზიანებს. ეს ბავშვიც იქ იდგა, სალაროსთან და ყველა იქ მდგომს, მათ შორის მეც, მეუბნებოდა – მოდი ჩემს „მეტრომანში“ ჩარიცხე ფული და გაგატარებო. თავიდან ვერ მივხვდი, რა ხდებოდა, ან რა უნდოდა ჩემგან ამ ბავშვს, პოლიციაც მოვიდა და ბავშვს დაუწყო კამათი, მართლა კამათი დაუწყო, იმიტომ, რომ კი იცოდა, რასაც აშავებდა, მაგრამ სამართლებრივი დარღვევა ვერ მოუძებნა და ძალით წააჩოჩიალა მეტროს გასასვლელ კარამდე.

ვერ გავიგე, რომელი იყო დამნაშავე. ეს ბავშვი ერთგვარ აფერასაც კი აკეთებდა, მაგრამ ლოგიკურად არ არღვევდა, ჩემი აზრით, კანონს, ან თუ არღვევდა, ეს პოლიციელი რაღას ეკამათებოდა, როგორც წესია, აუხსენი, რას აშავებს ადამიანი და მიიღე ზომები. ასე დავიბენით ყველა პოლიციელით დაწყებული, მოლარით დამთავრებული.

P.S. ბავშვი არიცხვინებს სხვას თავის „მეტრომანზე“ თანხას, მგზავრობისას ზუსტად რამდენი წუთი შეგიძლია არ ვიცი უფასოდ მგზავრობა, მაგრამ გარკვეული დრო უფასოდ მგზავრობ. ამ ბავშვს ერიცხება თანხა ანგარიშზე ისე, რომ არ ეხარჯება და შემდგომ ანაღდებს. (ნიუპოსტი)

## ეკა ყუშიტაშვილი გათხოვდა — „ამაღამ ვნახოთ, ჩემი ბიჭი რა წყალს გადამავლებს...“



ეკა ყუშიტაშვილი გათხოვდა, ამის შესახებ სკანდალური სახე სოციალურ ქსელში თავად წერს.

თხოვნაზე, რომ საყვარელი მამაკაცის ფოტო გაასაჯაროოს, ეკა აცხადებს, რომ ჯერჯერობით ჟურნალისტებს უმალავს, მაგრამ რჩეულით კმაყოფილია.

– ამაღამ ვნახოთ, ჩემი ბიჭი რა წყალს გადამავლებს. ჯერ სვამს და ზედ არ მიყურებს. წეღან მეუბნება, ბარტყო, ჩქარა დაწერე „ფეისბუკზე“ არ დაგაგვიანდესო, ძალიან დამცინის, – წერს საქორწინო სუფრიდან სტატუსს ეკა. (etanews.ge)




ნინო ლაბარტყავა

571 99-92-33


ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა პროკურატურაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ წევრების წინააღმდეგ, რომლებმაც ლევან მურუსიძის მოსამართლედ დანიშვნას მხარი დაუჭირეს, საჩივარი შეიტანა. ამასთანავე, ხატიაშვილი ითხოვს, საქართველოს პარლამენტში შეიქმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლის საზოგადოებისთვის მიუღებელი მოსამართლეების კანდიდატების გამწესებას.

**რას აპირებს ხატიაშვილი, თუკი პარლამენტი მის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს?**

„ალიას“ ზაზა ხატიაშვილი ესაუბრა:

**— როგორც ამბობენ, მთავარ პროკურორად ირაკლი შოთაძის დანიშვნა ივანიშვილის პირადი გადაწყვეტილებაა და საჩივრის შეტანას რა აზრი ჰქონდა, თავად ამბობდით, ივანიშვილი მურუსიძეს ხელს აფარებსო...**

– მართალი ბრძანდებით... მე ყველა საშუალება უნდა ამოვწურო, რაც ჩემს ხელთ არის. ეს ერთ-ერთი უწყებაა (და გეტყვით, კიდევ სად შემაქვს საჩივრები), სადაც ვალდებული ვარ, საჩივარი შევიტანო. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ამ ეტაპზე ამას არაფერი მოჰყვება, მაგრამ ექვსი თვის შემდეგ ხელისუფლება, სავარაუდოდ, ხომ შეიცვლება? ორი-სამი წლის წინათ შეტანილმა საჩივრებმა ახლა მოიტანა შედეგი, გამოძიება თავიდან დაიწყო. მე ვთქვი, რომ ბოლომდე ვიბრძოლებ იმისთვის, რომ „მურუსიძეები“ სასამართლო სისტემაში არ იყვნენ-მეთქი და სამოქალაქო საზოგადოებამ რომ არ იფიქროს, გავჩერდი, საჩივარი იმიტომ შევიტანე. 26 იანვარს შემაქვს პარლამენტში განცხადება საგამოძიებო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით და რას ვუთითებ, გეტყვით: თქვენ კარგად გახსოვთ, ბატონმა დავით უსუფაშვილმა პარლამენტის პირველ სხდომაზე დეპუტატებს მიმართა – რომ არა ქალბატონი ირინა ენუქიძე, ჩვენ ვერ გავიმარჯვებდითო. აი, ზუსტად ასე ვიწყებ ჩემს განცხადებას უსუფაშვილის სახელზე. როდესაც მურუსიძე დანიშნეს, გამოვიდა ზოგიერთი პარლამენტარი და ლამის, ნიანგის ცრემლები აღვარღვარა, ეს რა შეცდომა დაუშვა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომო, მაგრამ ჩვენ ჩარევის უფლება არ გვაქვსო. ამიტომ შემაქვს განცხადება, ვითხოვ საგამოძიებო კომისიის შექმნას ლევან მურუსიძის დანიშვნასთან დაკავშირებულ უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით, რომელიც ჩაიდინეს როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებმა, ასევე იმ არამოსამართლე წევრებმა, რომლებიც თავად უმრავლესობამ დანიშნა.

**— რა მტკიცებულებები გაქვთ ამასთან დაკავშირებით?**

– 100-პროცენტიანი მტკიცებულებები მაქვს: ევა გოცირიძე და ვახტანგ თორდია იყვნენ 28 დეკემბერს „მაესტროს“ ერთ-ერთ გადაცემაში, სადაც განაცხადეს, – ჩვენ ვიცოდით, რომ ლევან მურუსიძეს სამოქალაქო საზოგადოებაში ცუდი რეპუტაცია ჰქონდა და კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებდა, მაგრამ მაინც დავნიშნეთ, რადგან ის მოსამართლეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობსო. საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 36-ე მუხლი პირდაპირ ამბობს, რომ მოსამართლის დანიშვნის კრიტერიუმებია მათი კეთილსინდისიერება, პატიოსნება და მაღალი ავტორიტეტი საზოგადოებაში. როცა იცოდი, მას ცუდი რეპუტაცია ჰქონდა და ეს მუხლი შენ გიკრძალავდა ამ ადამიანისთვის ხმის მიცემას და ხმა მაინც მიეცი, ეს არის, მაქსიმუმ, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, მინიმუმ კი, სამსახურეობრივი გულგრილობა, თუმცა სახეზე უფრო თანამდებობის ბოროტად გამოყენებაა, რადგან ევა გოცირიძემ, კახა სოფრომაძემ და ვახტანგ თორდიამ თავისი თანამდებობა ბოროტად გამოიყენეს და „საერთო სასამართლოების“ კანონის შესაბამისი მუხლის გვერდის გავლით, მიიღეს ის გადაწყვეტილება, რომელიც მოსამართლე წევრებიდან მოდიოდა.

**— რაც შეეხება უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებს?**

– თქვენ გახსოვთ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, მოსამართლე წევრებმა ჩაატარეს პრესკონფერენცია და ლევან მურუსიძეს ღიად დაუჭირეს მხარი. არადა, კენჭისყრა არის ფარული. ამით მათ ერთ-ერთ კანდიდატს მიანიჭეს აშკარა უპირატესობა სხვა კანდიდატებთან მიმართებაში, ვინაიდან სხვა კანდიდატებიც დაინიშნენ მოსამართლეებად, ხომ? მაგრამ მათ სასარგებლოდ იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრებს პრესკონფერენცია არ გაუმართავთ. ეს ერთი. მეორე: დააკვირდით, რა არის სისხლის სამართლის დანაშაული და თანამდებობის ბოროტად გამოყენება: გოცირიძემ და თორდიამ 28 დეკემბერს „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში განაცხადეს, – ჩვენ თუ არ მივცემდით ხმას მურუსიძის კანდიდატურას, საბჭოს მოსამართლე წევრები სხვა კანდიდატებს არ დაუჭერდნენ მხარს და დანიშვნის პროცესი ჩიხში შევიდოდაო. ეს ადასტურებს, რომ იუსტიციის საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის იყო, სავარაუდოდ, ბინძური გარიგება, რომელიც გამოიხატა პირადად ჩემთვის ულირსი კანდიდატისთვის ხმის მიცემით.

**— გჯერათ, რომ საგამოძიებო კომისიას შექმნიან პარლამენტში? ლარის გაუფასურების გამო, ქვეყანა თავზე გვემხობა, ამ საკითხის განსახილველად არ შეუქმნიათ კომისია და თქვენს მოთხოვნას დააკმაყოფილებენ?**

– რა თქმა უნდა, არ შეიქმნება, ვიცი ეს ყველაფერი, მაგრამ მე გეტყვით, საით მივდივარ: გახსოვთ, დეკემბერში რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია შევკრიბე და ვუთხარით, რომ რეფერენდუმი არის ერთადერთი ხსნა და ვინაიდან მას საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს, 200 ათასი კაცის ხელმოწერას რომ ავიღებთ და რეფერენდუმს მოვითხოვთ, 80 პროცენტი ხომ მაინც მისცემს ხმას, რომ იუსტიციის საბჭო უნდა იქნას დათხოვნილი? რეფერენდუმს ხომ, ფაქტობრივად, კანონის ძალა აქვს? მაშინ რეფერენდუმის ჩატარებაზე მხარი არ დამიჭირეს და თქვეს, ჯერ პარლამენტს მივმართოთ, რადგან პარლამენტარები აკეთებენ განცხადებას, რომ ისინიც შეწუხებულები არიან მურუსიძის დანიშვნითო. ამიტომ მე ამ საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციას ახლა ვაჩვენებ, რომ ზოგიერთი პარლამენტარის შეწუხებული განცხადებები და რომ თურმე, პროკურატურა დამოუკიდებელია, ეს არის ჩიხი და ჩვენ გვაქვს ერთადერთი შანსი, სასწრაფოდ დავიწყოთ სარეფერენდუმო პროცედურა და ეს იქნება ივანიშვილის დასამარება! რადგან რეფერენდუმი თუ დაინიშნა, ივანიშვილი სამოქალაქო სექტორიდან, მაქსიმუმ, ხუთ პროცენტს აიღებს, ხოლო თუ არჩევნები გააყალბა და სახელმწიფო რესურსი გამოიყენა, მაშინ 15-20 პროცენტზე მეტს ვერ მიიღებს. მე თავიდანვე ვთქვი და თქვენც გითხარით, ძალიან ჭკვიანური კითხვა დამისვით-თქო, რომ ივანიშვილი, რომელიც დგას ამ უბედურების უკან, რასაც მურუსიძეების სასამართლოში დანიშვნა ჰქვია და რომელიც ერთმნიშვნელოვნად მართავს პარლამენტს, ამასთან დაკავშირებით პარლამენტარების განცხადებები არის ბლეფი. ახლა რომ შევიტან ამ განცხადებას და დავასაბუთებ, რომ უნდა შეიქმნას საგამოძიებო კომისია და პარლამენტი იტყვის – არაო, ამის მერე რომ დაველაპარაკები საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციას, რომლის გარეშეც ძალიან რთული იქნება იმ 200 ათასი ხელმოწერის მოგროვება – უკვე სხვა თემა იქნება. მარტო მე ხომ არ მტკივა, კაცო, მურუსიძე?

**— კიდევ ვის სახელზე ან რომელ უწყებაში აპირებთ განცხადების შეტანას?**

– მე გავდივარ იმ გზას, რაც, ჩემი აზრით, გასავლელია, რათა მთელი საზოგადოება დარწმუნდეს, რომ პარლამენტი და ივანიშვილი არაფრის გამკეთებლები არ არიან და ის განცხადებები, რომ თურმე, ძალიან წუხან, რომ გირგვლიანის მოსამართლე დაინიშნა, არის სიცრუე და რომელი დეპუტატებიც მხარს არ დაუჭერენ საგამოძიებო კომისიის შექმნას, ისინი არიან ნამუსგარეცხილი პარლამენტარები!

**— თუ ამ საკითხებთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისია მაინც არ შეიქმნა და არც პროკურატურაში შეტანილ საჩივარს მოჰყვა რეაქცია, რას აპირებთ?**

– დიდი ალბათობით, საპროტესტო აქციებს გავმართავთ. მერე არასაპარლამენტო ოპოზიცია ვეღარ მეტყვის, პარლამენტს მივმართოთო. უნდა დავიწყოთ რეფერენდუმის ჩატარება, რასაც სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა მოჰყვება. მე როდესაც ერთი ამბავი ავტეხე ამ თემაზე სოციალურ ქსელში, ფაქტობრივად, „ფეისბუკი“ აფეთქდა და უამრავი ადამიანი იზიარებდა ჩემს ნათქვამს, მათ შორის ისეთებიც, ვინც ბიძინა ივანიშვილის პორტრეტიანი მაისურებით დადიოდნენ. თან პარლამენტში რა შემაქვს, იცით? მე ვადასტურებ, რომ 2012 წლის ნოემბერში ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის მოხდა გარიგება. პარლამენტში შემაქვს იუსტიციის მინისტრის, თეა „მურუსიძის“ სახელზე ადრე შეტანილი განცხადება, როცა ვითხოვდი კონკრეტული მოსამართლეების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას და უტყუარი მტკიცებულებები წარვადგინე, კერძოდ: ერთ დღეში სააპელაციო და საკასაციო სასამართლომ კონკრეტული პირის მიმართ განაჩენი გამოიტანეს, რაც შეუძლებელია, რადგან ყველა პროცედურას თავისი ვადები აქვს. მაგრამ ამას ერთ დღეში აკეთებდნენ იმიტომ, რომ ადამიანს აკულაკებდნენ და ფულს ახდევინებდნენ! თეას ეს ყველაფერი პირადად მივეცი და ამ დოკუმენტებს პარლამენტში შევიტან. ფაქტობრივად, თეა წულუკიანმა დანაშაული დაფარა და ორწელიწადნახევარია, ელემენტარულად, პასუხი არ მოუწერია (მაშინ გენერალური პროკურორი იყო). მოკლედ, ეს განცხადებები და საჩივარი მათი დიდი ლუსტრაცია იქნება, ვინც ამას მხარს არ დაუჭერს. ალასანიას გუნდმა მითხრა, რასაც შენ შემოიტან, იმ საკითხს დავაყენებთო. „ოცნების“ პარლამენტარები რომ ლამის, ცხარე ცრემლით ტირიან, ეს რა დაგვემართა, კაცო, ჩვენმა არჩეულმა წევრებმა ლევან მურუსიძეს მისცეს ხმაო, თუ ეს პარლამენტი არ იყო გარიგებაში შესული გოცირიძესთან, თორდიასთან და სოფრომაძესთან, ახლა გამოჩნდება.



**ზაზა ხატიაშვილი: „რომელი დეპუტატებიც მხარს არ დაუჭერენ კომისიის შექმნას, არიან ნამუსგარეცხილები!“**



> **„მე გავდივარ იმ გზას, რაც, ჩემი აზრით, გასავლელია, რათა მთელი საზოგადოება დარწმუნდეს, რომ პარლამენტი და ივანიშვილი არაფრის გამკეთებლები არ არიან და ის განცხადებები, რომ თურმე, ძალიან წუხან, რომ გირგვლიანის მოსამართლე დაინიშნა, არის სიცრუე და რომელი დეპუტატებიც მხარს არ დაუჭერენ საგამოძიებო კომისიის შექმნას, ისინი არიან ნამუსგარეცხილი პარლამენტარები!“**

## „რაც ნაკლებად დაუპირისპირდებიან ჩვენი კოლეგები ევროპულ ინსტიტუტებს, მით უკეთესი“, — დავით ბაქრაძე



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი დავით ბაქრაძე, ეკა ბესელიას მიერ გაკეთებულ განცხადებას პასუხობს.

ბაქრაძის განცხადებით, „რაც ნაკლებად დაუპირისპირდებიან ჩვენი კოლეგები საერთაშორისო ინსტიტუტებს და ამ ინსტიტუტების ლიდერებს, მით უფრო უკეთესი იქნება მათთვის“.

– მე ნამდვილად მინდა, დავარწმუნო ყველა, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტისთვის, ევროსაბჭოს პრინციპები ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი პირადი ან პარტიული მეგობრობა. რაც შეეხება ბატონ აგრამუნტის წარსულ რეპორტს, ასამბლეის შედეგი იყო 89/9-ზე და ამ 9 ხმის დიდი ნაწილი სწორედ „ქართული ოცნების“ წევრები იყვნენ. მათთვის უკეთესი იქნება, მიიღონ არსებული რეალობა და რაც უფრო ნაკლებად დაუპირისპირდებიან ევროპულ ინსტიტუტებს, მით უფრო ნაკლებად გააფუჭებენ საქართველო საქმეს, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.შეგახსენებთ, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახალმა პრეზიდენტმა მისასალმებელ სიტყვაში გიორგი უგულავა უკრაინელ ნადია სავჩენკოსთან ერთად მოიხსენია და თბილისის მერს „პოლიტპატიმარი“ უწოდა. (ნიუპოსტი)

## ბათუმში თოვლის საფარმა 20 სანტიმეტრს მიაღწია



თოვლის საფარმა ბათუმში 20 სანტიმეტრს მიაღწია. მიმდინარეობს გზის გაწმენდის სამუშაოები, თუმცა ტრანსპორტი შეუფერხებლად მხოლოდ ცენტრალურ ქუჩებზე გადაადგილდება.

ქობულეთში, მაღალმთიან სოფლებში თოვლის საფარმა 80 სანტიმეტრს მიაღწია. პარალიზებულია სოფლებისკენ მიმავალი გზები. თითქმის 6 ათას აბონენტს ელექტროენერგია არ მიეწოდება. 10 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი შეწყდა.

თოვლია აჭარის მთიანეთშიც, თუმცა ამ დროისთვის ცენტრალური ავტომაგისტრალი ჩაკეტილი არ არის. დიდთოვლობის გამო სასწავლო პროცესი მაღალმთიანეთის 10 საჯარო სკოლაშიც შეწყდა. (პირველი რადიო)

# წერილი შვილს: „შემეშინდება ხოლმე, დედი, ყვავების ანაბარა შემოვრჩით, მგონი...“



„შვილო, ახლა ზამთარი და სუსხია ჩვენთან, მაგრამ შეშა ჯერ ბევრი გვაქვს, არ ინერვიულოთ. მე და მამაშენი ყოველ დილით 6 საათსა და 30 წუთზე ვდგებით, წინდებს ამოვაცმევ ხოლმე ბეჩავს, აღარ შეუძლია წელში მოხრა, ჩაიბურტყუნებს ხანდახან: რა დრო იყო, ქალო, მე რომ გაცმევდი წინდებს დეკემბრის რიცხვებშიო, თომას ველოდებოდით არა მაშინ? მკითხავს ხოლმე, თითქოს შენს მეტს კიდევ დავლოდებოდეთ ვინმეს... ასწევს მერე თავის დაძარღვულ, გაცრეცილ ხელებს და მხრებზე ჩამომაწყობს, დაბერდა, შვილო, მამაშენი, ისე დაბერდა, მეტკინება ხოლმე მხრები და ლუმელის ანთებას მოვიმიზეზებ, რომ გავითავისუფლო. ხვდება, განა ვერა ხვდება, რომ აღარ შეუძლია...

შემოვდგამ მერე უზეგამოჟანგული ვედროთი წყალს, ღორებს რომ თბილი საჭმელი დავუსხა, ცოდონი არიან. ისეთი სუსხია, ისეთი, რომ ჩვენს წიქარას ცინგლები მიეყინება ხოლმე დრუნჩზე. მე ყოჩაღადა ვარ, დედა გენაცვალოს, სანამ შემეძლება, დავიკაპიწებ ხელებს და იმხელა ქვაბში ამოვიყვან ყველს, იდაყვამდე რომ დამიშრატიანდეს... იმ დიდ ქვაბში ვაგროვებ რძეს, ლიანა მამიდამ რომ მაჩუქა ქალაქში წასვლის წინ... ყველა მესამე დღეს მინდა ხოლმე აქა მყავდე, დედი, ამოგიღო შენს კარლსონიან ჭიქაში ჯერ არამოყვანილი ყველი... მერე რა გულიანად იცოდი ხვრეპა ბოლოში დარჩენილი შრატისა, ნეტავ ხომ არა გწყინდა ჩემი შენიშვნები ამ საქციელზე.

აღარავინ დარჩა სოფელში, დეე, ყოველი თვის ბოლოს დაბარებულივით ცხადდებიან სამსჯავროზე სოფლის უხუცესები, მაშინ თუ ახსენდება ახალგაზრდობას, რომ აქაც სუნთქავენ ჰაერს ჯერჯერობით, მაგრამ მიაბარებენ მიწას სახლის ყარაულებს, მიასხამენ წყალწყალა ღვინოს არგაციებულ, ორთქლიან მიწაზე და გამოკეტავენ საჩქაროდ კარებს, დაადებენ თოთო ბავშვის მუშტის ხელა ბოქლომს და მოდიან, შემეშინდება ხოლმე ცაცოაანთ უბანში გავლისა, მომაყრიან ქოქოლას ბოქლომდადებული სახლის ზღურბლები და შემეშინდება ხოლმე, დედი. ყვავების ანაბარა შემოვრჩით, მგონი...

აღარავინ დავრჩით, მიმისუსტდა მამაშენიც ძლიერ, აიმაღლებს ხავერდგადაკრული მუთაქით სასთუმალს და თვალებმინაბულს სევდა ელვენთება თითებიდან, ენატრებით.

ჭამითაც აღარ ჭამს ისე გემრიელად, წვნიანს შეხვრეპს გაწყალებული ტუჩებით და საყვედურებით სავსე, ვარდისწყლისფერ თვალებით მიყურებს მერე, ვერ კი ვხვდები, რა უნდა, მარილი ზომიერად აქვს.

განა მეტყვის რამეს?

ადგება უჩუმრად, ჩაილაგებს დარდებს თვალებში, გავა ყოველი დღის ოთხ საათზე ეზოს გარეთ, ჩამოჯდება ლურსმნებამოშვერილ სკამზე და გზას გაჰყურებს, თითქოს ელოდებაო ვისმეს...

გული მიკვდება, დედი, შენ ხომ კარგად იცი, მისი სუნთქვა რომ შემომაკლდეს, თავს ვერ ვიცოცხლებ, დედი... ველარ ამოვიყვან სამ დღეში ერთხელ ყველს.

იქნებ ჩამოხვიდე, მიმისუსტდა ერთადერთი შვილის მამა, დედი...

უკან რომ წახვალ, ნუ დაადებ ბოქლომს ჩვენს ეზოს კარს!!!“. (karibche.ambebi.ge)

## ირმა ინაშვილი: თინიკო-გამყალბებელმა ხელისუფლება სერიოზულად დააზიანა და ხელისუფლებამ ეს გააცნობიერა!



– თინიკო-გამყალბებელმა ხელისუფლება სერიოზულად დააზიანა და ხელისუფლებამ ეს გააცნობიერა! საგარეჯოს არჩევნები რომ გაყალბდა, ეს ყველამ ვიცით... მაგრამ თინიკო-გამყალბებელი არ ელოდა, რომ ამას ბრიუსელშიც დაიჯერებდნენ და ვაშინგტონშიც. არადა, დაიჯერეს.

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი განცხადებას ავრცელებს:

– ოპოზიციის მიერ წარდგენილი სამხილებიც მიიღეს და თინა-გამყალბებელს ნიღაბიც ჩამოეხსნა. ხან რუსებს გვეძახდა, ხან – ფაშისტებს, ვერც ამ იარლიყებმა უშველა ვითომლიბერალ და ვითომ დასავლეთის მოყვარულ თინიკო-გამყალბებელს. გარდაბანშიც იგივე ხრიკის გამოყენება სურს თინიკო-გამყალბებელს. აკი „სტუკაჩი“ ბერძენიშვილი გვეუბნება, – უკლებლივ ყველგან ჩვენ უნდა მოვიგოთ არჩევნებიო. ეტყობა, ვერ იჯერებს, რომ КГБ აღარ არსებობს. ტყუილად არ უთქვამთ – ყოფილი „კაგებეშნიკები“ არ არსებობენო.

პრემიერის განცხადება სპეცუბნების გაუქმების შესახებ, თინა-გამყალბებლისთვის გულში ლახვარია. ჯერ სად არის. მას და აგულაშვილს ციხე არ ასცდებათ. ყველაფერს თავისი დრო აქვს.

ვფიქრობ, რომ ხელისუფლებამ გააცნობიერა, რაოდენ დიდი უსინდისობა და უსამართლობა ჩაიდინა საგარეჯოში.

დარწმუნებული ვარ, იმასაც მიხვდა, რაოდენ დიდი ზიანი მიაყენა საკუთარ თავს. დადებითად ვაფასებ პრემიერის განცხადებას სპეცუბნების გაუქმების შესახებ. ახლა მთავარია, რომ ამ განცხადებას ხორცი შეესხას და თინა-დირექტორმა მთელი მთავრობა არ დაითხოვოს... მაგრამ პრემიერს მინდა ვუთხრა: ეს დასაწყისი უნდა გახდეს. ჩვენი მოთხოვნები თქვენ იცით. ჩვენი მოთხოვნები სამართლიანია. იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება იზრუნებს ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. იმედი მაქვს, რომ შიმშილობა და მიტინგები გაზაფხულზე აღარ დაგვჭირდება. არავის არც ვაშინებ და არც ვემუქრები. უბრალოდ, გეუბნებით: ჩვენ უკან არ დავიხევთ.

ვიცი, რომ თინა-გამყალბებელი, დავით-კომუნისტი (შეგახსენებთ, რომ დავით უსუფაშვილი 9 აპრილის ტრაგედიის მეორე დღეს შებრძანდა კომპარტიაში) და ძმები-„სტუკაჩები“ (ბერძენიშვილები) დღენიადაგ უმტკიცებენ ბიძინა ივანიშვილს – „პატრიოტებს“ რეიტინგი არ აქვთ და ისინი პარლამენტს მიღმა უნდა დავტოვოთო... ამ 0%-იან ოთხეულს ვპასუხობ: ჩვენ პარლამენტში შესვლისთვის არ ვიბრძვით. ჩვენ გამარჯვებისთვის ვიბრძვით და ჩვენ თქვენ აუცილებლად დაგამარცხებთ, – ნათქვამია ინაშვილის განცხადებაში. (რეპორტიორი)

## დავით კეზერაშვილს ქალიშვილი შეეძინა



ამის შესახებ „ფეისბუკის“ გვერდზე „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია წერს და პატარას მშობლებს – დავით კეზერაშვილსა და სოფო ჩიქოვანს მის დაბადებას ულოცავს:

– ვულოცავ ჩემს საყვარელ და ყველა სირთულეში გამოცდილ უახლოეს მეგობარს პატარა ელისაბედის შეძენას, – წერს გვარამია. (plus.kvira.ge)

# „საქართველოს რკინიგზა მოგიწოდებთ, გადაკვეთოთ ლიანდაგები მხოლოდ სპეციალურ გადასასვლელებზე და გაუფრთხილდეთ საკუთარ სიცოცხლეს!




გაცნობებთ, რომ რკინიგზის სადგურები, სამგზავრო ბაქნები, სარკინიგზო გადასასვლელები, ლიანდაგები, ასევე, მატარებლის მოძრაობასთან დაკავშირებული სხვა დაწესებულებები (ტერიტორიები) მომატებული საფრთხის ობიექტებს წარმოადგენს.

ს/ს „საქართველოს რკინიგზა“ მოგმართავთ თხოვნით, რკინიგზა მხოლოდ სპეციალურად განსაზღვრულ და მოწყობილ ადგილებზე გადაკვეთოთ, რათა საკუთარ სიცოცხლეს საფრთხე არ შეუქმნათ. რკინიგზის ხაზის უსაფრთხოდ გადაკვეთა მოქალაქეებს ფეხით სავალი ხიდების, გვირაბების, გადასასვლელებისა და სპეციალურად მოწყობილი ფენილების მეშვეობით შეუძლიათ.

რკინიგზის ლიანდაგებზე გავლა, იქ, სადაც არ არის ნებადართული, სპეციალური ადგილები, წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 106-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას, რომელსაც შესაბამისი სანქციები მოჰყვება.

პირველ ეტაპზე მოხდება მოქალაქის გაფრთხილება, ხოლო შემდგომ დაჯარიმება, შრომის ანაზღაურების ერთ მეათედ მინიმალურ ოდენობამდე. რკინიგზის სადგურებზე, სადაც არ არის ხიდი, ან გვირაბი, ქვეითმა ლიანდაგი ფენილზე უნდა გადაკვეთოს იმ ადგილზე, რომელსაც აქვს მინიშნება „გადასასვლელი“. ფენილზე გადასვლამდე მოქალაქე უნდა დარწმუნდეს, რომ ლიანდაგზე არ მოძრაობს მატარებელი, ლოკომოტივი ან ვაგონი.

მოძრავი შემადგენლობის მოახლოებისას მოქალაქემ უნდა გაატაროს ის, დარწმუნდეს იმაში, რომ მეორე ლიანდაგზეც არ არის მატარებლის მოძრაობა და მხოლოდ ამის მერე გადაკვეთოს ფენილი. რკინიგზის გადასარბენთან გადასვლისას, მოქალაქემ ყურადღება უნდა მიაქციოს შუქნიშანს, ხმოვან სიგნალსა და შლაგბაუმის მდგომარეობას.

გზის გადაკვეთა მხოლოდ ღია შლაგბაუმის დროს არის დაშვებული. ხოლო, თუ გადასარბენზე არ არის შლაგბაუმი, მოქალაქე გადასვლამდე უნდა დარწმუნდეს, რომ გადასარბენს არ უახლოვდება მოძრავი შემადგენლობა და მხოლოდ ამის მერე გადაკვეთოს გზა. კატეგორიულად აკრძალულია, დაკეტილი შლაგბაუმის დროს გადასვლა, სადგურებსა და გადასარბენებზე გაჩერებული ვაგონების ქვეშ გაძრომა. ასევე, აკრძალულია ლიანდაგის გასწვრივ სიარული 5 მეტრზე ნაკლებ მანძილზე.

დაუშვებელია, რკინიგზის ხიდებსა და გვირაბებში გასვლა, თუკი იქ არ არის ქვეითებისთვის მოწყობილი სპეციალური ბილიკი. კატეგორიულად აკრძალულია, რკინიგზის ხაზის გადაკვეთა იქ, სადაც არ არის შესაბამისი ნიშანი.

**„საქართველოს რკინიგზა“ მოგიწოდებთ, გადაკვეთოთ ლიანდაგები მხოლოდ სპეციალურ გადასასვლელებზე, შესაბამისი წესების დაცვით! და გაუფრთხილდეთ საკუთარ სიცოცხლეს!**

## დავით ონოფრიშვილი GDS-ისგან ახსნა-განმარტებას ითხოვს



„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი დავით ონოფრიშვილი ტელეკომპანია GDS-ის გადაცემა „59 წამის“ პროდიუსერებისგან ახსნა-განმარტებას ითხოვს. დეპუტატი ეჭვობს, რომ გადაცემის პროდიუსერებმა შემოსული ზარების რეალური მაჩვენებელი შეცვალეს.

– პროცენტული მაჩვენებელი იცვლებოდა არარეალურად. ჩემი რეიტინგი ძალიან სწრაფად და საეჭვოდ დაეცა. არ მგონია, ასეთი მანიპულაციებით „ჯიდიესმა“ პოპულარობა მოიპოვოს, მით უმეტეს პოლიტიკურ გადაცემებში. მეც და ძალიან ბევრ ადამიანს დაგვრჩა შთაბეჭდილება და გონივრული ეჭვი, რომ ხდებოდა ხელოვნური მანიპულირება ამ ინტერაქტივის. ეს არ არის ღირსეული საქციელი იმ ტელევიზიისგან, რომელსაც პრეტენზია აქვს, რომ მას ტელევიზია დაუძახონ. კარგი იქნება, თუ გადაცემის ხელმძღვანელობა ან წარმომადგენლობა გააკეთებს განცხადებას. როგორ ითვლებოდა რეიტინგი, – განაცხადა დეპუტატმა.

ონოფრიშვილს ეჭვი ეპარება იმაშიც, რომ ინტერაქტივში 23 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მისი ინფორმაციით, „59 წამს“ 6-7 ათასი მაყურებელი ჰყავს.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი იმედს გამოთქვამს, რომ ამ გადაცემას მონიტორინგს მედიაექსპერტებიც გაუწევენ.

– საინტერესო იქნება მათი აზრიც. ისინი სპეციალისტები არიან და შეუძლიათ თავიანთი მოსაზრება გამოთქვან, – დასძინა დეპუტატმა.

გადაცემა „59 წამში“ სტუმრობისას დავით ონოფრიშვილის რეიტინგი ინტერაქტივის შედეგების მიხედვით 52 პროცენტი იყო, მოგვიანებით მაჩვენებელი 12 პროცენტით შეიცვალა. როგორც სოციალურ ქსელში აღნიშნავდნენ, გადაცემის პროდიუსერებმა შემოსული ზარების მაჩვენებელი შეცვალეს.

დავით ონოფრიშვილი „ჯიდიესისგან“ ახსნა-განმარტებას ითხოვს. (ნიუპოსტი)

**„ალია“ შეეცადა ტელევიზიისგან კომენტარის მოპოვებას, თუმცა, სამწუხაროდ, „ჯიდიესთან“ დაკავშირება ვერ მოხერხდა.**

## ბედუკაძე: ესე რა შეგილოცათ იმ სულწარწყმედილმა, რომ საფლავის კარამდე მიჰყვებით?



– 2015 წელს საპატიმრო დაწესებულებებში 12 ადამიანის გარდაცვალების ფაქტი დაფიქსირდა, – იტყობინება პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ პრესსამსახური – „რუსთავი 2“.

თქვე კაი დედმამიშვილებო, როდის, რომელ წელს შეშფოთებულხართ ათჯერ, თორმეტჯერ და უფრო მეტი სტატისტიკის გამო?

მესმის, სირცხვილის გრძნობა დიდი ხანია დაგიკარგავთ, მონები ხართ და ეს თქვენი სულის ბუნებრივი მდგომარეობაა, მაგრამ სინდისის ხმა ხანდახან არ გამოდის თქვენთან კონტაქტზე? ესე რა შეგილოცათ იმ სულწარწყმედილმა, რომ საფლავის კარამდე მიჰყვებით?

გეკითხებით: 2003 წლიდან 2012 წლის 1-ელ ოქტომბრამდე პენიტენციურ სისტემაში მომხდარი რომელი პატიმრის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით გიმსჯელიათ საჯაროდ? თუ არჩევნები მოდის და ნაცად ფანდს მიმართავთ? იქნებ, ექსმინისტრ კალმახელიძის განცხადების გჯერათ, რომ იმ დროს ადამიანები „სიბერით“ კვდებოდნენ საპყრობილეებში?

რატომ არ იქმნება სპეციალური დეპარტამენტი მთავარ პროკურატურაში, რომელიც გამოიძიებს ამ საქმეებს ხელახლა? ნუთუ ვინმეს სჯერა, რომ მათგან ყველა თუ არა, დიდი ნაწილი სრულყოფილად გამოძიებულია და მაშინ გარდაცვალების რეალური მიზეზები არ გაყალბებულა?

რატომ ალაპარაკებთ ამდენს ადამიანებს, ვისაც ამის არც მორალური და არც ზნეობრივი უფლება არ აქვს? – წერს ვლადიმერ ბედუკაძე. (marshalpress.ge)

## ვლადიმერ პუტინი: კომუნისტური და სოციალისტური იდეები ბიბლიას მაგონებს



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ მას ჯერ კიდევ მოსწონს კომუნისტური და სოციალისტური იდეები. მისი თქმით, კომუნისტური კოდექსი მას ბიბლიას აგონებს.

– მე ძალიან მომწონდა და დღემდე მომწონს კომუნისტური და სოციალისტური იდეები. თუ ჩვენ კომუნიზმის კოდექსს გადავხედავთ, ის მოგაგონებთ ბიბლიას. ეს ხუმრობა არაა, ეს მართლა ერთგვარი ამონაწერია ბიბლიიდან, – ციტირებს „ინტერფაქსი“ პუტინს.

პუტინმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ კომუნისტურ კოდექსში, თანასწორობის, ძმობისა და ბედნიერების იდეებიც ფიქსირდებოდა. (ipress.ge)

## „9 წლის განმავლობაში პრეზიდენტი პირდაპირ ეთერში გეპარებოდათ კაიფში“



„პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი თარხან გასვიანი სოციალური ქსელის მეშვეობით მსახიობ მიშა მესხის ვიდეოს გამოეხმაურა, რომელიც უკრაინულმა მხარემ გაავრცელა:

– 9 წლის განმავლობაში პრეზიდენტი ყოველდღე პირდაპირ ეთერში გეპარებოდათ კაიფში. მაშინ გეწერათ ამდენი სალანძღავი სტატუსი, მაშინ აღშფოთებულიყავით მთელი ერი, ახლა რომ გადაგვაყოლეთ ერთ მიშა მესხს....ძალიან რომ გიყვართ ამერიკული კინოხელოვნება, ნახევარი ჰოლივუდი ჰეროინზე ზის და რა გაგიკვირდათ?

სირცხვილი უკრაინელ ჟურნალისტებს!!! ხომ შეეძლოთ, სახეები დაეფარათ?

ან რა გასავრცელებელი ეს ვიდეო იყო! ან თუნდაც ერთს, მხოლოდ ერთ ადამიანს მაინც მოგეკითხათ, როგორ არის ამჟამად,...სოციალური ქსელის მეშვეობით მაინც.

მოკლედ, ყველამ საკუთარ გულში ჩაიხედოს და გვეშველება, მანამდე ჩვენი საშველი არ არის, – წერს გასვიანი. (marshalpress.ge)

## ე.წ. კანონიერ ქურდ „ლავას ოღლის“ ბრალი უახლოეს მომავალში წარედგინება — შსს-ს განცხადება



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი, აჭარის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის პოლიციის დეპარტამენტები აწარმოებენ გამოძიებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, სსკ-ს 18-179-ე მუხლის მეორე ნაწილით და სსკ-ს 151-ე მუხლით.

დღეის მდგომარეობით, გამოძიების მიერ აღნიშნულ საქმეებზე მოპოვებულია დამატებითი მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც მხილებულ იქნა ე.წ. კანონიერი ქურდი მინდია გ., მეტსახელად „ლავას ოღლი“.

შედეგად, გამოძიება შევიდა დასკვნით ფაზაში და უახლოეს მომავალში მინდია გ.-ს წარედგინება ბრალი.

მინდია გ. 2015 წლის დეკემბერში დაკავებული იქნა მოლდოვის რესპუბლიკაში. მიმდინარეობს მისი საქართველოში დეპორტაციის პროცესი. (ნიუპოსტი)

## მტკვარმა ქალის ცხედარი გამორიყა

თბილისში, მდინარე მტკვარმა ქალის ცხედარი გამორიყა. ფაქტს შს სამინისტროში ადასტურებენ. უწყების ცნობით, მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

თვითმხილველთა განცხადებით, ცხედარი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რესტორან „აფხაზეთთან“ შენიშნეს.

ადგილზე მისულმა მაშველებმა მდინარიდან გარდაცვლილის ამოყვანა მოახერხეს.

გარდაცვლილის იდენტიფიცირების მიზნით დანიშნულია ექსპერტიზა. (ნიუპოსტი)

მარიკა არღვლიანი

551 81-55-88



გასულ დღეებში „ფეისბუკზე“ გამოჩნდა გვერდი სახელწოდებით: „გამოიყოს სალოცავი კუთხე მეტროს ყველა ვაგონში“, გვერდის მთავარ ფოტოზე კი ილია მეორის სურათია დაყენებული.

როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, სოციალურ ქსელში რელიგიასთან დაკავშირებული, თანაც საკმაოდ ხმაურიანი და უცნაური თემის გამოჩენას ერთი დიდი გამიშვი-გაგიშვი მოჰყვა – „ფეისბუკის“ მომხმარებლები ძირითადად, მართლმადიდებლობას აგინებენ, ლანძღავენ, თათხავენ...

გვერდის სახელწოდებამ, ვაღიარებ, არც თავად მომხიბლა, თუმცა გადავწყვიტე, სანამ რაიმე უარყოფითს დავწერდი, სანამ ვინმეს გავლანძღავდი, ჯერ სიტუაციაში კარგად გავრკვეულიყავი.







## ვინ ითხოვს მეტროპოლიტენის მატარებლების ვაგონებში სალოცავი კუთხეების მოწყობას — რა უთხრა „ალიას“ „ინიციატივის“ ავტორმა

რაც ყველაზე გამაღიზიანებელია, გვერდის ადმინისტრატორები წერენ, რომ ქრისტიანები, რომლებიც ვაგონებში სალოცავი კუთხის გამოყოფის იდეას მხარს არ დაუჭერენ, უფლისგან შეირისხებიან და ჯოჯოხეთში ჩაიფერფლებიან...

რა გაარკვია „ალიამ“ და მართლა ითხოვს თუ არა მართლმადიდებლების ერთი ჯგუფი მატარებლის ყველა ვაგონში სალოცავი კუთხის გამოყოფას, ამას ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი „ფეისბუკში“ ამ სიახლესთან დაკავშირებით გაკეთებულ რამდენიმე კომენტარს შემოგთავაზებთ:

– მე ქრისტიანი ვარ. ქრისტიანის ერთადერთი იარაღი მხილებაა, ჰოდა, გეუბნებით – თქვენ აცდით უფლის სიტყვას!

– რესტორნებს უპრიანია ჰყავდეთ მამაო, რომელიც მოქეიფეებს სუფრას უკურთხებს და საქეიფო სანთელს აუნთებს. მეტროში უაზრობაა...

– რა საინტერესოა, ერთი მხრივ ჩაკეტილი წრე და მეორე მხრივ ირონიაა – მამაოები ცდილობენ, „არწმუნონ“ ხალხი მეტროთი იმგზავრონ, რათა მათ თავად არ მოუწიოთ მეტროთი მგზავრობა... ჯიპები ფორევერ, ევერ და კიდევ ევერ!

– წირვებიც და ზიარებებიც ვაგონებში ჩატარდება?

– მაპატიეთ, მაგრამ მაინც მგონია, რომ ეს რაღაც ფეიკია, ხუმრობა და თუ ეს სიმართლეა და სერიოზულად... – თქვენ შიგ ხომ არ გაქვთ?!

– თქვე უბედურებო, საქართველო ირანად გინდათ აქციოთ? დაგავიწყდათ ქრისტემ რა გითხრათ, სხვის დასანახად ნუ ილოცებთო?

– ფანატიკოსები ხართ!

– ქუთაისში წრიულები გამოყოფენ კუთხეს? აბა, მეტრო არ გვაქ და არ ვიმგზავროთ დალოცვილად?

– არანაირი შეხება არ გაქვთ ქრისტიანობასთან, ფანატიკოსები ხართ და თქვენნაირი ხალხი უფუჭებს სახელს ეკლესიასაც, პატრიარქსაც და მორწმუნესაც. სამარშრუტო ტაქსები დაამატეთ მაგ თქვენს მოთხოვნას და საშაურმეები. ვაი თქვენს პატრონს... ვინაა თქვენი მთავარსარდალი, ვისი „კურთხევით“ აწყობთ ამ აქციებს?! გამეცით პასუხი!

**„ალია“ ლევან ფირცხალავას დაუკავშირდა, რომელიც ფოტოზე სწორედ ამ „აქციას“ მიუძღვის:**

– სრული აბსურდია. მსგავსი მოთხოვნა ფიქრადაც კი არ გაუვლია არავის. ვიღაცამ დადო ჩვენი ფოტოები და გაავრცელა მსგავსი მოთხოვნა, რაც ჩვენთან არანაირ კავშირში არაა...

**— თქვენი ფოტოებია ამ გვერდზე, სადაც მეტროში ხართ ხატებით სასულიერო პირებთან ერთად...**

– ჩვენ ვიყავით თავისუფლების მოედანზე 19 იანვარს და აღვნიშნეთ ნათლისღების დღესასწაული. ამ ყველაფერს ჰქონდა საზეიმო მსვლელობის სახე და ხალხიც შემოგვიერთდა. შემდეგ, უბრალოდ, მეტროთი ვიმგზავრეთ და ამ დროს გადაიღო, ეტყობა, ვიღაცამ ფოტოები.

**— ვინ და რა მიზნით შექმნა ეს გვერდი, რეალურად არსებობს მსგავსი მოთხოვნა ვინმესგან?**

– არ ვიცი, ეს არის არასერიოზული განცხადება! სამწუხაროდ, არ მაქვს ინტერნეტთან წვდომა ხშირად... 27 იანვარსაც ვმართავთ საზეიმო მსვლელობას და არ არის გამორიცხული, კიდევ დაგვაბრალონ რამე! ვიმეორებ, ეს არის სიცრუე და სიმართლე რომ გაირკვეს, კარგი იქნებოდა!..

**P.S. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა მართლმადიდებლობის სახელით მანიპულირებენ. ბოლო პერიოდში სოციალურ ქსელში მსგავსი გვერდებიდან ცრუ განცხადებები საკმაოდ მომრავლდა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ საზოგადოების უმრავლესობას ბრმად სჯერა, რომ ეს ყველაფერი სიმართლეა.**

**ერთმა სასულიერო პირმა თქვა: ქართველებს ფანატიკოსობაზე უარესი არაფერი გვჭირსო და მართალიცაა, ბრმად რწმენა და ბრმად ნდობა, თუნდაც ჭეშმარიტების გზაზე იდგეს ადამიანი — დიდი უვიცობაა, იმიტომ, რომ ამ გზიდან ადრე თუ გვიან სწორედ შენი უვიცობით გადაუხვევ. ისიც უვიცობაა, როცა სხვას რწმენასა და აღმსარებლობას უგინებ და თავი მართალი გგონია.**

**ადამიანის ვალია, ჭეშმარიტება მოიძიოს და ბრმად არავის ენდოს — ასე მივა ის სიმართლემდე. ეს ჩემი პოზიციაა და შეგიძლიათ, არ დამეთანხმოთ...**

## ლუდმილა პუტინა გათხოვდა — რუსეთის ყოფილი პირველი ლედის რჩეული 37 წლის მაღალჩინოსანია





როგორც აღმოჩნდა, რუსეთის ყოფილი პირველი ლედი ლუდმილა პუტინა თითქმის ერთი წელია, გათხოვილია და სხვა გვარს ატარებს.

ვლადიმერ პუტინის ყოფილი მეუღლე არა პუტინა, არამედ ოჩერეტნაიაა.

ამის შესახებ გამოცემა „Собеседник“ წერს და შესაბამის დოკუმენტაციასაც აქვეყნებს.

რუსეთის პრეზიდენტის ექსმეუღლემ პასპორტი ახალი გვარით 2015 წლის 2 თებერვალს აიღო.

როგორც გამოცემა წერს, მისი მეუღლე 37 წლის არტურ ოჩერეტნია, რომელიც „ინტერპერსონალური კომუნიკაციის განვითარების ცენტრს“ ხელმძღვანელობს. ამ ცენტრთან კი რუსეთის ყოფილი ლედი აქტიურად თანამშრომლობს. (ნიუპოსტი)

## ბიძინა კუჭავას ოჯახი არჩილ თალაკვაძის წინააღმდეგ სარჩელს სასამართლოში მიმდინარე კვირას შეიტანს



„საქართველოს ხმის“ დამფუძნებელ ბიძინა კუჭავას ოჯახი და ადვოკატები შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელს სასამართლოში მიმდინარე კვირას შეიტანენ.

როგორც კუჭავას ოჯახის ადვოკატი ნათია კორკოტაძე აცხადებს, სასარჩელო მოთხოვნაა, უწყებამ ოჯახს გამოძიების დასრულებამდე „ცილისმწამებლური განცხადებებისთვის“ ბოდიში მოუხადოს.

– საუბარია არჩილ თალაკვაძის სატელევიზიო გამოსვლაზე, სადაც მინისტრის მოადგილემ ბიძინა კუჭავა ზუგდიდელი პროკურორის, პაატა ქირიას მკვლელად მოიხსენია, – განაცხადა კორკოტაძემ.

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ, შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, რომ „ბიძინა კუჭავა არის პროკურორ ვახტანგ ქირიას მკვლელი, რაც პრაქტიკულად უკვე დადგენილია“. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ევროსაბჭოს პრეზიდენტი: „ჩემი პრიორიტეტი უგულავას და სხვა პოლიტპატიმრების განთავისუფლებაა“

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახლად არჩეული პრეზიდენტის პრიორიტეტი გიგი უგულავას, ნადია სავჩენკოს და სხვა პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებაა. ამის შესახებ პედრო აგრამუნტიმ თავად გააკეთა განცხადება:

– ჩემი პრეზიდენტობის ერთ-ერთი მიზანი ასამბლეის პარლამენტარების უფლებების დაცვაა, რათა მათ შეძლონ საკუთარი მანდატის განხორციელება, როგორც თავიანთ ქვეყნებში ევროსაბჭოს არჩეულმა წარმომადგენლებმა. უკრაინელი ნადია სავჩენკოსა, ქართველი გიგი უგულავას და სხვა პოლიტპატიმრების განთავისუფლება, მათი გადაადგილებისა და სიტყვის თავისუფლებების დაცვა, უნდა იყოს პრიორიტეტი, – თქვა აგრამუნტმა.

პედრო აგრამუნტის შესახებ შეფასებები გაკეთდა „ქართულ ოცნებაში“. სტრასბურგში მყოფი ეკა ბესელია დამაკნინებელს უწოდებს ნადეჟდა სავჩენკოსა და გიგი უგულავას ერთად ხსენებას:

– ჩვენ მას ვიცნობთ სწორედ იმ ცნობილი რეზოლუციის ავტორის სახით, რომელიც იყო ძალიან უსამართლო. ბატონი აგრამუნტი, ახლა უკვე როგორც საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი, დროებით მაინც დაივიწყებს თავის პირად პოლიტიკურ მეგობრებს, პოლიტიკურ სიმპათიებს და ის შეძლებს და თავის საჯარო განცხადებებში დაბალანსებულად და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრინციპების დაცვით მოახდენს რეაგირებებს. დამაკნინებელია, ბუნებრივია, როდესაც საუბარია ისეთ ცნობილ პოლიტიკურ პატიმარზე, როგორიც არის სავჩენკო, მასთან ერთად იყოს ნახსენები უკვე მსჯავრდადებული და სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილი ბატონი უგულავა. ეს განპირობებულია პოლიტიკური სიმპათიებით აგრამუნტის მხრიდან „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, – განაცხადა ეკა ბესელიამ. (პირველი რადიო)





ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე ხელისუფლების მიერ საქართველოში განხორციელებულ რეფორმებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ყველა დონეზე პროგრესი მართლაც შესამჩნევია.

„ბატონებო და ქალბატონებო!

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ხელმძღვანელობის ცვლილების, გაანალიზების და შეფასების დროა. დიახ, დროა თვალი გადავავლოთ ჩვენს წარსულს და გავიხედოთ მომავლისკენ. რადგანაც მისაღებად მათი ხალხისადმი შეთავაზება; ჩვენ აღარ გვსურს, რომ საქართველოში არსებულმა ნებისმიერი პარტიის ევროპელმა ან სხვა ქვეყნების პოლიტიკურმა მომხრეებმა და აპოლოგეტებმა, მათი პოლიტიკური მომავალი ქვეყნის ინტერესებზე მაღლა დააყენონ...

თქვენ ახსენეთ ერთი ქართველი თქვენს გამოსვლაში და მას „პოლიტიკური პატიმარი“ უწოდეთ. სამწუხაროა, რომ თქვენ, ეტყობა, არ იცით მთავარი: ამ პირს საქართველოში ბრალად ედება სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა. ვარ თუ არა მე ბედნიერი, რომ ის ციხეშია? რა თქმა

## ჯაფარიძე — აგრამუნტს: „არც საქართველოა თავზე ხელწამოსაკრავი ბიჭი, სულ მუდამ რომ უტყაპუნო“




პრეზიდენტმა აგრამუნტმა თავის საინაუგურაციო გამოსვლაში საქართველო რამდენჯერმე ახსენა, მეც მინდა საქართველოს საკითხს შევეხო, მით უმეტეს, რომ საპარლამენტო ასამბლეამ ძალიან დიდი ძალისხმევა და რესურსები დაუთმო ჩემს ქვეყანას. გასაგებია, რომ ჩვენ ჯერ სრულყოფილნი არ ვართ, მაგრამ ასეთი არის კი ვინმე? მაგრამ ერთი რამ ცხადია: ჩვენ იმაზე უკეთესები ვართ, რაც ვიყავით და ეს პროგრესი არაერთხელ აღნიშნეს ევროპულმა ინსტიტუტებმა. საქართველოს მტკიცე გადაწყვეტილებაა სამყაროს ამ ნაწილში გახდეს დემოკრატიის პატარა კუთხე და ამისთვის ვაკეთებთ ყველაფერს. ამას ხაზგასმით ვაცხადებთ აქ და გვინდა რომ ამ განცხადებას თქვენც ნდობით მოეკიდოთ. ქართველებმა და მათთან ერთად თქვენც უნდა დაივიწყონ ის პერიოდი, როცა ხელისუფლების ერთი ძალიდან მეორეზე გადასვლა რეჟიმის შეცვლად ითვლებოდა: ჩვენ გვჭირდება მარტივი პოლიტიკური დებატები, პროგრამების წარდგენა და გადაწყვეტილების უნდა არა — მაგრამ მინდა ყველამ იცოდეს აქ, ამ ასამბლეიაზე, რომ საქართველოში არავინ არ დგას სამართალზე და კანონზე მაღლა და, სხვათაშორის, არც საქართველოა თავზე ხელწამოსაკრავი ბიჭი სულ მუდამ რომ უტყაპუნო. ყველამ უნდა გავაცნობიეროთ ის, რომ ჩვენ ვართ დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყანა... ჩვენ პატივს ვცემთ პირად მოსაზრებებს, პირად შეხედულებებს, მაგრამ არასოდეს გვავიწყდება და სხვებსაც ვთხოვთ არ დაივიწყონ უფრო მნიშვნელოვანი რამ: პოლიტიკურ ჯგუფებს, მათ ლიდერებს, დეპუტატებს, პრეზიდენტებს და ვიცე-პრეზიდენტებს გააჩნიათ მანდატი და მოვალეობა: ემსახურონ დემოკრატიასა და რეალობად აქციონ ადამიანის უფლებების სტანდარტები. ჩვენ აქ, საპარლამენტო ასამბლეაში სწორედ ამისათვის ვართ არჩეულები! ამიტომაც, გთხოვთ ნუ შეაფასებთ და განსჯით ქვეყნებს პირადი წარმოდგენების საფუძველზე. გთხოვთ და მოგიწოდებთ დაეყრდენით ზუსტ ფაქტებს."- განაცხადა ჯაფარიძემ. (marshalpress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 40 ათასი ევრო — ვის და რაში გადაუხადა ნარმანიამ 100 000 ლარზე მეტი?



მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ დამფუძნებელი ლევან ხაბეიშვილი დედაქალაქის მერიას თანხების არამიზნობრივად ხარჯვაში ადანაშაულებს. „დედაქალაქის მერიამ 40 000 ევრო ანუ 100 000 ლარზე მეტი გადაუხადა გერმანულ კომპანიას კვლევისთვის, როგორ განიტვირთოს საცობები დედაქალაქში. 100 000 ლარად „გვირჩიეს“, რომ შუქნიშნები უნდა დავამატოთ. საუბარია გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, პეკინის ქუჩაზე და სხვა რამდენიმე ძირითადად გადატვირთულ ქუჩებზე. საცობის განტვირთვისთვის საჭიროა: ახალი მაგისტრალები, ხიდები, შემოვლითი რკინიგზის პროექტის დასრულება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ეს უფასოდ ჩვენგან“, – აცხადებს ხაბეიშვილი. (პირველი რადიო)

## ვინ არის „ოცნებაში“ უსუსური?

ექსპერტი გია ხუხაშვილის განცხადებით, კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლის თეორიულ შანსი არსებობს, თუმცა მიიჩნევს, რომ ეს ნაკლებად სავარაუდოა, იმ მიზეზის გამო, რომ ასეთი გადაადგილებები უკვე დაგვიანებულია.

„კოალიციის დაშლა დღეს გამომდინარე იქიდან, რომ მის სუბიქტებს აერთიანებს საკუთარი უსუსურობის განცდა და არავის არ უნდა ბიძინა ივანიშვილის მხრებიდან, მიწაზე დაბრუნება, ისინი ხომ მის მხრებზე ზიან ყველა. მე ვფიქრობ, რომ მიუხედავად შიდა საკმაოდ მძიმე კონფლიქტური სიტუაციისა, ეს უსუსურობის განცდა არავის არ მისცემს იმის საშუალებას, რომ კოალიციიდან გამოვიდეს და „ქართული ოცნებაც“ ვერ იგრძნობს თავს იმდენად მყარად. საბოლოო ჯამში, მათი გადასაწყვეტიც არ არის, ვინ დარჩება კოალიციაში და ვინ არა, იმიტომ, რომ ყველა ამხედრებულია ერთი კაცის მხრებზე და შესაბამისად, მის განწყობაზე იქნება ბევრი რამე დამოკიდებული“, – განაცხადა ხუხაშვილმა. (პირველი რადიო)

## გუდაურის სამაშველო სამსახურმა 5 ტურისტი გადაარჩინა



„მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ გუდაურის სამაშველო სამსახურმა 5 ტურისტი გადაარჩინა.

კომპანიის ცნობით, ტურისტების ჯგუფმა, რომელიც დასასვენებლად ყაზბეგში იმყოფებოდა, თვითნებურად გადაწყვიტა გუდაურის მიმართულებით ფეხით წასვლა. მეტეოროლოგიური პირობების გაუარესებისა და ცუდი ხილვადობის გამო, მათ გზის გაგრძელება ვეღარ შეძლეს.

ტურისტებმა 112-ში დარეკეს, რასაც გუდაურის სამაშველო სამსახურისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მყისიერი რეაგირება მოჰყვა. გუდაურის სამაშველო სამსახურმა ტურისტები ჯვრის უღელტეხილის 99-ე კილომეტრზე იპოვა და უსაფრთხოდ გადაიყვანა დაბა გუდაურში. ტურისტების ჯგუფში ერთი უკრაინელი, ერთი პოლონელი და სამი ქართველი იყო. (interpresnews.ge)

## თბილისის სკოლებში ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო კამპანია 1-ლი თებერვლიდან დაიწყება



თბილისის სკოლებში ნატოსა და ევროკავშირის შესახებ მასშტაბური საინფორმაციო კამპანია 1-ლი თებერვლიდან დაიწყება.

როგორც „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრიდან“ აცნობეს, საინფორმაციო შეხვედრებს სკოლებში არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპული ახალგაზრდული ცენტრის“ წარმომადგენლები გამართავენ.

– მასშტაბური საინფორმაციო კამპანიის მიზანია ახალგაზრდების ინფორმირება ნატოსა და ევროკავშირისა და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ. ასევე, მათი ჩართულობის გაზრდა აღნიშნულ პროცესში. საინფორმაციო შეხვედრები ქალაქის ყველა საჯარო სკოლაში გაიმართება. კამპანია თბილისის პირველი საჯარო სკოლიდან დაიწყება, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადების თანახმად, საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის განხორციელება 25 იანვრიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, რომელიც ვირუს H1N1-ის გავრცელებას უკავშირდება, ორგანიზაციის თანამშრომლების უსაფრთხოების მიზნით, ერთი კვირით გადავადდა. (ინტერპრესნიუსი)

## ოდესის ცენტრში სამოქალაქო აქტივისტი ჩაცხრილეს



ოდესაში „კრივოი როგის“ სამოქალაქო აქტივისტს ვლადისლავ შტაფანს დამიზნებით ცეცხლსასროლი იარაღიდან 5 ტყვია ესროლეს.

თავდამსხმელი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამოქალაქო აქტივისტმა მუცლის არეში ხუთი ჭრილობა მიიღო და მას სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა.

შტაფანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, თუმცა, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ის რეანიმაციულ განყოფილებაშია გადაყვანილი.

თავდასხმის მომენტი ახლომდებარე სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს. ჯერჯერობით უცნობია, რა გახდა სამოქალაქო აქტივისტზე თავდასხმის მიზეზი. (პირველი რადიო)



მაგთი
MAGTI
ბარი
ტარიფის ჩართვა: 22 15 OK
საერთაშორისო ტარიფი
ჩემი მსოფლიო
ეკონტაქტე მსოფლიოს
15
ქვეყანას
წუთში
თეთრად
1 ავსტრია
2 აშშ
3 ბელგია
4 გერმანია
5 დიდი ბრიტანეთი
6 ესპანეთი
7 ისრაელი
8 იტალია
9 კვიპროსი
10 ნიდერლანდები
11 რუსეთი
12 საბერძნეთი
13 საფრანგეთი
14 შვედეთი
15 ჩინეთი
11 00 11 ნებისმიერი ქსელიდან
მაგთიკომის ქსელიდან ზარი უფასოა
www.magticom.ge
ზარის წამოწყება - 10 თეთრი
30-დღიანი სარგებლობა - 1 ლარი

## ლანჩხუთში მატარებელმა 55 წლის მამაკაცი გაიტანა




ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საზღვართან 55 წლის მამაკაცი მატარებელმა გაიტანა. მამაკაცი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

წინასწარი ინფორმაციით, მამაკაცს მატარებელი იმ დროს დაეჯახა, როდესაც ის სარკინიგზო ლიანდაგზე გადადიოდა.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 275-ე მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს, რაც რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს. (pia.ge)

## „ეს ქეწი დოლიძე ვინმემ რომ გააკავოს, არა?!“ — რუსუდან ბოლქვაძის სპექტაკლი რეპერტუარიდან მოხსნეს



თუმანიშვილის თეატრის ხელმძღვანელობამ რუსუდან ბოლქვაძის სპექტაკლი „ზვავი“ რეპერტუარიდან მოხსნა.

აღნიშნულის შესახებ „ზვავის“ „ფეისბუკ“ გვერდის ადმინისტრაცია განცხადებას ავრცელებს.

– ჩვენო საყვარელო და ერთგულო მაყურებელო, ვალდებულად ვთვლით თავს, საქმის კურსში ჩაგაყენოთ: თუმანიშვილის თეატრის ამჟამინდელმა სამხატვრო ხელმძღვანელმა სპექტაკლი რეპერტუარიდან ამოიღო. ანუ დაინტერესებულ მაყურებელს „ზვავის“ ნახვა შეეძლება მხოლოდ რომელიმე ორგანიზაციის შეკვეთით, ან რამე ამდაგვარი საგანგებო მიზეზით. ვემშვიდობებით ჩვენს საყვარელ სპექტაკლს, რომელმაც მოგვიტანა დიდი სიხარული, შემოქმედებითიც და ადამიანურიც, მოგვიტანა წარმატება საქართველოს ქალაქებშიც და საერთაშორისო ფესტივალებზეც.. მადლობას ვუხდით თანადგომისთვის თეატრის ტექნიკურ პერსონალს, ადმინისტრაციას, კოლეგებს, რომლებიც ჩვენს სიხარულს იზიარებდნენ... და ულრმესი მადლობა თქვენ, ძვირფასებო, ჩვენო მაყურებელო, რომ განგვაცდევინეთ ეს სიხარული..

ჩვენი სპექტაკლის სათქმელით გემშვიდობებით: „თუ გულწრფელი ხარ და გიყვარს, ყოველთვის გაიმარჯვებ!“ – ნათქვამია განცხადებაში.

აღნიშნულს სოციალურ ქსელში ჟურნალისტი ინგა გრიგოლია ეხმიანება:

– ეს ქეწი დოლიძე ვინმემ რომ გააკავოს, არა??????!!!!!! „კუკარაჩა“ ნანახი გვაქვს და გაგვეშვას... – წერს გრიგოლია. (etanews.ge)



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

# რას აპირებს ოპოზიცია, თუკი მაჟორიტარული სისტემა არ გაუქმდება?



**„გიგლა აგულაშვილი არის თითქმის გასამხედროებული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, დადის იარაღით და ასევე დადიოდა იარაღით საგარეჯოში“**



25 იანვარს ოპოზიციის ინტერპარტიული ჯგუფი პრემიერ-მინისტრს შეხვდა. ამ ჯგუფმა საარჩევნო რეფორმის საკითხებზე გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრის სურვილი მას შემდეგ გამოთქვა, რაც პრემიერმა საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან შეხვედრების დაწყებაზე ილაპარაკა. ესენი არიან: „ახალი მემარჯვენეები“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, „თავისუფლება“, „თავისუფალი საქართველო“, „რეფორმატორები“, „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის“, „ევროპელი დემოკრატები“, „ლეიბორისტული პარტია“, „პატრიოტთა ალიანსი“, „ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“, „ტრადიციონალისტთა კავშირი“ და „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“.

ამ პარტიების წარმომადგენლებს გიორგი კვირიკაშვილმა პირდაპირ უთხრა: კი, ბატონო, შევეშვათ დაპირისპირებას, ვილაპარაკოთ, შეიძლება რაღაც გავითვალისწინოთ, რაღაც – არა, მაგრამ მთავარია, კონფრონტაციული ფორმატიდან გამოვიდეთო:

*„გვინდა, რომ დავამკვიდროთ ურთიერთობის მაღალი კულტურა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, წინასაარჩევნო პერიოდში ვაჩვენოთ ჩვენს პარტნიორებს მთელ მსოფლიოში, რომ ჩვენ შეგვიძლია, ცივილიზებულად ვისაუბროთ ერთმანეთთან და არა მხოლოდ ვისაუბროთ, არამედ მოვისმინოთ ერთმანეთის და მართლაც სამაგალითო არჩევნები ჩავატაროთ“.*

სხვათა შორის, იგივე ჯგუფი დაჟინებით ითხოვდა შეხვედრას ირაკლი ღარიბაშვილთანაც, მაგრამ ვერ მოახერხეს. თუ ღარიბაშვილი გამოირჩეოდა ხისტი მოქმედებებით და ფიქრობდა, რომ ამ შეხვედრას აზრი არ ჰქონდა, კვირიკაშვილმა პოლიტიკა შეცვალა. თუმცა, როგორც ჩანს, შედეგი არ იქნება – შეიძლება შეიცვალოს წვრილმანები, მაგრამ არ შეიცვლება მთავარი, არ გაუქმდება მაჟორიტარული სისტემა, რასაც საპარლამენტო უმრავლესობა და მთავრობა თავისებურად ხსნის. რაც შეეხება სპეცუბნების გაუქმებას, პრემიერ-მინისტრის თქმით, ამის შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, მაგრამ, როგორც „პატრიოტთა ალიანსის“ აღმასრულებელი მდივანი, **გოჩა თევდორაძე** ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ესეც გარკვეულწილად შეიცავს „ბლეფის“ ელემენტებს:

**— ბატონო გოჩა, ამ შეხვედრას თქვენც ესწრებოდით, გარდა სპეცუბნების გაუქმებისა, რამე ახალი მოისმინეთ და გაიგეთ? აგერ, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, გიორგი ვოლსკი ხმამაღლა აცხადებს: კი, ბატონო, სამუშაო ჯგუფი შეიქმნება, მაგრამ სისტემა უკვე ჩამოყალიბებულიაო.**

– ამ სისტემის შეცვლის შესაძლებლობა ჯერ კიდევ არსებობს 2 თებერვლამდე იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი კენჭს უყრის კონსტიტუციაში ცვლილებას, მაჟორიტარების გაუქმებას.

**— შეხვედრაზე რა გამოიკვეთა, ხელისუფლებას აქვს საამისო პოლიტიკური ნება?**

– გამოიკვეთა, რომ პოლიტიკური ნება არ არსებობს და შანსიც კი ნულის ტოლია. ჩვენ გვითხრეს, ამას ვერ გავაკეთებთ, ეს სისტემა არ ვარგა, უნდა შეიცვალოს, დღეს პარლამენტში არსებული შემადგენლობა ხმას არ მისცემს, მაჟორიტარები უარს იტყვიან, საკონსტიტუციო უმრავლესობას ვერ მოვაგროვებთ და ჩავარდებაო. ჩვენს მაჟორიტარებს არ გააჩნიათ სახელმწიფოებრივი აზროვნება, ისინი ფიქრობენ მხოლოდ საკუთარ თავზე, ებღაუჭებიან სკამებს და რასაკვირველია, ამ ცვლილებას ხმას არ მისცემენ.

**— თუ „ზემოდან“ დაავალებენ, ისე მისცემენ, როგორც დაგიბარებიათ.**

– რა თქმა უნდა, ამ სისტემის გაუქმების სურვილი არ არსებობს თავად ბიძინა ივანიშვილისგანაც. თავის დროზე იძახდა, მაჟორიტარები პატარა ფეოდალები არიანო, მაგრამ მერე ნახა, რომ „ოცნებაში“ გადაბარგებული „ნაციონალი“ დეპუტატებიც კი მისთვის პრობლემას არ წარმოადგენენ. ეს ადამიანები კვლავაც დახარჯავენ ფულს, კვლავაც მოიპოვებენ გავლენას თავიანთ რაიონებში და მოუტანენ გამარჯვებას 2016 წლის არჩევნებშიც. ყველა მაჟორიტარს აქვს იმედი, რომ ისევ მოხვდება პარლამენტში, მით უმეტეს, იმ დეპუტატებს, რომლებიც ცოტა ხნის წინ გადაპორტირდნენ „ქართულ ოცნებაში“ – ენუქიძე, ლიპარტელიანი, ბუკია, ოქრიაშვილი და სხვები. ამათ მილიონები აქვთ დაგროვილი და რასაკვირველია, არჩევნებში გამოიყენებენ. თუ იქნება პროპორციული სია, ცოტა გაუჭირდებათ, რა თანხებიც არ უნდა ხარჯონ, საბოლოო შედეგი მაინც პარტიის რეიტინგზე იქნება დამოკიდებული. თუ ამ საკითხს ბიძინა ივანიშვილი არ გადაწყვეტს, რა თქმა უნდა, მაჟორიტარები ცვლილებებს მხარს არ დაუჭერენ. ხელისუფლება აკეთებს უსუსურ განცხადებას და აღიარებს: მე კი მაქვს სურვილი, მაგრამ პარლამენტში მყავს ხალხი, რომელიც ხელს არ ამიწევს და ამიტომ 2020 წლამდე ვერაფერს ვიზამო.

**— კი, მაგრამ 2020 წელს მაჟორიტარები ხელს აუწევენ და იტყვიან, დავიშალეთო?**

– რასაკვირველია, არ იტყვიან და ისევ დაგვაყენებენ იგივე პრობლემის წინაშე.

**— თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, ის 12 „ნაციონალი“ დეპუტატი, რომელიც „ქართულ ოცნებაში“ გადახტა, ოქტომბერში კოალიციის ეგიდით იყრის კენჭს?**

– ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველას იმედი აქვს, რომ „ქართული ოცნების“ რიგებში იქნება. რაც შეეხება სპეცუბნების გაუქმებას, ამ სისტემამ თავისი საქმე უკვე გააკეთა საგარეჯოში და ასევე გააკეთებს გარდაბანში. მაგალითად, 2012 წელს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, ხულოში მაცხოვრებელმა ადამიანმა ხმა მისცა თავის მაჟორიტარს, შემდეგ ის გაიწვიეს ჯარში, ჩამოიყვანეს საგარეჯოში და ხმა კიდევ ერთხელ მიაცემინეს სხვა მაჟორიტარისთვის. გამოდის, ერთმა პიროვნებამ ორ დეპუტატს მისცა ხმა. სპეცუბანი შეიძლება არსებობდეს, შეიძლება კაცი ჯარშია და რომელიმე პარტიას მისცეს ხმა, რადგან ეს ითვლება ქვეყნის მასშტაბით მიცემულ ხმებად და ბევრი არაფერი იცვლება. ამ შემთხვევაში გავლენას ახდენს მაჟორიტარებზე და ადგილობრივ არჩევნებზე. ჩვენ ვამბობთ, რომ სპეცუბნები ამ ფორმით არ უნდა არსებობდეს, ვინც სად არის დარეგისტრირებული, მაჟორიტარს იქ უნდა მისცეს ხმა. ასევე, ვითხოვთ, რომ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება უნდა იყოს დასჯადი.

**— მე მგონი, ეგ ახლაც დასჯადია.**

– კი, მაგრამ არის მხოლოდ 2 ათასი ლარი ჯარიმა, ეს გახლავთ მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელი. ჩვენ ვითხოვთ, რომ დამნაშავე უნდა დაისაჯოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით. ესენი ამბობენ, ადმინისტრაციულ რესურსს არ გამოვიყენებთო, მაშინ იყოს დასჯადი. 2 ათასი ლარი ბევრს არაფრად უღირს, მაგრამ თუ იქნება 7 წლამდე ციხე, მაშინ სხვა საქმეა. ახლა რომ დადიან მინისტრები და დეპუტატობის კანდიდატებს ზურგზე ხელებს უტყაპუნებენ, ეს რას ნიშნავს? მაგალითად, გიგლა აგულაშვილი არის თითქმის გასამხედროებული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, დადის იარაღით და ასევე დადიოდა იარაღით საგარეჯოში. რაც მივიღეთ, ყველამ კარგად ვნახეთ. ესენი საერთო ჯამში არაფერს არ გვთავაზობენ, მარტო სამუშაო ჯგუფი შევქმნათ, ვიმუშაოთ კოდექსზეო. თან აპირებენ, ნახეთ, სპეცუბნებზე რაკი ასეთი ამბები იყო ატეხილი, კოდექსში შეგვაქვს ცვლილებები, საგარეჯოში და გარდაბანში არჩევნები უკვე მოვიგეთ, ჯანდაბას, ახლა როგორც გინდათ, ისე იყოსო. ეს ისეთი თემაა, რომლის არშეცვლაც შეუძლებელია, თორემ არც ამას გააკეთებდნენ.

**— თუკი სხვა არაფრის შეცვლას არ აპირებენ, მაშინ გამოდის, რომ დრო გაჰყავთ? თქვენ ასე არ გეჩვენებათ?**

– რა თქმა უნდა, დროის გაყვანა უნდათ და ამას წერტილი დაესმება 2 თებერვალს – თუ საკითხი არ გაიტანეს პლენარულ სხდომაზე და პირველი მოსმენით არ უყარეს კენჭი, თუ თებერვლის დასაწყისშივე არ შეიქმნება სამუშაო ჯგუფი კვირიკაშვილისვე მოდერატორობით, ყველაფერი დამთავრდება უშედეგოდ. ესენი ამბობენ: აი, შევქმნით სამუშაო ჯგუფს, დავსხდეთ, ვილაპარაკოთ, მაგრამ ყველაფერს ხომ არ დაგიჯერებთ? თუ არ შეიცვლება საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების საკითხი, სადაც ყველა ადგილი „ქართულ ოცნებას“ აქვს მისაკუთრებული, ჩვენ და „ლეიბორისტები“ ვართ კვალიფიციური პარტიები, მაგრამ კომისიებში წევრები საერთოდ არ გვყავს, „ოცნებას“ ჰყავს 10 წევრი, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება. ნათქვამია, ვინც ბიულეტენებს ითვლის, არჩევნებს ის იგებსო. ამას ვერც სპეცუბნების გაუქმება უშველის და ვერც ვერაფერი.

**— თუ არაფერი შეიცვალა, რას აპირებთ?**

– თუ არ შეიცვალა, ჩვენ შიმშილობის აქცია ერთხელ გვქონდა და ისევ გავაგრძელებთ. თუ შიმშილობდა 85 კაცი, ახლა იქნება გაცილებით მეტი, ათასობით.

**— როგორც ვიცი, თქვენ პრეზიდენტ მარგველაშვილთანაც აპირებთ შეხვედრას. რისთვის ხვდებით, როცა ის ვერაფერს წყვეტს?**

– გარკვეულ პერიოდში მარგველაშვილი აკეთებდა განცხადებებს, რომ შესაცვლელი იყო საარჩევნო კოდექსი, ჩვენ 2012 წელს მოსახლეობას დავპირდით, რომ მაჟორიტარულ სისტემას გავაუქმებდით და ახლა ამას აღარ ვაკეთებთო. ამიტომ, ჩვენ პრეზიდენტს მოვუწოდებთ, რომ უფრო აქტიური იყოს, როგორც ხელისუფლების ერთი შტო, თორემ საკანონმდებლო ცვლილებების უფლება რომ მას წართმეული აქვს, ეს ვიცით.

**„რაც შეეხება სპეცუბნების გაუქმებას, ამ სისტემამ თავისი საქმე უკვე გააკეთა საგარეჯოში და ასევე გააკეთებს გარდაბანში. მაგალითად, 2012 წელს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, ხულოში მაცხოვრებელმა ადამიანმა ხმა მისცა თავის მაჟორიტარს, შემდეგ ის გაიწვიეს ჯარში, ჩამოიყვანეს საგარეჯოში და ხმა კიდევ ერთხელ მიაცემინეს სხვა მაჟორიტარისთვის. გამოდის, ერთმა პიროვნებამ ორ დეპუტატს მისცა ხმა“**

## კახა ცხადაძე: არ გადავდგები, არა, არა, არ გადავდგები!



– არ გადავდგები, არა, არა, არ გადავდგები, – ასე დაიწყო თავისი პრესკონფერენცია საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ.

– ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება, გამოაცხადა საჯაროდ და ახლა როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს აღმასკომი, დაველოდოთ და შემდეგ როგორ წარიმართება უკვე, ვნახოთ. რა თქმა უნდა, იურიდიულ მხარეზე თუ იქნება საუბარი, ჩაერთვებიან იურისტები. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისთვის არასდროს მიმიყენებია ზიანი, არასდროს არ მიმიყენებია შეურაცხყოფა, მაგრამ, სამწუხაროდ, მან მიიღო ეს გადაწყვეტილება.

არ ვაპირებ, რომ მას პასუხი გავცე, პირიქით, ვუსურვებ წარმატებას და ვუსურვებ, რომ მეტი შეცდომა არ დაუშვას, – განაცხადა კახა ცხადაძემ.

შეგახსენებთ, რომ დაპირისპირება კახა ცხადაძესა და სამინისტროს შორის, ანაზღაურების საკითხს მოჰყვა. (ipress.ge)

## სუს-ი: „ისლამური სახელმწიფოს“ წევრი ხვიჩა გობაძე გარდაიცვალა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ადასტურებენ ინფორმაციას „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში მებრძოლი საქართველოს მოქალაქის, ხვიჩა გობაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. უსაფრთხოების სამსახურში დამატებით დეტალებზე ჯერჯერობით არ საუბრობენ.

ხვიჩა გობაძე ერთ-ერთი მათგანია, ვინც დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით გასული წლის ნოემბერში მუქარის შემცველი ქართულენოვანი ვიდეომიმართვა გაავრცელა. ის სირიაში იმყოფებოდა.

ინფორმაციას სოციალურ ქსელში ავრცელებს გობაძის ცოლი სალი ქათამაძე. თანასოფლელების თქმით კი, ხვიჩა გობაძის ოჯახის ახლობლებს არ აქვთ ზუსტი ინფორმაცია მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

– დეიდამ და ბიძამ არაფერი იციან. ისინი ამბობენ, რომ მათ არ ჰქონდათ ხვიჩასთან არც სატელეფონო და არც „ფეისბუკ“ კავშირები. იციან ის, რომ გობაძის მეუღლისთვის, სალომე ქათამაძისთვის დაურეკავს თუ მოუწერია ხვიჩას მეგობარს და უთქვამს – ფრონტის წინა ხაზზე დაიღუპაო. ახლა ბიძა და დეიდა ემზადებიან ბათუმში წასასვლელად, – ამბობენ სოფელ დიდაჭარაში, საიდანაც წარმოშობით არის ხვიჩა გობაძე.

ხვიჩა გობაძის ცოლი და მშობლები ბათუმში ცხოვრობენ. მას ჰყავს ერთ წლამდე ქალიშვილიც. (netgazeti.ge)

## ვოლსკი: ახვლედიანმა ივანიშვილზე ცოტა მორიდებითაც უნდა ისაუბროს, იმის გამო, რომ ბიძინა ივანიშვილი საკმაოდ თავმდაბალი ადამიანია



ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი მიიჩნევს, რომ პარტია „ქართული ოცნების“ ყოფილ აღმასრულებელ მდივან არმაზ ახვლედიანს ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის მიმართ არათუ სასაყვედურო აქვს, არამედ ის მის მიმართ ცოტა მორიდებითაც უნდა საუბრობდეს.

ვოლსკი ახვლედიანის მიერ მედიით გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა, სადაც მან აღნიშნა, რომ „ქართულ ოცნებაში“ პარტიის წევრები პატივს კერპებს სცემენ.

ვოლსკის თქმით, ახვლედიანს საკუთარი წარმოდგენა აქვს შიდაპარტიულ წესრიგზე, რის გამოც ის საკმაოდ სერიოზულ კონფლიქტში შევიდა როგორც პოლიტსაბჭოს დანარჩენ წევრებთან, ასევე, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებთან და საბოლოო ჯამში, ის პოლიტიკური სტრუქტურებიდან ჩამოშორებული იქნა.

– მის განცხადებებზე პასუხის გაცემას არ ვაპირებდი, თუმცა, მისი უხეში გამონათქვამი, რაც მან გააკეთა, მავალდებულებს, საზოგადოებას ინფორმაცია მივაწოდო. ახვლედიანი არანაირი ლიდერი არ ყოფილა, ის ერთ-ერთი წევრი იყო და აღმასრულებელი მდივნის ფუნქციასაც ასრულებდა. ახვლედიანი არაერთხელ დასწრებია ცხარე დებატებსაც, აზრთა სხვადასხვაობასაც და საერთო კონსენსუსის მოძებნის თემასაც. მას ბიძინა ივანიშვილთან არათუ სასაყვედურო არაფერი არ აქვს, ალბათ, ცოტა მორიდებითაც უნდა ისაუბროს, იმის გამო, რომ ბიძინა ივანიშვილი საკმაოდ თავმდაბალი ადამიანია, – აცხადებს ვოლსკი.

ვოლსკი აღმასრულებელი მდივნის პოსტიდან ახვლედიანის გაშვების მოტივებს იხსენებს და ამბობს, რომ პარტიამ ძალიან რბილი და მეგობრული ფორმით მას სთხოვა, რომ პოლიტსაბჭოში თავისი უფლებამოსილება შეეჩერებინა.

– ის არ ყოფილა არც სახე და არც ლიდერი. აღმასრულებელი მდივნის პოსტზე მისი რაიმე აქტივობა ან გამორჩეული მუშაობა თვალსაწიერში არ მომხვედრია.

არ მახსენდება, რომ ის ღირებული მუშაკი ყოფილიყო, თუმცა, მაინც რაღაც მეგობრული დავიცავით მაშინ, როცა მან გადაწყვიტა, რომ გამოსულიყო და თითის ქნევით ელაპარაკა ფრაქციის თუ სხვა წევრებთან მიმართებაში და თან აბსოლუტურად უსაფუძვლოდ, დისციპლინის რაღაც სტანდარტები მოეთხოვა.

მის კომენტარებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ და პასუხს მას კი არ ვცემ, არამედ საზოგადოების საყურადღებოდ ვამბობ, რომ ასეთი შემოტევები განსაკუთრებით „რუსთავი 2“-ისგან კიდევ მეტი იქნება. ვფიქრობ, მან თავის თავზე ცოტა მეტი აიღო და ის განცხადებებში უხეშია, რომელსაც არანაირი საფუძველი არ აქვს, – დასძენს ვოლსკი. (ინფო9)

## საქართველოში ტემპერატურა -12 გრადუსამდე დაიწევს — უახლოესი დღეების ამინდის პროგნოზი



გარემოს ეროვნული სააგენტო უახლოეს დღეებში მოსალოდნელი ამინდის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს:

26 იანვარს საქართველოში შენარჩუნებული იქნება ცივი და დროგამოშვებით თოვლიანი ამინდი, მაღალმთიან რაიონებში ზოგან ქარბუქი.

27 იანვარს ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე გამოიდარებს, გაძლიერდება ყინვა. დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ღამის მინიმალური ტემპერატურა მოსალოდნელია -7, -2, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში -12, -7.

თბილისში ჰაერის ტემპერატურა იქნება -9, -7 გრადუსი. დღის მაქსიმალური ტემპერატურა 25-27 იანვარს დაბლობსა და ბარში იქნება -3, +2 გრადუსი.

28-31 იანვარს დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონში მოსალოდნელია მცირე ნალექი. 29 იანვრიდან ყინვა შესუსტდება. (ნიუპოსტი)

## რუსეთის წინააღმდეგ მოქმედი სანქციების ნაწილი, შესაძლოა, ზაფხულში გაუქმდეს



რუსეთის წინააღმდეგ მოქმედი სანქციების ნაწილი შესაძლოა, ზაფხულში გაუქმდეს. ამის შესახებ „ბიბისის“ ცნობით, საფრანგეთის ეკონომიკის მინისტრმა ემანუელ მაკრონმა მოსკოვში ბიზნესმენებთან შეხვედრისას განაცხადა. მისი თქმით, თუ მოსკოვის მხრიდან მინსკის შეთანხმება შესრულდება, მაშინ ამ წლის ზაფხულში სანქციები მოიხსნება. მსგავსი განცხადება გააკეთა გასულ კვირას აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმაც. მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ მინსკის შეთანხმების სრულად შესრულების შემთხვევაში, სანქციები გაუქმდება. დასავლეთმა რუსეთის წინააღმდეგ არაერთი შეზღუდვა უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტის გამო დააწესა. (bpn.ge)

## პატრულმა გორში ფეხით მოსიარულეთა დაჯარიმება დაიწყო



2016 წლის 24 იანვრიდან გორში ფეხით მოსიარულეებისთვის მოძრაობის წესები გამკაცრდა.

საგზაო მოძრაობის შეფერხებისა და საავარიო სიტუაციების შექმნის მიზეზით პატრულმა რამდენიმე ათეული მოქალაქე უკვე დააჯარიმა.

იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებიც ქუჩას არასათანადო ადგილას გადაკვეთენ, პატრული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმს ადგენს.

გორის ცენტრალურ ქუჩაზე (სტალინისა და ჭავჭავაძის გადაკვეთაზე) პატრულის ეკიპაჟის წევრები მოქალაქეებს აფრთხილებენ, რომ ქუჩა არ გადაკვეთონ.

პატრული ფეხით მოსიარულეებს მოუწოდებს, რომ მათთვის განკუთვნილი გადასასვლელები (ე.წ. ზებრები) გამოიყენონ. (qartli.ge)

**„ალია“ დაინტერესდა, მართლა გამკაცრდა თუ არა გორელებისთვის მოძრაობის წესები და თუ მართლა ასეა, რატომ მხოლოდ გორელებისთვის და არა თელაველებისთვის, ზუგდიდელებისთვის, კასპელებისთვის, თბილისელებისთვის და ასე შემდეგ?**

**როგორც შს სამინისტროს პრესსამსახურში განგვიმარტეს, ქვეითები მოძრაობის შეფერხებისა და საავარიო სიტუაციების შექმნისთვის 10 ლარით ჯარიმდებიან.**

**რაც შეეხება მიზანში მაინცდამაინც გორელების ამოღებას, არავითარი მსგავსი ბრძანება საპატრულო პოლიციას არ მიუღია და ამ მიმართულებით არაფერი შეცვლილა:**

**— შესაძლოა, რამდენიმე ადამიანით მეტი დაჯარიმდა, ვიდრე, ვთქვათ, გასულ თვეში, მაგრამ ის, რომ გორში ფეხით მოსიარულეებს რაიმე წესი გაუმკაცრდათ, სიმართლეს ნამდვილად არ შეესაბამება, — უთხრეს „ალიას“ შს სამინისტროს პრესსამსახურში.**

## აგერ, „ოცნება“, მიდექით, მოდექით, თქვენც მოიფიქრეთ მსგავსი რამე



პორტუგალიაში განხორციელებულმა ე.წ. „ოქროს ვიზების“ პროგრამამ ქვეყანას 14 თვეში 1,6 მილიარდი ევრო მოუტანა.

პროგრამა მსხვილი ინვესტორებისთვის პორტუგალიაში ბინადრობის ნებართვის დაჩქარებული წესით მინიჭებას გულისხმობს, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მიზიდვის მიზნით.

საერთო ჯამში, 2015 წელს უცხოელებმა პორტუგალიაში უძრავი ქონების შესაძენად 1,6 მილიარდ ევროზე მეტი დახარჯეს.

პორტუგალიის საიმიგრაციო სამსახურის ინფორმაციით, 2015 წელს ინვესტორებზე 2 788 ბინადრობის ნებართვა გაიცა, აქედან 95 პროცენტი პორტუგალიაში უძრავი ქონების ყიდვის სანაცვლოდ, 149 – კაპიტალის გადარიცხვის სანაცვლოდ, ოთხი კი პორტუგალიაში ათი ან მეტი სამუშაო ადგილის შესაქმნელად.

„ოქროს ვიზების“ პროგრამა პორტუგალიაში 2012 წლიდან ამოქმედდა. (bpn.ge)

## საქართველოს შეიარაღებული ძალების რეპუტაცია და პრესტიჟი — არასამთავრობოების პასუხი პრემიერს



სპეციალურ საარჩევნო უბნებთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებას არასამთავრობო ორგანიზაციები განცხადებით პასუხობენ:

– გვსურს, გამოვეხმაუროთ არასაპარლამენტო ოპოზიციის ინტერპარტიულ ჯგუფთან შეხვედრაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებას იმის თაობაზე, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება ე.წ. „სპეცუბნების“ გაუქმების შესახებ უკვე მიღებულია.

მეტი სიცხადისთვის უნდა განვმარტოთ, რომ სპეციალური საარჩევნო უბნების გაუქმება იმ ფორმით, რა ფორმასაც ხელისუფლება გვთავაზობს, არსებითად ვერ აგვარებს იმ პრობლემას, რაც წლების განმავლობაში არსებობს სამხედრო მოსამსახურეების არჩევნებში მონაწილეობის წესთან დაკავშირებით. მოცემულ საკითხზე ცვლილებების პროექტი შემუშავებული იქნა თავდაცვის სამინისტროს მიერ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის ინიციატივით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფორმატში. ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული პროექტით, სამხედრო მოსამსახურეებს კვლავ შეეძლებათ, მონაწილეობა მიიღონ მაჟორიტარულ არჩევნებში და ასევე, მერის/გამგებლის არჩევნებში, მიუხედავად მათი განსხვავებული რეგისტრაციის ადგილისა. სწორედ ეს წესი იწვევს კრიტიკას ამომრჩეველთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდისა და სამხედრო მოსამსახურეების საარჩევნო მიზნით მანიპულაციის შესახებ ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ. ეს, ერთი მხრივ, კითხვებს ბადებს არჩევნების სამართლიანად და კონკურენტულ გარემოში ჩატარების შესახებ და მეორე მხრივ, ზიანს აყენებს საქართველოს შეიარაღებული ძალების რეპუტაციასა და პრესტიჟს.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს პოლიტიკური ნება და არსებითი ცვლილებები მიიღოს მრავალწლიანი პრობლემის მოსაგვარებლად. სამხედრო მოსამსახურემ, სხვა მოქალაქეების მსგავსად, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიიღოს მონაწილეობა პარლამენტისა და თვითმმართველობის მაჟორიტარულ არჩევნებში, ასევე, მერის/გამგებლის არჩევნებში, თუ მისი დისლოკაციის ადგილი იმ საარჩევნო ოლქის/ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებშია, რომელშიც ის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არის რეგისტრირებული, – ნათქვამია განცხადებაში.

პრემიერ-მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე განცხადება „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა მანანა ნაჭყებიამ ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში გააკეთა. გადაცემა „პრიორიტეტებში“ საუბრისას მანანა ნაჭყებიამ განაცხადა, რომ, თუ საარჩევნო სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელდა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების ლეგიტიმაცია სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. რაც შეეხება შეხვედრას და სპეცუბნების გაუქმებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას, ნაჭყებიამ მას წინ გადადგმული ნაბიჯი უწოდა.

პრემიერ-მინისტრის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აფასებს „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ბეჟან გუნავაც.

არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ნება იქნება, შესაძლებელია, მიღწეულ იქნას საკონსტიტუციო ცვლილებების გატარებაც, რათა უზრუნველყოფილი იყოს დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. რაც შეეხება საარჩევნო სისტემის შეცვლას და კონკრეტულად მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას, ბეჟან გუნავას განცხადებით, ხელისუფლებამ მთავარი დაპირება დაივიწყა. გუნავა არ გამორიცხავს, რომ, თუ აღნიშნული ცვლილება არ გატარდება, ოპოზიციამ საპროტესტო აქციები დაიწყოს. (პირველი რადიო)

## რა ფაქტორები შეუშლის ხელს მსოფლიო ეკონომიკურ ზრდას



საერთაშორისო სავალუტო ფონდში მსოფლიო ეკონომიკური ზრდის წინააღმდეგ არსებულ მთავარ საფრთხეებზე საუბრობენ.

როგორც ფონდის გენერალური დირექტორი, კრისტინ ლაგარდი აცხადებს, ჩინეთის ეკონომიკაში მიმდინარე ძვრები, დაბალი სასაქონლო ფასები და მსოფლიოში ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკა გლობალური ეკონომიკის მთავარ საფრთხეებს წარმოადგენს.

თუმცა, ლაგარდმა დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას იმედი გამოთქვა, რომ ჩინეთის მთავრობა სწორი მიმართულებით წავა, რაც გლობალურ ეკონომიკურ რისკებს შეამცირებს.

– მეორე მთავარ რისკს სასაქონლო ფასები წარმოადგენს. ამას ბოლო 5 წლის ტენდენციის მიხედვით ვამბობ, წელს კი ნავთობის ფასების კლებამ ეს ტენდენცია კიდევ უფრო გააძლიერა. რაც შეეხება მესამე რისკს, მსოფლიოს მასშტაბით ცენტრალური ბანკების მონეტარულმა პოლიტიკამ გამოიწვია ის, რომ განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში დიდი რაოდენობის კაპიტალი გავიდა, დაბალ სასაქონლო ფასებთან ერთად კი ამან განვითარებადი ქვეყნების ვალუტების გაუფასურება გამოიწვია, – განაცხადა ლაგარდმა.

თუმცა, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი აცხადებს, 2016 წელს 3,4-პროცენტიანი მსოფლიო ეკონომიკური ზრდაა მოსალოდნელი. (bpn.ge)

## გია ვოლსკი — როდესაც პარლამენტში პრეზიდენტი მოდის, შეხვედრას ცოტა მეტი აკადემიურობა უნდა ჰქონდეს



– ოპოზიციისთვის, განსაკუთრებით „ნაციონალური მოძრაობისთვის", დებატები გაიგივებულია არა პლურალიზმთან და დემოკრატიის გამოვლინებასთან, არამედ პოლიტიკურ სპეკულაციასთან, ხმამაღალ და რადიკალურ განცხადებებთან, – ასე ეხმაურება ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე გია ვოლსკი პარლამენტში დებატების ფორმატში პრეზიდენტის გამოსვლის თაობაზე ოპოზიციის მოთხოვნას.

ვოლსკის შეფასებით, პარლამენტის რეგლამენტი დებატებს ითვალისწინებს, მაგრამ „რატომღაც ჰგონიათ, რომ საზოგადოების ინტელექტუალური დონე პოლიტიკურ ასპარეზზე გლადიატორულ შეხლა-შემოხლას გულისხმობს და მოთხოვნა სწორედ ამაზეა".

– როდესაც პარლამენტში პრეზიდენტი მოდის, ვფიქრობ, შეხვედრას ცოტა მეტი აკადემიურობა უნდა ჰქონდეს. ფრაქციის ხელმძღვანელები სრულად გამოხატავენ იმ პოზიციას, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს და პირდაპირ ეხება პრეზიდენტის გამოსვლაში ჩამოყალიბებულ მიდგომებს, – აცხადებს გია ვოლსკი. (ინტერპრესნიუსი)

## რუსი ექიმის სკანდალური განცხადება ღორის გრიპზე. წყალბადის ზეჟანგი — მკურნალობის ყველაზე იაფი საშუალება



რუსი ექიმი ივან ნეუმივაკინი ღორის გრიპთან დაკავშირებით სკანდალურ განცხადებას აკეთებს და ამბობს, რომ არანაირი სპეციალური ვაქცინა გრიპის მკურნალობას არ სჭირდება.

მედიკოსი საზოგადოებას ძალიან მარტივ და ეფექტურ მეთოდს ურჩევს, რომელიც საკმაოდ იაფიც ჯდება:

– აიღეთ წყალბადის ზეჟანგი 3-პროცენტიანი (პერეკისი), 15-20 წვეთი გახსენით ჭიქის მეოთხედ წყალში და დილა-საღამოს თითო წვეთი ერთჯერადი შპრიცით ჩაიწვეთეთ. ვირუსი ყველას რომ შეხვდეს, თქვენ არაფრით შეგხვდებათ. წყალბადის ზეჟანგი კლავს ყველა ვირუსს. (postalioni.com)

# ჯანდაცვაში სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ფულს აკეთებენ?

## რას ამბობენ სამინისტროში...





დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



არასამთავრობო ორგანიზაცია, „ანტიკორუფციული კავშირი" ჯანდაცვის სამინისტროს საბიუჯეტო თანხების ფლანგვაში მონაწილე ჯგუფის ლობირებაში ადანაშაულებს და ითხოვს, აღნიშნული საკითხით შესაბამისი უწყებები დაინტერესდნენ.

რა კორუფციულ სქემაზე საუბრობენ ორგანიზაციაში და რას ამბობენ სამინისტროში?

**„ალიას" „ანტიკორუფციული კავშირის" თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძე ესაუბრა:**

– საქართველოში არსებულ დღის ცენტრებთან მიმართებაში, არსებობს სხვადასხვა სახის დარღვევები. კონკრეტულად აგიხსნით, რა ხდება. დღის ცენტრებისთვის გამოყოფილია გარკვეული რაოდენობის ფინანსები, რომელთა უმეტესი ნაწილი გარკვეული კორუფციული სქემის მეშვეობით არის მითვისებული.

მე შემიძლია, დაგისახელოთ კონკრეტული მაგალითებიც, მონიტორინგი ჩავატარეთ ქალაქ რუსთავში, სადაც სოციალურის თანამშრომლებმა მოგვაწოდეს გარკვეული სახის ინფორმაციები. რუსთავში არსებობს ასეთი დღის ცენტრი – „მეგობრობა", სადაც 15 ბენეფიციარია აღრიცხული. ამ დაწესებულების ხელმძღვანელი გახლავთ ქალბატონი ქეთევან ტრიპოლსკი, როდესაც ჩვენ მასთან ვიყავით შესული, ადგილზე დაგვიხვდა შვიდი აღსაზრდელი. როდესაც დავსვით კითხვა, რატომ იყო მხოლოდ 7 აღსაზრდელი ადგილზე, მან წარმოგვიდგინა უწყისი, სადაც ჩანდა, რომ დაფინანსებული იყო 7 ბავშვი. ანუ ვაუჩერი, რომლითაც ეს ბავშვები ფინანსდებოდნენ, გამოყოფილი იყო 7 ბავშვზე. შესაბამისად, დავუსვით კითხვა, – ის 15 ბავშვი, რომელიც თქვენთან არის რიცხული, გარდა მაგისა, რატომ არ იყვნენ დანარჩენები ადგილზე? პასუხად მივიღეთ, რომ 40 ბავშვის დატევაც შემიძლია, მაგრამ მხოლოდ 7 მომიყვანეს, უფრო მეტის უფლებას ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტი არ გვაძლევსო. ეს სოციალურად დაუცველ ბავშვებზეა გათვლილი, რომლებიც დღისით იქარიან და საღამოს სახლში ბრუნდებიან.

აქვე დავამატებ, რომ ამ დაწესებულებაზე ხორციელდება გარკვეული დევნა ჩვენთან კავშირის შემდეგ და ცდილობენ, დაიკეტოს ეს სააღმზრდელო დაწესებულება. მოტივი კი ასეთია, რომ თურმე დაწესებულებას არა აქვს შამპუნი, არ გააჩნია ევაკუაციის გეგმა და ა.შ. აქ ხდება ასეთი რამ, ჯანდაცვის სამინისტროდან წამოსულია თანხები 15 ბენეფიციარზე, მაგრამ ადგილზე რეალურად ჰყავთ 7 ბენეფიციარი. დანარჩენი ბავშვების რაოდენობა გაწერილია მხოლოდ ფურცელზე, ხოლო მათთვის განკუთვნილი თანხები მითვისებული.

ახლა მოგიყვანთ მეორე მაგალითსაც: რუსთავში არის ანალოგიური დღის კიდევ ერთი ცენტრი, ამ დაწესებულებას ჰქვია „საპოვნელა", ქალბატონი ლელა კოჭლამაზაშვილია მისი ხელმძღვანელი. ამ დღის ცენტრზე ასეთი ინფორმაცია გვაქვს: აღრიცხულია 12 ბენეფიციარი, რომელთაგანაც ამ დაწესებულებაში ხაზს ვუსვამთ, რომ არც ერთი არ დადის, დაწესებულება ცარიელია. ეს 12 ბავშვი მხოლოდ და მხოლოდ ფურცლებზეა ასახული.

ჩვენმა შესვლამ ამ ორგანიზაციებში დაგვიდასტურა ის ინფორმაცია, რასაც ადგილობრივები გვეუბნებოდნენ, რომ იმ დაწესებულებაში საქმე ისე არ იყო, როგორც შორიდან ჩანდა. ადგილობრივები ამბობდნენ, რომ მიჰყავდათ ბავშვები თხოვნით, რომ ჩაესვათ ჯგუფებში, მაგრამ ეუბნებოდნენ, რომ ადგილები არ იყო, რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა. თბილისის მერიის 2016 წლის ბიუჯეტში უპატრონო ძაღლების მოვლა-პატრონობისთვის ყოველწლიურად, საშუალოდ, 3 მილიონია გამოყოფილი მაშინ, როდესაც ანალოგიური პროექტებისთვის მით უმეტეს ბავშვებისთვის, გამოყოფილია 1 მილიონ 800 ათასი ლარი. როგორც ხედავთ, ამ ქვეყანაში ძაღლების უფლებები უფროა დაცული, ვიდრე ბავშვების. ჩართულია კორუფციული მანქანა, რომელიც ფულის მოხვეჭაზეა ორიენტირებული. დიდი თანხა კი არ არის გამოყოფილი ამ ბავშვებისთვის, საუბარია ერთ ბავშვზე დღეში 6 ლარზე, შესაბამისად, ეს თანხა არ უნდა შერჩეს არავის. თუმცა ასეთი დღის ცენტრი ძალიან ბევრია საქართველოში, რაც, საბოლოო ჯამში, დიდ თანხას ქმნის.

– რას აპირებთ, მიმართავთ ვინმეს, ამ საკითხით რომ დაინტერესდნენ?

– მივმართავ სამინისტროს გენინსპექციას, შევიდეს ამ დაწესებულებებში და გადაამოწმოს ჩემ მიერ მიწოდებული ინფორმაცია. ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი უწყება აფარებს ხელს ასეთ საკითხებს, თან ამისთვის შესაბამის გასამრჯელოს იღებენ. ამ ეტაპზე ვერ ვასახელებ კონკრეტულ ადამიანებს, ამიტომაც მივმართავ შესაბამის სამსახურებს, დაინტერესდნენ, რა ხდება მთელი საქართველოს მასშტაბით ამ მიმართულებით. ეს ისეთი საკითხია, რომელიც, ალბათ, მინისტრამდე არ მიაღწევს, იმდენი საქმე აქვს მას. შესაბამისად, მინისტრის მოადგილეებსაც მოვუწოდებ, დაინტერესდნენ ამ საკითხით. თუ თვითონ არა აქვთ გარკვეული მონახაზი, როგორ მოიქცნენ ასეთ საკითხში, ჩვენ მივცემთ რეკომენდაციას, როგორ უნდა იმოქმედონ.

გია ბურჯანაძესთან საუბრის შემდეგ დავუკავშირდით დღის ცენტრ „საპოვნელას" ხელმძღვანელს ლელა კოჭლამაზაშვილს, მასთან ბურჯანაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება ვცადეთ: „ეს საკითხი არ არის ტელეფონზე სასაუბრო, ჩვენთან დაფინანსება ვაუჩერული სისტემითაა, ეს ვაუჩერი არის შეზღუდული რაოდენობით, მთლიანად რუსთავზე მოდის დაახლოებით 29 ვაუჩერი, რომელიც გაყოფილი გვაქვს ჩვენ და დღის ცენტრ „მეგობრობას". ახლა გვყავს 16 ბენეფიციარი, არ შეესაბამება სიმართლეს, რომ არც ერთი ბენეფიციარი არ გვყავს. როცა ის ჩვენთან იყო მოსული, ალბათ, ბავშვები ჯერ კიდევ არ იყვნენ სკოლიდან მოსული, ჩვენთან ხომ სკოლის შემდეგ მოდიან"...

**„ალია" „მეგობრობის" ხელმძღვანელს ქეთევან ტრიპოლსკისაც დაუკავშირდა, რომელმაც კოჭლამაზაშვილის საპირისპირო ინფორმაცია მოგვაწოდა: „მე მყავს 7 ბავშვი, ყოველ შემთხვევაში დეკემბრის მონაცემებით ამდენი ირიცხება, თუმცა დოკუმენტაციაში, ნაჩვენები იყო 15 ბავშვი, რაც არარეალურია, დანარჩენი ბავშვები სად არიან, არ ვიცი. მყავს 7 ბავშვი, თუმცა თავისუფლად შეგვიძლია, მივიღოთ 45 ბავშვამდე".**

ვინ უწევს დღის ცენტრებს მონიტორინგს და რა ინფორმაცია აქვთ სამინისტროს ცენტრებში არსებულ სიტუაციებზე, – ამ კითხვებით ჯანდაცვის სამინისტროს მივმართეთ.

**„ალიას" სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, მარი წერეთელი ესაუბრა:**

– მოკლედ გეტყვით, სისტემა როგორ მუშაობს – დღის ცენტრები არის სოციალური რეაბილიტაციის ბავშვთა ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ნაწილი. დღის ცენტრები თავისი შინაარსით იყოფა სხვადასხვა ტიპად. არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (პატარები და მოზრდილები) და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისთვის. შესაბამისად, ორგანიზაცია ახდენს რეგისტრირებას სამინისტროში, რომელსაც აქვს გარკვეული რაოდენობა ბავშვების მომსახურებაზე, შესაძლოა, რეგისტრირებული იყოს 10 ბენეფიციარი, მაგრამ დაფინანსება გაიცეს რვაზე.

**— ვაუჩერის გაცემა როგორ ხდება?**

– პირველ რიგში, ეს ხდება ტერიტორიული მდებარეობის მიხედვით, მოგვმართავენ და შემდეგ ხდება მისი შეფასება. შესაძლოა, გაიცეს 10 ვაუჩერი, მაგრამ დღის ცენტრში დადიოდეს ხუთი. ვაუჩერის ხელში დაჭერა არ ნიშნავს, რომ თანხა იმავე წუთს მიდის. ყველა ორგანიზაცია ვალდებულია, ყოველი თვის ბოლოს წარმოადგინოს მიმდინარე თვეში, ანუ მომდევნო თვის პირველ რიცხვებში რამდენი ვაუჩერი იყო. შესაბამისად, თანხის გადარიცხვა ხდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით. მაგალითად, თუ ორგანიზაციაზე გაიცემა 20 ვაუჩერი, მაგრამ იანვარში დადიოდა 8 ბავშვი, ირიცხება 8 ბავშვის ვაუჩერის თანხა, ისიც კი არ ითვლება, ბავშვმა თვის განმავლობაში რამდენი გააცდინა. შესაბამისად, რადგან ვაუჩერები გაიცემა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თანხა მიდის ადგილზე. გარდა ამისა, გვაქვს სხვა რეგულაციებიც. ვაუჩერი, რომელიც გაცემიდან ორი თვის განმავლობაში იქნება გაუნაღდებელი, რა თქმა უნდა, უქმდება. ვაუჩერს დაწესებულების სახელიც კი არ ეწერება, არჩევანის საშუალება რომ ჰქონდეს ბენეფიციარს. შესაბამისად, ინფორმაცია, რომ 15 ბავშვი არ გვყავს დაწესებულებაში და ტყუილად სადღაც მიდის თანხა, სიმართლეს არ შეესაბამება.

**— ამ ცენტრებს ვინ ამოწმებს?**

– კეთდება ქვეპროგრამების მონიტორინგი, ამ ყველაფერზე კონტროლი ხორციელდება როგორც სააგენტოს, ასევე სამინისტროს მიერ. არსებობს განსაკუთრებული სტანდარტები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა დააკმაყოფილოს. ძალიან გამჭვირვალედ ხდება მუშაობა, ნებისმიერ შეუძლია, ჩვენთან მობრძანდეს, გვკითხოს, რაც აინტერესებს, ყველა საკითხს გაეცნონ დეტალურად, პირველი მიუკერძოებლობა არის ის, რომ ვაუჩერს არ ეწერება ორგანიზაციის სახელი და როდესაც ბენეფიციარს გადაეცემა ვაუჩერი, ის თავადვე ირჩევს, სად უნდა მივიდეს. ყველაფერი ინდივიდუალურია და ჩვენ არ ვიცით, რომელი ვაუჩერი რომელ ორგანიზაციაში მიდის.

**მარი წერეთელთან საუბრის შემდეგ კვლავ გია ბურჯანაძეს დავუკავშირდით:**

– მე ვსაუბრობ იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც მთავარმა სოციალურმა სააგენტომ მომაწოდა.

**„თბილისის მერიის 2016 წლის ბიუჯეტში უპატრონო ძაღლების მოვლა-პატრონობისთვის ყოველწლიურად, საშუალოდ, 3 მილიონია გამოყოფილი მაშინ, როდესაც ანალოგიური პროექტებისთვის მით უმეტეს ბავშვებისთვის, გამოყოფილია 1 მილიონ 800 ათასი ლარი. როგორც ხედავთ, ამ ქვეყანაში ძაღლების უფლებები უფროა დაცული, ვიდრე ბავშვების"**

## პედრო აგრამუნტი — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „გაყინული" კონფლიქტები ევროპის უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის



აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „გაყინული" კონფლიქტები ევროპის უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის. ასეთი მოსაზრება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა პედრო აგრამუნტმა საინაუგურაციო სიტყვაში გამოთქვა.

– ევროპაში კონფლიქტები კვლავ გადაუწყვეტი რჩება. ვითარება უკრაინაში კვლავ ფაქიზია. კონფლიქტმა 9 000-ზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა, რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტები ქვეყნის ნაწილს კვლავ აკონტროლებენ, მშვიდობა კი კვლავ მიუღწევადია.

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეები და გაყინული კონფლიქტები კვლავ არსებობს ისეთ რეგიონებში, როგორიცაა დნესტრისპირეთი, მოლდოვის რესპუბლიკა, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, საქართველო და მთიანი ყარაბახი, აზერბაიჯანი, – აღნიშნა აგრამუნტმა.

– ჩვენი მხრიდან უნდა გავაგრძელოთ მსჯელობა გაყინულ კონფლიქტებზე ევროპის ზოგიერთ რეგიონში, მათ შორის დნესტრისპირეთში – რესპუბლიკა მოლდოვა, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი – საქართველო და მთიანი ყარაბახი – აზერბაიჯანი. ეს კონფლიქტები ევროპის უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს, – განაცხადა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახალმა პრეზიდენტმა. (ინტერპრესნიუსი)

## ძლიერი ყინვა აზიაში — გარდაცვლილია 55 ადამიანი



„ბიბისის" ინფორმაციით, ძლიერი ყინვის შედეგად 50-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა ტაივანში. მათი უმრავლესობა ასაკოვანია.

დაბალ ტემპერატურას მსხვერპლი მოჰყვა იაპონიაშიც, სადაც 5 ადამიანია გარდაცვლილი.

გადაუდებელი თოვის შედეგად გაუქმებულია 600-მდე შიდა ავიარეისი. სამხრეთ კორეაში კი 60 000-ზე მეტი ტურისტი ქვეყნის დატოვებას ვერ ახერხებს.

ძლიერი ყინვაა ასევე, ჰონკონგსა და ჩინეთის სამხრეთ რეგიონებში. მთავრობები მოსახლეობას მოუწოდებენ, დარჩნენ სახლში და გარეთ გასვლის შემთხვევაში თბილად ჩაიცვან. (პირველი რადიო)

# „ღორის გრიპი“ — დაავადების ნიშნები და თავდაცვის გზები






მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ე.წ. ღორის გრიპით გარდაცვლილთა რიცხვი, ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ სამია, სასწრაფო დახმარების გამოძახებების სიხშირე და პაციენტების მძიმე მდგომარეობა სულ სხვა შედეგებზე ფიქრის საბაბს იძლევა.

**გთავაზობთ იმ რეკომენდაციებსა და რჩევებს, რომლებიც ამ დაავადებისგან თავდაცვისთვის გამოგადგებათ:**

**— რა არის „ღორის გრიპი“? რატომ ჰქვია მას ეს სახელი?**

გრიპის ვირუსები სამ სახეობად იყოფა. ერთ-ერთი მათგანია A და სწორედ ის გახლავთ უმთავრესად პანდემიების გამომწვევი. ღორის გრიპი A გრიპის ერთ-ერთი ქვესახეობაა, რომელსაც მედიცინის ენაზე **H1N1** ჰქვია. რაც შეეხება სახელწოდება „ღორის გრიპს“, მას რეალურ ისტორიას უკავშირებენ. 2009 წელს აშშ-ში, კალიფორნიაში, წარმოშობით მექსიკელმა მოზარდმა სამკურნალო დაწესებულებას გრიპისმაგვარი დაავადების სიმპტომებით მიმართა. მას ჩაუტარდა ტესტირება და ადგილობრივმა მედიკოსებმა დაადგინეს, რომ ეს იყო A ტიპის ვირუსი. ადგილზე მისი ქვეტიპის დადგენა ვერ მოხერხდა და მასალა შემდგომი დიაგნოსტიკისთვის აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებს გადაეგზავნა. იქ მოხდა ვირუსის გენების შესწავლა და როდესაც მეცნიერებმა პირველად შეხედეს გენომს, ის აშშ-ში ღორებში გავრცელებული გრიპის გენომს მიამსგავსეს. შემდეგ გაირკვა, რომ ეს არ იყო მხოლოდ ღორებისთვის დამახასიათებელი ვირუსი; ეს გახლდათ ვირუსი, რომელიც ადამიანისგან ადამიანს გადაეცემოდა. უბრალოდ, წარმოადგენდა მის სრულიად ახალ ქვეტიპს, რომელიც მანამდე არ ცირკულირებდა მოსახლეობაში და, შესაბამისად, ჰქონდა პანდემიური, ანუ საყოველთაო გავრცელების პოტენციალი. აი, ასე შერჩა ამ პანდემიას „ღორის გრიპის“ სახელი.

**— რა განსაკუთრებული თავისებურება ახასიათებს ამ ვირუსს და რა განაპირობებს დაავადების მძიმე მიმდინარეობას?**

ეს ვირუსი პრაქტიკულად არაფრით განსხვავდება სხვა გრიპის ვირუსებისგან და იწვევს პრაქტიკულად იმავე სიმპტომატიკას, რასაც ნებისმიერი გრიპის ვირუსი. საზოგადოდაც, A და B ტიპის ვირუსებით გამოწვეული გრიპი სიმპტომებით ერთმანეთისგან არ განსხვავდება. ერთადერთი განსხვავება, რაც პანდემიის დასაწყისში და მისი მიმდინარეობისას შეიმჩნეოდა, ის იყო, რომ **H1N1** 30-დან 60 წლამდე ასაკის პირებს უფრო მეტად აყენებდა ზიანს, ვიდრე ხანშიშესულებს, მაშინ როდესაც გრიპი, საზოგადოდ, უფრო ხანშიშესულებისთვისაა საშიში. სტატისტიკურადაც, 65 წელს გადაცილებულებში „ღორის გრიპი“ გაცილებით იშვიათია.

**— რა არის პაციენტთა გარდაცვალების ძირითადი მიზეზი?**

გრიპი უმთავრესად იმ ადამიანებს ურთულდებათ, რომლებსაც რაიმე სხვა დაავადებაც ჰქონდათ. აღრიცხულ შემთხვევებში ქრონიკული დაავადებების საკმაოდ ფართო სპექტრია წარმოდგენილი: ქრონიკული ჰეპატიტები, დიაბეტი, ჭარბი წონა, ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებები...

**— როგორია H1N1 ტიპის ვირუსით გამოწვეული გრიპის სიმპტომები?**

გრიპი იწყება მოულოდნელად, მაღალი ტემპერატურით, უმთავრესად ახლავს ინტოქსიკაციის მოვლენები, რაც გამოიხატება თავის, კუნთების, სახსრების ტკივილით და ხველებით. შედარებით იშვიათად ერთვის ყელის ტკივილი და ცხვირის გაჭედვის შეგრძნება. შესაძლოა, ამ სიმპტომმა მოგვიანებით იჩინოს თავი. დაავადება ყოველგვარი სამედიცინო ჩარევის გარეშე 7 დღეში სრული განკურნებით მთავრდება.

**— ყველაზე ხშირად რა გართულებები აღინიშნება A ტიპის ვირუსით გამოწვეული გრიპის დროს?**

სტატისტიკურად ყველაზე ხშირი გართულება პნევმონიაა. ამ უკანასკნელის ორი ვარიანტი არსებობს: პირველი – ეს გახლავთ თავიდანვე განვითარებული პნევმონია, ანუ ვირუსული პნევმონია, რაც იშვიათია და მეორე, რომელიც უფრო ხშირია – მეორეული, ანუ ბაქტერიული ინფექციით გამოწვეული ფილტვების ანთება, რომელიც დაერთვის გრიპს დაავადების დაწყების მესამე-მეოთხე დღეს. თუ თავიდანვე შეამჩნია ადამიანმა, რომ სუნთქვა უჭირს, აწუხებს ტკივილი გულ-მკერდის არეში, ტკივილი სუნთქვისას, ცხვირ-ტუჩის არეში ციანოზი, ანუ სილურჯე უვითარდება, ნახველი უხდება ვარდისფერი ან მასში ერევა სისხლი, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ექიმს. თუ ამ სიმპტომებმა გრიპის დაწყებისთანავე იჩინა თავი, ეს ვირუსულ პნევმონიაზე მიუთითებს, ხოლო თუ გრიპის მესამე დღიდან, როცა ტემპერატურა უკვე შედარებით დაწეულია, მდგომარეობა ისევ დამძიმდა, დაერთო ხველა – ეს უკვე ბაქტერიული პნევმონიის მანიშნებელია და ექიმს ამ შემთხვევაშიც აუცილებლად უნდა მიმართოთ. თუ სამედიცინო დახმარება დროულად გაეწია, ორივე შემთხვევაში გამოჯანსაღების ალბათობა საკმაოდ დიდია.

**— როგორია მკურნალობის სქემა გრიპის ვირუსით გამოწვეული გრიპის შემთხვევაში?**

გრიპის ვირუსით გამოწვეული შემთხვევები ორად უნდა გავყოთ. ერთი ჯგუფია მსუბუქი შემთხვევები, რომლებიც სპეციალიზებულ სამედიცინო დახმარებას არ მოითხოვს, მეორე – გართულებული შემთხვევები. მსუბუქი შემთხვევებიც მაღალი ტემპერატურით მიმდინარეობს და ინტოქსიკაციაც ამ დროს საკმაოდ ძლიერია, თუმცა სუნთქვის პრობლემები ნაკლებად არის გამოხატული. ამ დროს რეკომენდებულია, დაავადებულმა დაიცვას წოლითი რეჟიმი, დარჩეს შინ, მიიღოს დიდი რაოდენობით სითხე, ჩვენებისამებრ – სიცხის დამწევები. რაც შეეხება ორსულებს, მათ აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს, რადგან ორსული – ეს გრიპის რისკჯგუფში შემავალი ადამიანია. გრიპის მძიმე შემთხვევების დროს რეკომენდებულია ანტივირუსული პრეპარატების გამოყენება. ამ სახის ორი პრეპარატი არსებობს: ოსელტამივირი, ანუ ტამიფლუ, და ზანამივირი, ანუ რელენზა. ეს უკანასკნელი რეკომენდებულია ორსულებისთვის, ხოლო ტამიფლუ – ორსულებისთვისაც და სხვებისთვისაც. მსოფლიო გამოცდილება იმასაც გვაჩვენებს, რომ, თუმცაღა ბევრ ქვეყანას არ აქვს ტამიფლუ ან რელენზა, გრიპი გამოჯანმრთელებით მაინც სრულდება. ანტიბიოტიკებით თუ სხვა პრეპარატებით თვითმკურნალობა კი კატეგორიულად მიუღებელია. ნუ შეუქმნით საფრთხეს საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

**— ვაქცინაციის შესახებ**

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, პროფილაქტიკის ერთადერთი პირდაპირი საშუალებაა სეზონური გრიპის ვაქცინით აცრა. ვაქცინაცია ეფექტურია გრიპის სეზონის დაწყებამდე, ამიტომაც იწყება ოქტომბერ-ნოემბერში გრიპის ვაქცინაციის პროპაგანდა. გავრცელების პროცესში ვაქცინაციაზე ჯანმო უარს არ ამბობს, უბრალოდ არსებობს დიდი ალბათობა, რომ ვაქცინაცია დაემთხვეს გრიპით ინფიცირებას და ამან გაურკვევლობა გამოიწვიოს, ამიტომ ამ დროს რეკომენდაციას ვიძლევით, მოსახლეობამ გამოიყენოს დაცვის არაპირდაპირი საშუალებები, ანუ უფრო გაამკაცროს პროფილაქტიკის წესები. პირადი ჰიგიენა, ცხოვრების ჯანსაღი წესის ზედმიწევნით დაცვა არა მარტო გრიპის, არამედ უამრავი სხვა დაავადების პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა. და კიდევ – მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ პროფილაქტიკისთვის ჯობს, ინფიცირებულმა იხმაროს ნიღაბი და არა ჯანმრთელმა ადამიანმა.

**— საზოგადოების რა ნაწილს ემუქრება განსაკუთრებული რისკი?**

ყველაზე მეტად უნდა გაფრთხილდნენ ნებისმიერი ქრონიკული დაავადების, განსაკუთრებით – სასუნთქი და გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, დიაბეტით დაავადებულები, თირკმელებისა და ღვიძლის ქრონიკული დაავადების მქონეები, მცირე ასაკის ბავშვები და ხანდაზმულები. განსაკუთრებული ჯგუფია ორსულები, რომლებშიც გრიპი შედარებით მძიმედ მიმდინარეობს, ვიდრე არაორსულებში, ამიტომ მათ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მიმართონ ექიმს.

**— დაბოლოს, გირჩევთ:**

ნუ აჰყვებით პანიკას უბრალო სეზონური გრიპის გამო. მისდიეთ ცხოვრების ჯანსაღ წესს, რათა ჯანსაღი და მძლავრი იმუნური სისტემით შეხვდეთ ყოველ სეზონურ გრიპს, რომელსაც თავს ვერასგზით ვერ ავარიდებთ, ხოლო გრიპის გავრცელებისას დავიცვათ ჰიგიენისა და პროფილაქტიკის ის წესები, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი და რა თქმა უნდა, ყოველთვის დროულად მიმართეთ ექიმს.

***mkurnali.ge***



## რა ზიანი მოაქვს წყლის ორჯერ ადუღებას?



ბევრს ჰქონია შემთხვევა, როცა ჩაისთვის ან ყავისთვის წყალი განმეორებით აგიდუღებიათ. თუმცა წყლის განმეორებით ადუღებით შეიძლება სიცოცხლესაც გამოვემშვიდობოთ. რატომ? ახლავე გაიგებთ!

წყლის ადუღების შემდეგ მისი შემადგენლობაც იცვლება, ცუდი ნივთიერებები კვდება და მისი დალევა უსაფრთხოა. თუმცა თუ წყალი დიდხანს დუღს ან მეორეჯერ ადუღებთ, ქიმიური ნაერთები იცვლება და ბევრი საშიში ნივთიერება კვდომის ნაცვლად, დაგროვებას იწყებს.

1. დარიშხანი – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ირწმუნება, რომ დარიშხანი სასმელ წყალში ადამიანის ჯანმრთელობას დიდ საფრთხეს უქმნის. ორგანიზმში მისი თანდათანობით დაგროვება იწვევს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პრობლემებს, პერიფერიულ ნეიროპათიას, სისხლძარღვთა დაავადებებს, თირკმლის ფუნქციის დარღვევას, კანის დაზიანებას, დიაბეტსა და შესაძლოა, კიბოს.

2. ნიტრატები – ნიტრატები არა მარტო ნიადაგში, არამედ წყალსა და ჰაერშიც გვხვდება. როცა წყალი მაღალ ტემპერატურას აღწევს, ნიტრატები კანცეროგენულ ნიტროშემცველელად გარდაიქმნება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკვერცხის, მსხვილი ნაწლავის, ნაღვლის ბუშტის, პანკრეასის, საყლაპავი მილის ან კუჭის კიბო.

3. ფტორი – ის, რომ წყალში არსებული ფტორი ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშია, უკვე დამტკიცებულია. ერთ-ერთ სამეცნიერო-სამედიცინო ჟურნალში გამოქვეყნებულია ექსპერიმენტის შედეგები, რომელიც ადასტურებს, რომ სასმელ წყალში ფტორი ბავშვებს IQ-ის შემცირებას იწვევს.

გამოდის, რომ წყალი არა მარტო ხელს უწყობს წონის შემცირებას, არამედ შეიძლება თქვენს ორგანიზმს დიდი ზიანიც მიაყენოს.

***lady.mcvane.ge***



## რამდენად სწორად იზომავთ წნევას — ექიმის რეკომენდაცია




სისხლის მომატებული წნევა (არტერიული ჰიპერტენზია) მსოფლიოში სიკვდილიანობისა და ავადობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია. ამიტომ მის დროულ გამოვლინებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამისთვის აუცილებელია წნევის გაზომვა სწორად ჩატარდეს, რადგანაც მონაცემების არასწორი დაფიქსირება შესაძლებელია საბედისწერო გამოსავლის მიზეზი გახდეს. ვზომავთ თუ არა წნევას სწორად?

• წნევის გაზომვისთვის ოპტიმალურია წყნარი, კომფორტული გარემო ოთახის ნორმალური ტემპერატურის პირობებში.

• იდეალურ შემთხვევაში პაციენტს არ უნდა ჰქონდეს მოშარდვის სურვილი, ცოტა ხნით ადრე არ უნდა ჰქონდეს მიღებული საკვები და კოფეინი, არ უნდა ჰქონდეს თამბაქო მოწეული, არ უნდა იყო ფიზიკურად გადაღლილი.

• რეკომენდებულია წნევის გაზომვამდე პაციენტისთვის, სულ მცირე, 5 წუთის მანძილზე დასვენების შეთავაზება.

• სისხლის წნევის მაჩვენებლებს ახასიათებთ მატების ტენდენცია პაციენტის მწოლიარედან ვერტიკალურ მდგომარეობაში გადასვლისას. ცვლილება შესაძლოა, არ იყოს მნიშვნელოვანი, მაგრამ გაზომვისთვის ტრადიციულად მიღებულია პაციენტის მჯდომარე პოზიციის გამოყენება.

• პაციენტთა გარკვეულ ნაწილს აღენიშნება სისხლის წნევის მნიშვნელოვანი დაქვეითება დგომის დროს (პოსტურალური ჰიპოტენზია)

• სისხლის წნევას ახასიათებს მატების ტენდენცია, როდესაც პაციენტის მხარი ჰორიზონტალური ხაზის ქვემოთ ეშვება, ხოლო მხრის აწეულ მდგომარეობაში მისი მაჩვენებელი მცირდება.

• როდესაც წნევა კლინიკის პირობებში იზომება, პაციენტის მხარი უნდა იყოს გაშლილ მდგომარეობაში, გულის დონეზე და ეყრდნობოდეს მაგიდას ან რაიმე სხვა საყრდენს.

• სხვადასხვა მხარზე წნევის მაჩვენებლებს შორის შესაძლებელია განსხვავება დაფიქსირდეს.

***newposts.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## სექსუალური ტრადიციები, რომელთა დაჯერებაც გაგიჭირდებათ



თითოეულ ოჯახსაც კი ცხოვრების თავისი წესები აქვს და რა გასაკვირია, რომ მსოფლიო მასშტაბით მცხოვრებ ადამიანებს განსხვავებული და ერთი შეხედვით, უჩვეულო ტრადიციები ჰქონდეთ. თანაც, გასათვალისწინებელია, რომ ევროპა, რომელიც დედამიწის ყველაზე განვითარებულ ნაწილად ითვლება და რომელიც ბევრს ცხოვრების მისაბაძ მაგალითად მოჰყავს, მთელი სამყაროს კულტურას ვერ ქმნის.

გავეცნოთ ჩვენთვის უცნაურ და სხვებისთვის საუკუნეებით განმტკიცებულ სექსუალურ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს:



– სამოთხის ქოხები 15 წლის გოგონებისთვის – პატრიარქალური კამბოჯის პროვინცია რატანაკირი კრეუნგების ტომითაა დასახლებული. ადგილობრივი წეს-ჩვეულება 15 წელს მიღწეული, სრულწლოვანი გოგონებისგან მოითხოვს, საქმროები თავად მოძებნონ. ძიების პროცესი კი ასეთია – საკუთარ სახლთან ახლოს მამა ქოხს აშენებს, სადაც გოგონას რამდენჯერაც სურს, იმდენჯერ შეუძლია მიიყვანოს სავარაუდო კანდიდატი და მასთან სექსი ჰქონდეს. ეს პროცესი მანამ გრძელდება, სანამ, ბოლოს და ბოლოს, გოგონა თავის სიყვარულსა და ცხოვრების თანამგზავრს არ შეარჩევს.

მიიჩნევა, რომ ამ ტრადიციის გამო, ქალი საკუთარ თავში დარწმუნებული და დამოუკიდებელი ხდება. შესაძლოა, სწორედ სამოთხის ქოხების დამსახურებაა, რომ ამ ტომის ხალხთან განქორწინებისა და გაუპატიურების ფაქტები თითქმის არ არსებობს.

– ჩემთვის ძმა ხარ – ნეპალში მიღებულია მრავალქმრიანობა. მეცნიერული ენით კი – პოლიანდრია. ასეთი ქორწინების დროს, ქალს შეუძლია, რამდენიმე ქმარი ჰყავდეს. როგორც წესი, ქალი ძმებს მიჰყვება ცოლად. ამ ტრადიციას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი ის, რომ მიწა მოუსავლიანია და ისიც ყველას არ ჰყოფნის, ქორწინებით კი ქონების გაყოფას არიდებენ თავს. მეორე, არცთუ ისე უმნიშვნელო მიზეზის თანახმად, მსგავსი ქორწინებისას ბევრი ბავშვი გაჩნდება, რაც გადარჩენის შანსების გაზრდას ნიშნავს. ხოლო მესამე მიზეზი კი ისაა, რომ რამდენიმე ქმარს უკეთ შეუძლია სახლის მიხედვა, ვიდრე ერთს. ასე რომ, მატერიალური მხარე დიდ როლს თამაშობს.

1963 წელს ნეპალში მიღებული კანონის თანახმად, აიკრძალა მრავალქმრიანობა, მაგრამ ვინ მიაქცევს ასეთ კანონს ყურადღებას, როცა ცხოვრება სხვაგვარად მოქცევას გაიძულებს?

– ცვლილებების ღამე – ინდონეზიის მცხოვრებლები წელიწადში შვიდჯერ „მონის“ დღესასწაულს აღნიშნავენ. საზეიმო ცერემონიალი იავის კუნძულის წმინდა მთის ძირში ტარდება. იქ კი ზეიმის მონაწილეებს მთელი ღამის განმავლობაში სექსი აქვთ იმ ადამიანებთან, ვისთანაც ცოლქმრული ურთიერთობა არ აკავშირებთ. მიიჩნევა, რომ ყველაზე მეტად იმას გაუმართლებს, ვისაც შვიდჯერვე ერთსა და იმავე ადამიანთან მოუწევს ურთიერთობა. ადგილობრივებს სჯერათ, რომ ამ დღესასწაულს წარმატება და სიმდიდრე მოაქვს.

– პურიტანული სექსი ტანსაცმლით – ირლანდიაში, კუნძულ ინის ბიგზე არის რამდენიმე სოფელი, სადაც კათოლიკეები ცხოვრობენ. იქ მცხოვრები ყველა ადამიანი ღრმად მორწმუნეა, სექსთან დაკავშირებით კი მკაცრი კანონები აქვთ: იკრძალება სექსუალური განათლება, სექსი ქორწინებამდე, მშობლები შვილების დაუკითხავად გეგმავენ მათ ქორწილს. სექსუალური აქტისას, გარდა კოცნისა, დაუშვებელია მოფერება. თანაც, ყველა ინიციატივა კაცისგან უნდა მოდიოდეს და პარტნიორებს აუცილებლად კლასიკურ პოზაში უნდა ჰქონდეთ სექსი ისე, რომ სამოსი არ გაიხადონ – ცოდვაა და იმიტომ.

– პირველი მასწავლებელი – წყნარი ოკეანის კუნძულ მანგაიაზე ასეთი ტრადიციაა – 13 წლის ბიჭი თავად ირჩევს მასზე დიდი ასაკის ქალს, რომელიც მისი მასწავლებელი ხდება. ქალი ვალდებულია, ბიჭს ისეთი სექსუალური განათლება მისცეს, რომ მომავალ საოჯახო ცხოვრებაში გამოცდები წარმატებით ჩააბაროს.

– ნამდვილი მამაკაცების სასმელი – ნამიბიის ტომის წევრებს სჯერათ, რომ იმისთვის, რათა მათი ბიჭები ნამდვილ მამაკაცებად გაიზარდონ, აუცილებელია, სვამდნენ კოქტეილს, რომელსაც სპერმისგან ამზადებენ. ტომს სჯერა, რომ სპერმა სიცოცხლის მთავარი წყაროა და იძლევა ძალას, რომელიც ბიჭს ნამდვილ მამაკაცად აქცევს.

– ცხოველებით გატაცება – ცხოველეებთან სექსუალურ ურთიერთობას თითქმის ყველა ქვეყანა გმობს, მაგრამ არსებობს ლიბანი, სადაც კანონი მამაკაცებს აძლევს უფლებას, საკუთარი ცხოველები უყვარდეთ. თანაც, ყველანაირი გაგებით. ერთი კია, აკრძალვა მაინც არსებობს – ცხოველი აუცილებლად მდედრი უნდა იყოს. მამრთან ურთიერთობა კანონით ისჯება.



– პირველი ღამე მოწმეებით – კოლუმბიის ქალაქ კალიში არსებობს ასეთი ტრადიცია – წყვილმა ქორწილის პირველი ღამე პატარძლის დედის თანდასწრებით უნდა გაატაროს. სიდედრი ოფიციალური დამსწრის როლს ასრულებს, რომელიც ადასტურებს, რომ ქორწინება შედგა.

– ცოდნა ძალაა – საფრანგეთში, კერძოდ, მარკიზის კუნძულებზეც არ არიან წყვილები წინააღმდეგი, რომ მათ ურთიერთობას მოწმეები ჰყავდეს. ხანდახან კი მშობლების სექსს ბავშვები ესწრებიან...

*fishki.net*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## რომელია ყველაზე ხშირი და ყველაზე იშვიათი სახელები საქართველოში



როგორც აღმოჩნდა, ევროპაში ყველაზე გავრცელებული სახელი სოფია ყოფილა. საინტერესოა, რა სახელებს ანიჭებენ საქართველოში უპირატესობას.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პირველ ადგილზე სახელი ნინოა, მეორე ადგილს ანა იკავებს და ფეხდაფეხ მოჰყვებიან სახელები – მარიამი, ნანა და თამარი.

სააგენტომ იშვიათი სახელების ნუსხაც გამოაქვეყნა. აქ, ბუნებრივია, რიგითობა არ იქნება და ყველა სახელს პირველი ადგილი უჭირავს.

საქართველოში იშვიათი და უცნაური სახელებია: ვებერთელა (ალბათ, ახალდაბადებული გულივერს ჰგავდა), ფემისტოკლე (მშობლები მითოლოგიაზე იყვნენ შეყვარებული), სევდაგულ (რომ დაიბადა, ბრაზიანად არა, სევდიანად ტიროდა), მილიარდი (რომ გაჩნდა, მშობლებმა თქვეს, ბიძინას წყალი გადასხმოდესო), გარინჩა (საინტერესოა, რამდენად გაუმართლდათ მშობლებს იმედები), ფიზიკა (მამა ქიმიკოსი იყო, მაგრამ პირველ შვილზე დედას დაუთმო), კეკლუცა (გაჩენისთანავე რომ ფოტო გადუღეს, არ უტირია, თვალები დანაბა), ვინარი (ექიმს ექოსკოპიის აპარატი გაფუჭებული ჰქონდა და გაჩენამდე უცნობი იყო, ვის ელოდნენ), ნექტარი (სიტკბოს მოყვარული მშობლების შვილი).

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## მეცნიერებმა დაადგინეს, რა გავლენას ახდენს ფიქრები ჩვენს ჯანმრთელობაზე



აღმოსავლეთში ამბობენ – „ყველაზე დიდი მტერიც კი ვერ უსურვებს ადამიანს ისეთ საშინელ უბედურებას, როგორც მის საკუთარი აზრებს შეუძლია მოუტანოსო“...

პარიზის ერთ-ერთ საავადმყოფოში ახალგაზრდა ფსიქოლოგმა ემილ კუემ საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა და თითქოსდა მთავარი ექიმის დანიშნულებით ავადმყოფებს დაავალა დღეში სამჯერ ხმამაღლა, ან გონებაში 10-ჯერ გაემეორებინათ შემდეგი ფრაზა – „ყოველდღე მე სულ უფრო უკეთესად და უკეთესად ვგრძნობ თავს“. ამასთანავე, ეს მექანიკურად კი არა, შეძლებისდაგვარად გააზრებულად უნდა გაეკეთებინათ.

ერთი თვის მერე კუეს პაციენტები საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალის მთავარ სალაპარაკო თემად იქცნენ. უფრო მოგვიანებით კი, მათზე მთელ საფრანგეთში ალაპარაკდნენ. მძიმედ დაავადებულები ერთი თვის მანძილზე გამოჯანმრთელდნენ, ზოგიერთმა ამით ქირურგიული ჩარევაც კი აიცილა თავიდან.

ამგვარად, დადასტურდა უდიდესი მეცნიერის პარაცელსის აზრი, რომელიც ამტკიცებდა, რომ რწმენას სასწაულის მოხდენა შეუძლია.

– საუკეთესო დაცვა ყველა დაავადებისა და ნებისმიერი ინფექციისგან საკუთარი ჯანმრთელობის მტკიცე რწმენა და დადებითი ემოციებია. ნეგატიური აზრები ანადგურებს. მაგალითად, სიბრაზე იწვევს კუჭ-ნაწლავის ტრაქტთან დაკავშირებულ ავადმყოფობებს, წყენა – დროთა განმავლობაში იწვევს ღვიძლისა და პანკრეასის დაავადებებს და ასევე ქოლეცისტიტს, – ამბობს 20-წლიანი სტაჟის მქონე ფსიქოლოგი მეტელსკი.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური კანონის თანახმად, სიყვარულის, სიმპათიისა და აღფრთოვანების სიტყვიერი გამოხატვა აძლიერებს იმ ადამიანის სიცოცხლის ენერგიას, ვისკენაცაა მიმართული. ხოლო ბოროტი სიტყვები – მსმენელის ენერგიას ზიანს აყენებს და ასუსტებს. დაავადებათა საერთო რაოდენობა, რომელიც ცუდ აზრებს უკავშირდება, მუდმივად იზრდება. იმისთვის, რომ მათ წინააღმდეგობა გავუწიოთ, ბრძენი ხალხის რჩევას უნდა მივყვეთ – ცხოვრებით გავიხაროთ, როგორი რთულიც არ უნდა იყოს ის.

გაითავისეთ ამერიკელი კარდიოლოგის რობერტ ელიოტის ორი ოქროს წესი, რომელიც ინფარქტებისა და გულის უკმარისობის პროფილაქტიკის აღიარებული სპეციალისტია.

პირველი წესი: წვრილმანების გამო არ განაწყენდეთ.

მეორე წესი: ყველაფერი წვრილმანია.

*intermedia.ge*



– ექიმო, სად მივდივართ?
– მორგში!
– ესე იგი, ჯერ არ მოვმკვდარვარ?
– ჯერ არც მივსულვართ!..

*****

ქმარი სამსახურიდან სახეალეწილი დაბრუნდა, ტანსაცმელი ძლივს გამოიცვალა, დაჯდა სამზარეულოში და ვახშმის უმადოდ კიკნა დაიწყო. ცოლმა გადაწყვიტა, ახალი ამბავი დაძინებამდე ეცნობებინა და ქმარი გაეხარებინა:

– ძვირფასო! ფეხმძიმედ ვარ!!!
– როგორ, შენც?!?!?!

*****



სტომატოლოგის კაბინეტიდან გამოსვლის წინ დედა 5 წლის შვილს ეკითხება:

– აბა, რა უნდა უთხრა ბიძიას?

ბავშვი ტირილით:

– შე დამპალო!!!

*****

– რაიმე ნაკლი გაქვს?
– კი – გადაჭარბებული პირდაპირობა!
– ვფიქრობ, პირიქით, ეგ ნაკლი კი არა, ღირსებაა.
– აი, სულ ფეხებზე მკიდია, რას ფიქრობ!!!

*****

მასწავლებელი მოსწავლეებს:

– კოტე, აბა, აუღლე „ხმას ვაძლევ“.
– მე ხმას ვაძლევ, შენ ხმას აძლევ, ის ხმას აძლევს, ჩვენ ხმას ვაძლევთ, თქვენ ხმას აძლევთ.
– კოტე, და „ისინი“?
– ისინი კი სხედან და ფეხებზე ვკიდივართ!..

*****

– თქვენი იყო ის ვირთხა, ჩემს ეზოში რომ შემოვარდა?
– რა ვირთხა, კაცო, ძაღლია ჩემი, უიშვიათესი ჯიშის – ჯუჯა ტაქსა!
– რა ვიცი, ჩემმა კატამ კი სიამოვნებით შეჭამა და...

*****



მასწავლებელი:

– ბავშვებო, დღეს უღლება უნდა ვისწავლოთ. ავიღოთ, მაგალითად, „მღერა“... აბა, კოტე, დავუშვათ, შენ მღერი. როგორ იტყვი ამას?
– მე ვმღერი.
– მართალია. და თუ მღერის შენი დაიკო, ამ შემთხვევაში რას იტყვი?
– ხმა ჩაიკმინდე, შე დებილო!..

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ***
***დავით ახობაძის ნახატი***

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. დარდი, ვარამი
2. ძვ. სამეჯლისო ცეკვა
3. მსახიობი ტომ ...
4. უნგრელი კომპოზიტორი
5. ნევთიერება. სუნს აძლევს მეთანს
6. ხევები ქუჩის ორივე მხარეს
7. ... ლოიდ ვებერი
8. მსახიობი ალისა ...
9. მსახიობი ... ჰარლი
10. დათვის ნაშიერი
11. რეჟისორი მარტინ ...
12. მეცნიერება. შინაგანი სეკრეციის ორგანოებს
13. ხმის ტარი
14. სასიმინდე
15. მელოდიის ძირითადი მოტივი
16. აეროპორტი პარიზში
17. მხატვარი ანრი ...
18. ცისარტყელას ქალღმერთი
19. მხატვარი სალვადორ ...
20. ... კოშკელიშვილი
21. „პარმის სავანე“ ავტორი
22. რეჟისორი ... ლოლობერიძე
23. საჭმელი, სურსათი
24. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
25. ვაჟა-ფშაველას პოემა
26. მობილურების ფინური ფირმა
27. მუსიკალ. ვიდეორგოლი
28. შიიზმის მიმდევარი
29. წონასწორობა, ანუ ...
30. ჭრილობა
31. ტალღებზე ფიცრით სრიალი
32. ჭაობის ბუ
33. რეჟისორი ალფონსო ...
34. ვირის საპირისპირო ბრძანება
35. ციტრუსი
36. ველური ყაყაჩო
37. თეთრი თიხის კერამიკა
38. დიზაინერები ... და გაბანა
39. ნორმიდან გადახრა
40. ფუგი იაპონურ კულინარიაში
41. ფილიპინების დედაქალაქი
41ა. მსახიობი დემი ...
42. ბრიუს უილისის ფილმში
43. კვერი
44. მსახიობი ... ფლინი
45. 100სმ
46. ლამქარი
47. გოგოლის მოთხრობა
48. შოტლანდიური ნაგაზი
49. ერთგვარი ხვლიკი
50. ესპანელი მხატვარი
51. ყელსაბამი
52. გამჭოლი ქარი
53. ქალაქი იტალიაში
54. დიზაინერი ... ზერგერი
55. ... გათეთრდების ყირანი
56. გრძელი კარავი
57. ბულგარული არაყი
58. უნაყოფო მიწა
59. ნაკურთხი წყალი
60. იაპონელი თვითმკვლელი
61. „მაუგლი“ პითონი
62. დაშენდილი შაქარი
63. მუსიკალ. ინტერვალი
64. მტაცებელი თევზი ოკეანეში
65. ფრანგი მხატვარი
66. მეხსიერების დაკარგვა
67. გამოძიების ერთ-ერთი გზა
68. თეატრის სცენის განათება
69. ფიგურული ქსოვის ტექნიკა
70. ბიბლიური მოსეს ძმა
71. მოცეკვავე ... დოლაბერიძე
72. პოეტი აკაკი ...
73. გაუშლელი ყვავილი
74. ქალაქი რუსეთში
75. დარტანიანის მეტოქე ქალი
76. მოგზაური ფრიტიოფ ...
77. ქართული წყაროს წყალი
78. მას მალვინა უყვარდა
79. კურორტი ზუგდიდის რაიონში
80. არარეალური, მოჩვენებითი რამ
81. ჟუჟუ კამერი
82. მოცარტის მოქიშპე კომპოზიტორი
83. დიდი გარმონი
84. კუპრინის მოთხრობა
85. მომღერალი ტომ ...
86. თალი
87. მსახიობი ... რიშარი
88. ქალაქი ბრაზილიაში
89. მსახიობი ... [illegible]
90. ცოდვების გამოსასყიდი ფურცელი
91. მსახიობი აკაკი ...
92. მსახიობი ნანა ...
93. აზრი
94. სასწორის ჯამი
95. განმუხტვა ღრუბლებში
96. რუსი პოეტი
97. ფერადი ნიშანი ხარის შუბლზე
98. მომღერალი ... ბადურაშვილი
99. მსახიობი ... იისტვუდი
100. მარილის ჩასაყრელი
101. საქმეში ჩადებული წილი
102. ესპანეთის დედაქალაქი
103. ნასესხები ფული
104. ავტომრბოლელი ... ლაუდა
105. პოეტი ... შევჩენკო
106. კუნძული ინდონეზიაში
107. ქიმიური ნივთიერება
108. „101 დალმატინელი“ პერსონაჟი
109. მდინარე იტალიაში
110. ჯოხების ჯგუფი
111. მხარე ფინეთთან
112. გასანათებელი ფისიანი ჩხირი
113. ანტიკური საბერძნეთი
114. მ/ფ „... და მისი ძმები“
115. ყაზახეთის დედაქალაქი
116. ყველაზე მაღალი ჩანჩქერი
117. შვედური საესტრადო ანსამბლი
118. სია
119. მომღერალი ... ვაიკულე
120. ნაცია
121. მსახიობი ... გარდნერი
122. სოფელი დუშეთის რაიონში
123. ოპერა „აბესალომ და ...“
124. ბრონტე, „ჯეინ ...“
125. აბუ ... სინა, იგივე ავიცენა
126. მოვლენა ჩრდილოეთის ...
127. რეჟისორი ... დე ბონტი
128. „გავაძი ბიჭი“ პერსონაჟი
129. ფრინველის სამყოფი
130. აზერბაიჯანის დედაქალაქი
131. ბულგარული არაყი
132. რეჟისორი გას ... სენტი
133. მდინარე ჭიათურაში
134. იაპონური თეატრი
135. რიცხვი 3,14
136. ნაბიჯი ბალეტში
137. ელიტური წრეების მიერ მმართველობის ფორმა
138. ლუდის მასალა
139. მინდვრის ყვავილი

პასუხები: 1. კაეშანი; 2. კადრილი; 3. კრუზი; 4. ლისტი; 5. ოდორანტი; 6. ხეივანი; 7. ენდრიუ; 8. ფრეინდლიხი; 9. ლიზ; 10. ბელი; 11. სკორსეზე; 12. ენდოკრინოლოგია; 13. ვადა; 14. ნალია; 15. ლაიტმოტივი; 16. ორლი; 17. მატისი; 18. ირიდა; 19. დალი; 20. ნუკი; 21. სტენდალი; 22. ლანა; 23. სანოვაგე; 24. სიასამური; 25. „გველის-მჭამელი“; 26. „ნოკია“; 27. კლიპი; 28. შიიტი; 29. იარა; 31. სერფინგი; 32. ზაიყუში; 33. არაუ; 34. მაინა; 35. გრეიპფრუტი; 36. იორდასალამი; 37. ფაიფური; 38. დოლჩე; 39. ანომალია; 40. ფუგუ; 41. მანილა; 41ა. მური; 42. „არმაგედონი“; 43. ლეპრა; 44. ეროლ; 45. მეტრი; 46. სპა; 47. „ვიი“; 48. კოლი; 49. გეკონი; 50. მურილიო; 51. კოლიე; 52. ორპირი; 53. სან-რემო; 54. ზალიკო; 55. არ; 56. სეფა; 57. რაკია; 58. ეწერი; 59. აიაზმა; 60. კამიკაძე; 61. კაა; 62. რაფინადი; 63. კვარტა; 64. მურენა; 65. მილე; 66. ამნეზია; 67. ვერსია; 68. რამპა; 69. მაკრამე; 70. აარონი; 71. იამზე; 72. წერეთელი; 73. კოკორი; 74. სანკტ-პეტერბურგი; 75. მილედი; 76. ნანსენი; 77. „სნო“; 78. პიერო; 79. ანაკლია; 80. ფანტასმაგორია; 81. ანოა; 82. სალიერი; 83. ბაიანი; 84. „ოლესია“; 85. მარლი; 86. არკა; 87. პიერ; 88. რიო-დე-ჟანეირო; 89. ზინაიდა; 90. ინდულგენცია; 91. კვანტალიანი; 92. კალატოზიშვილი; 93. იდეა; 94. პინა; 95. ელვა; 96. ესენინი; 97. ნიშა; 98. ნინი; 99. კლინტ; 100. სამარილე; 101. პაი; 102. მადრიდი; 103. ვალი; 104. ნიკი; 105. ტარას; 106. ბალი; 107. მჟავა; 108. კრუელა; 109. პო; 110. არვე; 111. კარელია; 112. კვარი; 113. ელადა; 114. როკო; 115. ასტანა; 116. ანხელი; 117. „აბბა“; 118. რეესტრი; 119. ლაიმა; 120. ერი; 121. ავა; 122. ბარისახო; 123. ეთერი; 124. ეარი; 125. იბნ; 126. ციალი; 127. იან; 128. ნაია; 129. გალია; 130. ბაქო; 131. რაკია; 132. ვან; 133. ყვირილა; 134. ნო; 135. პი; 136. პა; 137. ოლიგარქია; 138. ალაო; 139. გვირილა. იკითხება: შარლიზ ტერონი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. მექსიკური ქუდი
2. გერმანიის დედაქალაქი
3. კუბის დედაქალაქი
4. მსახ. ... კოლელიშვილი
5. მსახიობი გრეტა ...
6. მხატვარი იოკო ...
7. ქალაქი ეგვიპტეში. იდგა მსოფლიოს საოცრება: შუქურა
8. სიცოცხლის მომნიჭებელი სითხე
9. მისი დედაქალაქია პარიზი
10. „... მიღმა გაზაფხულია“
11. მუხის ნაყოფი
12. დანიის დედაქალაქი
13. რეჟისორი ელდარ ...
14. ტყის სული წვეტიანი ყურებით
15. მხ/ფ „... და მისი ძმები“
16. საძირკველი, ანუ ...
17. ვიოლინოს წინაპარი საკრავი
18. ლეპრა
19. ქალაქი ჩეხეთში
20. ლერწმის შაქარი
21. „იყო ... როსტევან“
22. ჭრილობა
23. ვირას საპირისპირო ბრძანება
24. ნოდარ დუმბაძის რომანი
25. პური ლობიოს გულით
26. ორსახა ღმერთი
27. ნიავი
28. სასწავლო დაწესებულება
29. სამსახურებრივი წინსვლა
30. მსახიობი ... თბილელი
31. ფირნიში
32. სექტემბრის ხალხური სახელწ.
33. ის, ვინც კერძებს ამზადებს
34. „მაუგლი“ ავაზა
35. ჩირქის გამომწვევი მიკრობი
36. ჩარხი
37. მსახ ... ტრავოლტა
38. მსახ. ... ლამბერტი
39. ერთ-ერთი თითი
40. ქალაქი უკრაინაში
41. ტყის ფრინველი
42. „ნათლია“ დონ ვიტო ...
43. აქლემის ნაშიერი
44. მხ/ფ „... ტრეისი“
45. ბულგარული არაყი
46. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
47. მწერლის ფულადი ანაზღაურება
48. მსახ. ... მაკგრეგორი
49. ბარის პირით ამობრუნებული მიწა
50. ლარნაკი
51. უფულოდ წაღებული საქონელი
52. ოქროს მონეტა ძველ ევროპაში
53. მომღერალი ბათუ ...
54. დოილი. „... ძაღლი“
55. გემის გვერდი
56. დედნიდან გადაღებული პირი
57. თმის გასაშრობი ხელსაწყო
58. ხმის გამაძლიერებელი
59. დიზაინერი ... ლაგერფილდი
60. ხეზე ჭრის ხელოვნება
61. რეჟისორი ჯონ ...
62. საფეხურებად გადმომჩქეფარე წყალი
63. რუსი ილუზიონისტი
64. დიამეტრის ნახევარი
65. ფრანგი კომედიოგრაფი
66. პროვინცია კანადაში
67. „ბეჭდების მბრძანებელი“ ჰობიტი
68. რევოლუციონერი ... ცეტკინი
69. მიანმის (ბირმის) ყოფილი დედაქალაქი
70. ციხესიმაგრე. იქედან აბატი ფარია
71. მწვანილი
72. პინოქიოს ავტორი
73. ჩრდ. ამერიკული ნიანგი
74. ქალაქი აშშ-ში
75. ტკბილი ხივთიერება
76. ბელგიის რეგიონი
77. მოკრივე ... მარჩიანო
78. კუნძული ინდონეზიაში
79. ცისარტყელას ფერი
80. ზნეობრივი ხასიათის გამოთქმა
81. ამერიკული კინოაკადემიის ჯილდო
82. აფრა
83. ფალიაშვილის ოპერა
84. გარეუბანი, ანუ ...
85. „... დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“
86. თვითმფრინავის ფანჯარა
87. უნგრელი კომპოზიტორი
88. მანძილის საზომი ასტრონომიაში
89. კრილოვი. „მგელი და ...“
90. გერმანული ავტომობილი
91. ბრედ პიტი ფილმში
92. მხატვარი ანრი ...
93. მისი დედაქალაქია რომი
94. ორგანის კლავიატურა
95. ქალაქი ინგლისში
96. ვაჭრობის ღმერთი
97. იანის საპირისპირო
98. მონათა აჯანყების წინამძღოლი
99. ქართ. ანბანის ბოლო ასო
100. დავით კლდიაშვილის პიესა „... ბედნიერება“
101. ცხენბურთი
102. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
103. ამერიკელის მეტსახელი მექსიკაში
104. მსახიობი ... ბროსნანი
105. მდინარე საფრანგეთში
106. ტყავის შემცვლელი
107. ამ მდინარეში მოინათლა ქრისტე
108. იაპონური ხალათი
109. მდინარე იტალიაში
110. ტენორი ... ჯილი
111. ქართ. ხალხური ზღაპარი
112. შინაური ფრინველი
113. „ევგენი ონეგინი“ ტატიანა ...
114. მსახ აიშვარია ...
115. ჩეხი კომპოზიტორი
116. იაზონის გემი
117. მსოფლმხედველობა
118. გულმკერდის ძვალი
119. ოტელოს ეროვნება
120. ქორეოგრაფიული ხელოვნება
121. გერმანული ავტომობილი
122. ხის ფოთლიანი ნაწილი
123. ქალაქი იაპონიაში
124. ვარამი
125. ჯუჯა ჟირაფი
126. ხის ანათალი
127. აბატი პრევო. „... ლესკო“
128. ... პოპესკუ გოპო
129. უგრძნობი მდგომარეობა
130. ინფექციური დაავადება
131. საოპერო პარტია
132. ავსტრიის დედაქალაქი
133. მსახიობი ... გარდნერი
134. ერთიანი დიდი ქვა
135. ნაბიჯი ბალეტში
136. იაპონური არაყი
137. ღლავი
138. მდინარე პარიზში
139. ვულკანური მასა
140. მომღერალი ... ჯაგერი
141. მსახიობი ... პაპანოვი
142. ზამთრის სპორტის სახეობა
143. იგავი
144. ჰომეროსის პოემა



პასუხები: 1. სომბრერო; 2. ბერლინი; 3. ჰავანა; 4. ზაზა; 5. გარბო; 6. ონო; 7. ალექსანდრია; 8. ელექსირი; 9. საფრანგეთი; 10. დარაბებს; 11. რკო; 12. კოპენჰაგენი; 13. რიაზანოვი; 14. ელფი; 15. როკო; 16. ბალავარი; 17. ვიოლა; 18. კეთრი; 19. ბრნო; 20. საქაროზა; 21. არაბეთს; 22. იარა; 23. მაინ; 24. „კუკარაჩა“; 25. ლობიანი; 26. იანუსი; 27. სიო; 28. სკოლა; 29. კარიერა; 30. მარინე; 31. აბრა; 32. ენკენისთვე; 33. მზარეული; 34. ბაგირა; 35. სტაფილოკოკი; 36. ჯარა; 37. ჯონ; 38. კრისტოფერ; 39. ნეკი; 40. ოდესა; 41. როჭო; 42. კორლეონე; 43. კოზაკი; 44. დიკ; 45. რაკია; 46. ინდიგო; 47. ჰონორარი; 48. ევან; 49. ბელტი; 50. ვაზა; 51. ნისია; 52. დუკატი; 53. კრავეიშვილი; 54. ბასკერვილების; 55. ბორტი; 56. ასლი; 57. ფენი; 58. რუპორი; 59. კარლ; 60. ინკრუსტაცია; 61. ვუ; 62. კასკადი; 63. კიო; 64. რადიუსი; 65. მოლიერი; 66. კვებეკი; 67. ფროდო; 68. კლარა; 69. იანგონი; 70. იფი; 71. ქინძი; 72. კოლოდი; 73. ალიგატორი; 74. ბოსტონი; 75. შაქარი; 76. ფლანდრია; 77. როკი; 78. იავა; 79. იისფერი; 80. სენტენცია; 81. „ოსკარი“; 82. იალქანი; 83. „დაისი“; 84. პერიფერია; 85. ჯერ; 86. ილუმინატორი; 87. ლისტი; 88. პარსეკი; 89. კრავი; 90. „აუდი“; 91. „ტროა“; 92. რუსო; 93. იტალია; 94. მანუალი; 95. ბრისტოლი; 96. ჰერმესი; 97. ინი; 98. სპარტაკი; 99. ჰაე; 100. ირინეს; 101. პოლო; 102. მალტა; 103. გრინგო; 104. პირს; 105. რონა; 106. დერმატინი; 107. იორდანე; 108. კიმონო; 109. პო; 110. ბენიამინო; 111. „ირმისა“; 112. ციცარი; 113. ლარინა; 114. რაი; 115. სმეტანა; 116. „არგო“; 117. კრედო; 118. ნეკნი; 119. მავრი; 120. ბალეტი; 121. „ოპელი“; 122. კრონა; 123. ნაგანო; 124. დარდი; 125. ოკაპი; 126. ნაფოტი; 127. მანონ; 128. იონ; 129. კომა; 130. ტიფი; 131. არია; 132. ვენა; 133. ავა; 134. მონოლითი; 135. პა; 136. ლოქო; 138. სენა; 139. ლავა; 140. მიკ; 141. ანატოლი; 142. ბიათლონი; 143. არაკი; 144. „ილიადა“. იკითხება: ნიკე.

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

ოჯახის ნათესავები და უახლოესი მეგობრები: ომარ ხურციძე, თემურ ბაჯაძე, ნერონ დარსალია, ფარვიზ გიორგაძე, ზაურ სირაძე, იური კობახიძე, დათო მაღალთაძე, ავთო ბუბუტეიშვილი, ზურა ქარაბაკი, ოთარ წერეთელი ოჯახებით თანაუგრძნობენ მეგობარ დემურ როხვაძის დიდ ოჯახს შვილიშვილის, 22 წლის

**ბექა იურის ძე ლაბუჩიძის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებენ მის მშობლებსა და უახლოეს ადამიანებს.

**პანაშვიდები:** 26 და 27 იანვარს;

**მისამართი:** ცინცაძის №34;

**გამოსვენება:** 14 საათზე, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრიდან (ვახუშტის ხიდთან).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამთო გეოლოგიური ფაკულტეტი, გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი, ჰიდროლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის მიმართულება, თანამშრომლები და სტუდენტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, გამოჩენილი მეცნიერი, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**უჩა ივანეს ძე ზვიადაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## ბრმა ნაწლავისა და გლანდების ამოჭრას ინფარქტი მოჰყვება?



ალბათ, თავადაც ფიქრობთ და ბევრი ექიმისგანაც გექნებათ გაგონილი, რომ ბრმა ნაწლავი ადამიანს აუცილებლად უნდა ამოეჭრას და რაც უფრო ადრეულ ასაკში, მით უკეთეს. დაახლოებით ასეთივე მოსაზრება არსებობს გლანდებთან დაკავშირებითაც. რეალურად კი იცით, როგორ აღმოჩნდა? ორივე ორგანო ძალიანაც საჭიროა და აუცილებელია მათი არა ამოჭრა, არამედ კარგად მოვლა.

შვედმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ბავშვობაში ბრმა ნაწლავისა და გლანდების ამოჭრა ზრდასრულ ასაკში ინფარქტის რისკს მნიშვნელოვნად ამაღლებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევის ავტორებმა რამდენიმე ათასი ადამიანის სამედიცინო ისტორიები შეისწავლეს 1955-დან 1970 წლამდე.

შედარებისთვის კვლევაში ჩართული იყო ისეთი ადამიანების მონაცემები, რომლებსაც ამოჭრილი ჰქონდათ ორივე ორგანო და ასევე, ისეთების, რომლებსაც მსგავსი ოპერაცია ჩატარებული არ ჰქონიათ.

ჰოდა, დადგინდა, რომ პირველ შემთხვევაში ინფარქტის შემთხვევების რაოდენობა მთელი 44 პროცენტით მაღალი იყო.

– დასკვნა ერთია: ბრმა ნაწლავისა და გლანდების ამოჭრა ინფარქტის რისკს ამაღლებს, – ამბობენ შვედი მეცნიერები.

რადგან გულის პრობლემებზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, აქვე ამერიკელი სპეციალისტების უახლესი კვლევის შედეგებზეც მოგახსენებთ: აღმოჩნდა, რომ ორალური კონტრაცეპტივების ინტენსიურ მოხმარებას შეუძლია ინფარქტისა და ინსულტის რისკის დაახლოებით 70 პროცენტით გაზრდა.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*myjane.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**26 იანვარი:** ყველაფერი თქვენს სურვილზე იქნება დამოკიდებული, სურვილები კი მრავალფეროვანი გექნებათ. ასე რომ, წინდახედულება გმართებთ.

**კურო 22.04-21.05**
**26 იანვარი:** თქვენთვის ნაცნობი სახეები და ნივთები წარმოსახვას ვერ გაგიღვიძებთ. რაღაც ახალი გჭირდებათ, რის ძიებაშიც ბევრს გააკვირვებთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**26 იანვარი:** შეიძლება დღეს ძალიან გაღიზიანებული იყოთ. თუ არ გინდათ, ჯანმრთელობის პრობლემა შეგექმნათ, უარყოფითი ემოციისგან განთავისუფლდით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**26 იანვარი:** ის დღე არ არის, როცა გარშემომყოფთა გრძნობებზე უნდა ინერვიულოთ, ეს მათი სადარდებელია. მოვლენებზე გავლენის აღდგენას შეძლებთ.

**ლომი 23.07-22.08**
**26 იანვარი:** შესაძლოა, ძალიან დიდი წნეხის ქვეშ აღმოჩნდეთ. რაც უფრო მყარად იდგებით არჩეულ გზაზე, მით მეტი სიამაყე დაგეუფლებათ.

**ქალწული 23.08-22.09**
**26 იანვარი:** ძალიან დიდი ყურადღება გმართებთ. შესაძლოა, თანამოსაუბრეთა ნათქვამიდან ბევრი ვერაფერი გაიგოთ. თუ საჭირო გახდა, ჩაეკითხეთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**26 იანვარი:** არავის მისცეთ უფლება, აკეთონ ის, რის კეთებაც თავად შეგიძლიათ. თუ კარგად არ გამოგივათ, არ ინერვიულოთ, მათ უარესად გამოუვიდოდათ.

**მორიელი 23.10-21.11**
**26 იანვარი:** შეეცადეთ, უსიამოვნებებს თავი აარიდოთ, რადგან მნიშვნელოვანი რამ შეიძლება დაკარგოთ. ყველაფერი წინასწარ დაგეგმეთ, რომ გამოუვალ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**26 იანვარი:** დღეს არა მხოლოდ თავად იქნებით მხიარული, არამედ სხვათა გამხიარულებასაც ადვილად შეძლებთ. ამისთვის დიდი ძალისხმევა არ დაგჭირდებათ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**26 იანვარი:** კარგი იქნება, თუკი ამ დღეს საიმედო მეგობრებთან ერთად გაატარებთ. ემოციებსაც დაიცხრობთ და სასიამოვნო მოგონებადაც დაგრჩებათ.

**მერწყული 20.01-18.02**
**26 იანვარი:** ზედმეტი სამუშაოს შესრულებისკენ იქნებით მიდრეკილი. საკუთარი ინტერესებით შემოიფარგლეთ, საკმაო დროსა და ძალებს დაზოგავთ.

**თევზები 19.02-20.03**
**26 იანვარი:** ეს დღე იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად სწორად დაიჭერთ მოქმედებათა რიტმს. არავითარ შემთხვევაში არ იჩქაროთ, შეცდომებს დაუშვებთ.


**გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 74 99 89

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი (15 საათიდან)





**ნისან ელ გრანდის მძღოლს! დამიკავშირდით 599 20 34 14**






მოკლედ, კოტე ჯვარს იწერს. მოათავა მღვდელმა ყველაფერი და ბოლოს სიძემ ჰკითხა:

– რამდენია გადასახდელი, მამაო?

– რა ვიცი, იმდენი გადაიხადე, რამდენიც შენთვის პატარძალი ღირს.

ჩაიყო კოტემ ჯიბეში ხელი, 1-ლარიანი ამოიღო და მამაოს გაუწოდა.

მამაოს გაუკვირდა, აუწია პატარძალს ფატა, შეხედა სახეზე, ახლა თვითონ ჩაიყო ჯიბეში ხელი, 50-თეთრიანი ამოიღო და სიძეს ხურდა დაუბრუნა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია

» 21135945 7

კვირის ქრონიკა

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.05